# საერთო გაზეთი

№36 (399) • 28 სექტემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



**ვაჟა ბერიძე:**

## ბიძინა ივანიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან უარი თქვა მესიის როლზე და ერის მსახურების ფუნქცია იკისრა

**ეკა ბესელია:**

**სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ჩადენილი უკანონო ქმედებების თითქმის ნახევარი სამეგრელოზე მოდის**





## მეშახტე მიშა, ანუ სააკაშვილი საქართველოში შემოპარვას გვირაბებით აპირებს?

**გურამ პეტრიაშვილი:**

**სანდრა რომ გაიძახის რძალი ვარ მეგრელებისო... მეგრელების როგორ არის, კაცო, ეგ ხომ სომხების რძალია?!**



**გურამ ლაკია:**

**საქართველოს ძირძველი მიწა და ათასობით გულანთებული ქართველის სიცოცხლე შევარდნაძის ძალაუფლების შენარჩუნებას შეეწირა**





## ფეოდალი ჩოჩელი „ნაციონალების“ საგრაფოდან

**ცეზარ ჩოჩელი პარლამენტში? სირცხვილია!!!**

**გური ოტობაია:**

## ჯაშქვიდუს სინდრომი

ეს „ნაციონალი“ ჯაშქვიდუები, თვალსა და ხელს შუა გვაჴრჩობენ, გვგუდავენ და სულებს გვაცლიან ფარისევლური ქალამ-სალამით...



## „ნაციონალები“ გადატრიალებას გეგმავენ თურმე... ბიჭოო, თქვენი ცოლები ვერ გადაგიტრიალებიათ ხეირიანად ლოგინში და საქართველოს უპირებთ გადატრიალებას?!

# ბიძინა ივანიშვილის შეხვედრები რეგიონულ მედიასთან

## ქვემო ქართლი

„რუსთავი, რა თქმა უნდა, უნდა გახდეს ინდუსტრიული ქალაქი და ის დღესაც არის ინდუსტრიული, მაგრამ ამის ძალიან დაბალი დონეა. თუ გავიხსენებთ რუსთავის მეტალურგიულს, აზოტს...

უნდა გახდეს თუ არა რუსთავი ინდუსტრიული გიგანტი? — ხშირად დაუსვამთ ჩემთვის ასეთი კითხვა. რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გაჰყვეს მოხმარებასა და გასაღებას. ბიზნესი არ შეიძლება ასე უცებ დავგეგმოთ, ასე უცებ ისეთივე სიმძლავრის ქარხანა დავაბრუნოთ, როდესაც გასაღების ბაზარზე პრობლემაა. ზოგადად მეტალურგებს მთელ ევროპაში აქვთ კრიზისი, ვიცი, რა ხდება ყაზახეთში, რუსეთში, ჩინეთში. რთული პერიოდია. ამ პერიოდში დაიწყო რუსთავის მეტალურგიულმა გაღვიძება და მასშტაბები გაიზრდება ბაზრის შესატყვისად. ჯერ გასაღების ბაზარი უნდა მოიპოვო და შემდეგ წარმოება გაზარდო.

„აზოტი“, რუსთავის მეტალურგიული და მსგავსი ტიპის საწარმოების დაგეგმვა ოთხი წელია მიმდინარეობს და ამ ტიპის საწარმოების აღორძინების დაგეგმვა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს“.

* * *

„მახსოვს, კირვალიძეს ვთხოვე, მოეგროვებინა სოფლის მეურნეობის ბიზნესის წარმომადგენლები და თავიდან დაგვეწყო ყველაფერი. შეხვედრიდან დამირეკა, შოკირებულმა: რა დაგეგმარებაზე უნდა ვილაპარაკოთ, ბატონო ბიძინა, ამ ბიზნესმენებს ერთადერთი შემიძლია ვუთხრა, რა გიქნათ ამ მამაძაღლმა სეთურმაო, ისეთი შეშინებული და დათრგუნულები არიანო. ასეთი მდგომარეობა მივიღეთ ჩვენ, ასეთი შოკირებული იყო ბიზნესი.

2012 წელს „ნაციონალებს“ რომ გაემარჯვათ, ერთ-ორ წელიწადში საბოლოო კრახს მოიტანდა და საქართველო მიიღებდა ეკონომიკურ კოლაფსს. ნაცვლად ამისა, ჩვენ უდიდესი ნახტომი გავაკეთეთ და განვითარებულ ქვეყნებს შეგვიძლია შევედაროთ დღეს ეკონომიკის კუთხით. ვისაც ეკონომიკა ესმის, მიხვდება, რომ ოთხ წელიწადში ეკონომიკა არავის არ გაუორმაგებია და მით უმეტეს არ გაუოთხმაგებია, არ ყოფილა მსგავსი პრეცედენტი. გაორმაგების შემთხვევაში ქვეყანაში მოხდება ხარისხობრივი ცვლილება. 7-8 წელიწადში თუ შევინარჩუნებთ ლიდერობას, ამ ტემპებში შევვიძლია გავაორმაგოთ ეკონომიკა და აქ უკვე შეიძლება



მოსახლეობას რაღაც შეეტყოს. სამუშაოების რაოდენობაც გაიზრდება, პენსიებიც გაიზრდება, უნდა ვიყოთ მომთმენები. ყველაფერი მიდის სწორად. ამაზე მეტი არ შეიძლებოდა გაკეთებულიყო“.

* * *

„მახსოვს, ერთ-ერთმა გამომსვლელმა ბიზნესმენმა გაიხსენა ციხეები და რა დღეში იყვნენ პატიმრები... და მე გავაგრძელე, რომ პატიმარი სხვანაირად მოიხსენიება კიდევ — თავისუფლებააღკვეთილი. მთელი საქართველო ციხედ იყო გადაქცეული. პრინციპული გარდაქმნა მოხდა, დამოკიდებულებაა სხვანაირი, მაგრამ 4 წელიწადში და 8 წელიწადში ყველა პრობლემა პრინციპულად გადავტეხოთ, შეუძლებელია. ამას უნდა მოთმენა და გაგება“.

* * *

„პრინციპული გარდატეხა, თუ გნებავთ, სოციალური მნიშვნელობით და სოციალური კუთხით, ახალმა ხელისუფლებამ რა გააკეთა, ამისთვის უნდა მოხდეს ბიუჯეტის გაანალიზება. ძალიან ბევრი გაკეთდა ამ მიმართულებით და პრინციპული გარდატეხები მოხდა თუნდაც დევნილებთან დაკავშირებით. მე არ მითქვამს, რომ ოთხ წელიწადში ეს პრობლემა აღმოიფხვრებოდა, ეს შეუძლებელია ასეთ მცირე დროში. შემდეგ ოთხ წელიწადშიც კიდევ დარჩება პრობლემები, მაგრამ ეს უკვე საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ხარისხობრივად შეიცვალოს დევნილების მდგომარეობა და საბავშვო ბაღების პრობლემაზე აღარ გვქონდეს ლაპარაკი. სოციალური დახმარების მხრივ ბიუჯეტი მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ ჩვენი მწირი ბიუჯეტი ოთხ წელიწადში ყველა ამ პრობლემას ვერ გადაჭრიდა“.

* * *

„ძირითადად რეგიონში მოსახლეობას გზის რეაბილიტაციის, წყლისა და გაზის პრობლემები აქვთ. გიორგი კვირიკაშვილს ძალიან ამბიციური გეგმა აქვს და მე მას ვენდობი. ამ ოთხ წელიწადში, თუ რამე უბედურება არ მოხდა, საგარეო შოკი ან რამე მსგავსი, ვფიქრობ, რომ ამ ოთხ წელიწადში ძირითადი პრობლემები მოგვარდება.

გაზიფიკაციის პროცესი წინ მიდის და ენერგეტიკის სამინისტრო ამ მხრივ კარგად მუშაობს. ამაში ჩვენი მეგობარი „სოკარიც“ გვეხმარება და სხვა არაერთი პარტნიორიც“.

* * *

„ჯანდაცვაზე ბიუჯეტიდან ძალიან დიდი თანხა იხარჯება. სერგეენკო ძალიან კარგი მინისტრი და მენეჯერია, თუმცა, ვფიქრობ, ყველაფერს ვერ გავწვდით.

რაც შეეხება პრეზიდენტის დაპირებებს საავადმყოფოების მუშაობასთან დაკავშირებით ქვემო ქართლში. გიორგი მარგველაშვილმა არც თავიდან იცოდა, რა უფლებები ექნებოდა და დღესაც არ ესმის, სამწუხაროდ და საუბედუროდ. პრეზიდენტის სფერო არ არის საავადმყოფოს აშენება ან ჯანდაცვის მიხედვა. ეს მთავრობის საქმეა და თუ დარღვევაა, მთავრობას უნდა მოვთხოვოთ პასუხი. მანამდეც მქონდა საუბარი მასთან, რომ კონსტიტუცია მანამდე უნდა წაგეკითხა-მეთქი. არჩევნები რომ დამთავრდა და მოვიდა, ყველაფრის მართვა უნდოდა და ეს იყო პრობლემა“.

* * *

„ირაკლი ღარიბაშვილი თვითონ ცდილობს ბიზნესს რაღაც დარგში და აქაც შევთავაზე ჩემი დახმარება. ჯერ კიდევ შერჩევის პროცესშია და ცოტა გაუხანგრძლივდა. პოლიტიკური მზაობაც აქვს და საკმაოდ კარგ ფორმაშია ირაკლი. კარგია, ქართულ პოლიტიკაში ასეთი სათადარიგო მოთამაშეები რომ არიან. მე უკვე 60-ს გადავაჭარბე და მოთამაშედ ვეღარ ჩავითვლები და არც მაქვს ამის სურვილი, მაგრამ ირაკლი არის კარგი ვარიანტი. ჩვენი ძველი პოლიტიკოსები დიდად სანდოობით არ გამოირჩევიან და ამ მხრივ, ირაკლი ღარიბაშვილი არის ძალიან კარგი ვარიანტი. მას უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ქვეყანა და აქვს განცდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ისევ დაბრუნდება პოლიტიკაში“.

* * *

„ისტორიული ძეგლების აღდგენას შეუზღუდავად ახორციელებს ფონდი „ქართუ“ უკვე ოცი წელიწადია. რამდენიც არ უნდა იყოს მოთხოვნილება, ამაზე ბიუჯეტს არ აქვს ლიმიტი. პროცედურა იჭერს ძალიან ბევრ დროს: პროექტის გაკეთება, შეთანხმება საპატრიარქოსთან, სახელმწიფოსთან, კულტურული ძეგლების აღდგენის სააგენტოსთან. დავინტერესდებით, ბოლნისში რითი შეიძლება დახმარება. რა თქმა უნდა, პრობლემები არის და ჩემი შეხვედრების მიზანიც ესაა, რომ გაგებით მოეკიდოს ხალხი ამ ყველაფერს. დამოკიდებულებაა სწორი, მოვიდა ხალხის სამსახურში მყოფი ხელისუფლება, რომელიც ხალხს უსმენს და ითვალისწინებს მათს პრობლემებს. რა თქმა უნდა, მაქსიმალურად დავეხმარები ბოლნისს, რაც საჭირო იქნება“.

* * *

„რუსთავი 2“ რამდენად შეიძლება იყოს ჭეშმარიტების ეტალონი, მოგეხსენებათ ალბათ. სიცრუის ეტალონად უფრო გამოდგებიან, შესაბამისად, მათი გაკეთებული ეგზიტპოლი ვერანაირად ვერ იქნება ვერდიქტი. ნუ დაძაბავს სააკაშვილისგან ნახსენები წარღვნა მოსახლეობას. მე მგონი, საკუთარი გუნდის შემაგრებას აგრძელებს, რომ ბოლომდე არ ჩამოეშალოს. ამბობს, ჩამოვალო, სად ჩამომსვლელია ეგ საცოდავი. ადგილ-ადგილ ამას ჰპირდება საკუთარ გუნდს, რომ არ ჩამოეშალოს.

მათ ძალიან კარგად იციან, რომ დღევანდელი ხელისუფლება არჩევნებს არ გააყალბებს და ისიც კარგად იციან, რომ არავითარი შანსი არ აქვთ არჩევნებში გამარჯვების. არაფრის თავი არ აქვთ. სააკაშვილი გაუბედურებული ზის იქ, ნაცვლად იმისა, რომ ჩამოვიდეს, საკუთარ სახელმწიფოს ელემენტარული პატივი სცეს, კანონმდებლობას პატივი სცეს. მაგან ძალიან კარგად იცის, რაც იყო მაგის დემოკრატია, და ეს მისმა მეუღლემაც თქვა, ჩემი ქმარი ისეთი კაცია, უნდა გეშინოდეთო. ეს ყველაფერი უსუსურობისა და გაუსაძლისობის ბრალია, იმ მდგომარეობისა, რაშიც არიან. მოსახლეობას მოვუწოდებ, რომ მხოლოდ კამერებით, თუ რამე პატარა ექსცესების მოწყობა მოუნდებათ, გადავიღოთ, რეალურად კი ვერაფერზე გავლენას ვერ მოახდენენ“.

* * *

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მელია და ხოშტარია მოსახლეობას პენსიის ზრდას და ეკონომიკური დანაშაულების დეკრიმინალიზაციას ჰპირდებიან. ამაში ძალიან დიდი ცინიზმია ჩადებული.

ელენე ხოშტარიამ ძალიან კარგად იცის, როგორი კრიმინალური იყო ეკონომიკა და დღეს რომ მსგავსი არ არის, მაგრამ როცა ქვეყანას დეკრიმინალიზაციას ჰპირდება, მაინტერესებს, ეს ქვეყანა უყვარს თუ არა მას. ეს პარტია ჩვენ უსირცხვილოდ გვატყუებს“.

* * *

„დემოგრაფიული პრობლემა ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა. ჩვენ ბებერი ერი ვართ და ამაშია ჩვენი სიდიადე, მაგრამ ისეთ სიბერეში არ უნდა წავიდეთ, რომ კვდომა დავიწყოთ.

რეალურად ჩვენ დემოგრაფიული პრობლემა გვაქვს და ამას დიდი ყურადღება სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან. მომავალში, როცა ბიუჯეტი გაიზრდება, ამ მიმართულებით ხელისუფლება იზრუნებს. საჩხერეში რამდენიმე წელია ამაზე ზრუნვა დავიწყე და შედეგიც არის. მოსახლეობას ხელის შეწყობა სჭირდება“.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასაბალ-დასაბალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალაა.

# „ეკონომიკური განვითარება – მიღწევები და პერსპექტივები“

**არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ ორგანიზებით, სასტუმრო „ქორთიად მარიოტში“ გაიმართა მორიგი ეკონომიკური ფორუმი „ეკონომიკური განვითარება – მიღწევები და პერსპექტივები“.**

**ფორუმი, რომელსაც ბიზნესის, პოლიტიკისა და ექსპერტული წრეების ასამდე წარმომადგენელი ესწრებოდა, ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა გახსნა.**




* * *

არჩევნებთან დაკავშირებით რეგიონებში დავდივარ და ჟურნალისტებთან შეხვედრებს ვმართავ. ვცდილობ, საზოგადოებას გავუზიარო ჩემეული ხედვები, თუ რა მოხდა ოთხი წლის განმავლობაში. გარწმუნებთ, რომ ხშირად საკმაოდ მიჭირს ამის ახსნა, რადგან ისინი არ არიან ამ სფეროს სპეციალისტები. ყველაზე მეტად ვისაც ხელეწიფება და ვინც კარგად იცის ეს, ხართ თქვენ; სწორედ თქვენ ხართ ამის ყველაზე კარგი შემფასებლები, ყველაზე კარგად თქვენ ხედავთ და შეგიძლიათ შეაფასოთ ყოველგვარი დამატებითი დახმარებით გვერდიდან... ბევრს ჩემზე კარგი განათლება გაქვთ მიღებული ეკონომიკაში, ძალიან კარგად იცით მაკროეკონომიკაც და ძალიან კარგად შეგიძლიათ შეფასებებიც.

* * *

ამ მხრივ შესაძლებლობები გაქვთ, ანალიზი შეგიძლიათ, მაგრამ პირველად მინდა დავსვა კითხვა – რამდენად აქტიურობთ თქვენ? რომ ახერხებთ ანალიზის გაკეთებას, ფაქტია, რომ შეგიძლიათ, ფაქტია, მაგრამ რამდენად ეხმარებით საზოგადოებას? რამდენად აქტიურები ხართ ამ მიმართულებით? რამდენად ცდილობთ, რომ თქვენც განუმარტოთ და თქვენც თქვენი წვლილი მიიღოთ არჩევნებში?

* * *

შეკითხვა არ დამისვამს არასდროს – არც 2012 წელს, როდესაც არჩევნები ჩატარდა, არც ერთი წლით ადრე, როცა მოვედი პოლიტიკაში და განცხადებები გავაკეთე, არასდროს, არასდროს მომიკითხავს ბიზნესი და არასდროს დამისვამს შეკითხვა, რას აკეთებს ბიზნესი, რამეთუ გარკვეულ მიზეზებს გაგებით ვეკიდებოდი... მაგრამ დღეს მინდა ერთი კითხვა დავსვა და ყველას გკითხოთ, ვინც აქ ხართ და ვინც არ ხართ – რამდენად აქტიურები ხართ და ცდილობთ მოსახლეობას განუმარტოთ თუნდაც ის გარდაქმნები, რაც მოხდა, რაც შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში, ან იქნებ ფიქრობთ, რომ არც არაფერი მომხდარა, იქნებ განსამარტიც არაფერია და ზედმეტი აქტიურობაც არ სჭირდება.

* * *

მე შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში რევოლუცია ვაჭრებმა მოახდინეს, ბიზნესმა მოახდინა ბურჟუაზიული რევოლუცია; ვისაც ქონება ჰქონდა და თავისუფლება მეტად სწყუროდა, პატივმოყვარეობამაც მეტად გაიღვიძა მასში. ისინი იყვნენ ყველაზე აქტიურნი.

* * *

ასრულებთ თქვენ დღეს ამ როლს? ღმერთმა დამიფაროს, რომ რამე პრეტენზია მქონდეს ნებისმიერი თქვენგანისადმი, მაგრამ როგორც მოქალაქეს კითხვის დასმის უფლება მაქვს – საკმარისად აქტიურობთ და საკმარისია თქვენი წვლილი?

* * *

ჩემი ვალია საზოგადოება დავარწმუნო, რომ მკვეთრი გარდაქმნები მოხდა. სად ვიყავით ჩვენ ოთხი წლის განმავლობაში, პატრიარქის სიტყვებსაც გავიხსენებ, ამით ვიშველიებ ძალიან ხშირად, რომ უფსკრულის პირას ვიდექით პირდაპირი მნიშვნელობით. დღეს ვერც ერთი ბიზნესმენი ვერ იტყვის, რომ თქვენს საკუთრებას ვინმე უთვალთვალებს და ვინმე თქვენს ჯიბეში ჩაძვრომას აპირებს. არადა, მოდი ვიყოთ გულწრფელნი, რომ არა 2012 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება, თქვენც ხომ კარგად იცით, რაც მოხდებოდა.

* * *

თუმცა იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთ ბიზნესმენს დღესაც აქვს ნოსტალგია და უკან იყურება, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც იმ გუნდთან დაახლოებულნი, კარგ პირობებში იყვნენ... ვის-ვის და, თქვენ გაგიოლდებათ ყველაზე მეტად, რომ ის მოდელი გადმოვიტანოთ დღევანდელ რეალობაში?! მაშინ რომ ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ გაემარჯვა და ის მართვის მოდელი გაგრძელებულიყო, რა იქნებოდა დღეს, სად იქნებოდით დღეს თითოეული თქვენგანი? ყველაზე ახლო მყოფნიც კი? შიდა გულში წავიდოდა ომი და ქონების გადანაწილების შიდა პროცესი გაგრძელდებოდა, და ვინ სად აღმოჩნდებოდა, ღმერთმა იცის...

* * *

იმ მოდელით მართული ეკონომიკა რომ გაგრძელებულიყო, დღეს რომ ხელფასებს ვერ გასცემდნენ საჯარო მოხელეებზე და პენსიებსაც ვერ დაარიგებდნენ, ეს თქვენთვის ბიზნესმენებისთვის რთული გასაგებია?! რთული საანალიზოაა?! იმ მეთოდით მართულ ეკონომიკას როგორი შედეგები შეიძლება ჰქონოდა და დღეს, რაც გვაქვს ეკონომიკური შედეგი, ამის მსგავსი ვერ მოხდებოდა, ეს თქვენთვის რთული საანალიზოა?! ამის საპაუხოდ მეც მაქვს კითხვა და მაინც გისვამთ, საკუთარ გუნდთან, საკუთარ თანამშრომლებთან მაინც თუ აკეთებთ განმარტებებს, თუ გაქვთ ის განცდა, რომ ეს გაცილებით უკეთესია მასზე, რაც იყო, და თუ ეს განცდა გაქვთ, აკეთებთ თქვენ შესატყვის განმარტებებს?! თქვენ თავში ჩაიხედეთ თუ გნებავთ.

* * *

ბიზნესმენები რა დღეში იყავით, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ. კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ ყველანი ვცდილობდით და ვახერხებდით, ეს სირცხვილი არ იყო, რომ რაღაც ხაზი გვქონოდა ვიღაცასთან, რომ რამე არ მოგვსვლოდა. დღეს ასეთი ხაზები მოიძებნება მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მთავრობა ვაიძულოთ, ლობირება გაგიწიონ სწორი მიმართულებით განვითარებაში. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ კვირიკაშვილი ძალიან კარგი პრემიერია და არა მგონია, ვინმეს რაიმე პრეტენზია გაგაჩნდეთ. სწორედ ისეთია დღეს მთავრობა, როგორიც ბიზნესს სჭირდება.

* * *

არ იფიქროთ, რომ მე აქ თქვენს საკრიტიკოდ მოვედი. ბიზნესიც თავის სიტყვას ამბობს და ნახეთ იმ ფონზე, რაც რეგიონში ხდება, რამდენად წარმატებულია საქართველოს ეკონომიკა. გვინდა თუ არ გვინდა, ამას გვერდს ვერ ავუვლით. მაკროეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველოს მეხუთე, უპრეცედენტო ადგილი აქვს. კიდევ შეგახსენებთ რამდენიმეს, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრენტუნარიანი გარემო რომ იყოს, რაც ჩემი მოსვლით და იმ სტანდარტებით, რასაც ვიმეორებ განუხრელად, დაწესდა და დღესაც ხელშეუხებელია.

* * *

ბიზნესი კონკურენტუნარიანი უნდა იყოს, ხელისუფლებას ფავორიტები არ უნდა ჰყავდეს. ყველა ბიზნესმენი უნდა იყოს ფავორიტი ხელისუფლებისთვის და ყველას უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ მაქსიმალურად დაეხმაროს. ამ მხრივ სამართალდამცავი სტრუქტურები, გასაგებია, რომ დასახვეწია, მაგრამ ის მომართულია იმისთვის, რომ თქვენს სამსახურში იყოს.

ქვეყნის თავისუფლების ინდექსში (თავისუფლებაში ამ მხრივ იგულისხმება ორგანიზებული დანაშაულისგან თავისუფალი ქვეყნები) საქართველო ყველაზე მაფიოზური ქვეყნების რიცხვში იყო და ეს შემთხვევითი არ ყოფილა. არსებობდა ელიტარული კორუფცია, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ კერძო საკუთრების მიმართ. ვისთანაც ეს ვერ მოახერხეს და გადარჩით, ვერ გადარჩებოდით დღემდე.

* * *

მაფიოზური სახელმწიფოების რიგში შევდიოდით, თუმცა დღეს საქართველო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინდექსში მსოფლიოში მე-17 ადგილზეა და მეცხრეზე ევროპაში, რაც იმის საფუძველია, რომ ბიზნესი ვითარდება.

* * *

მადლობა მინდა გადაგიხადოთ, მართლა მარტო საკრიტიკოდ და კითხვების დასასმელად კი არ მოვედი. ინვესტიციებზე აღარ ვსაუბრობ, აქ თქვენია ლომის წვლილი. კიდევ ერთ საერთაშორისო შეფასებას შეგახსენებთ, მაკროეკონომიკური გარემოს თვალსაზრისით საქართველო 137-ე ადგილზე იყო 2012 წელს, დღეს კი ვუსწრებთ ისეთ ქვეყნებსაც კი... ამერიკასაც კი ვუსწრებთ, საფრანგეთს, ბელგიას, ირლანდიას... ეს ხომ ჩემი მოგონილი არ არის...



## გურამ ლაკია:

# საქართველოს ძირძველი მიწა და ათასობით გულანთებული ქართველის სიცოცხლე შევარდნაძის ძალაუფლების შენარჩუნებას შეეწირა

ზუსტად 23 წლის წინ, 1993 წლის 27 სექტემბერს ქართულ სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის დაწყებულისამხედრო კონფლიქტი სოხუმის დაცემით დასრულდა. ომი, რომელიც 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა და 30 000-მდე ქართველის სიცოცხლე შეიწირა, საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდს დაემთხვა. კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის შემდეგ, ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. სანამ ორ ნაწილად გაყოფილი ერი ერთმანეთთან იარაღის ძალით არკვევდა ურთიერთობას, აფხაზეთში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა ხელმძღვანელობამ რეგიონის დამოუკიდებლობის შესახებ განაცხადა. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერდა საქართველოსკონსტიტუციის მოქმედება და 22 დღეში შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო.

საქართველოს რესპუბლიკის (ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების) ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი გურამ ლაკია დარწმუნებულია, რომ აფხაზეთში სამხედრო კონლიფქტის წამოწყება რუსეთიდან ახლად ჩამოსული სსრკ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ინტერესებში შედიოდა, რადგან მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის ყურადღება კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი დამხობიდან სამამულო ომისკენ გადაეტანა

27 სექტემბერს სოხუმის დაცემის და საქართველოს ტრაგედიის 23 წლისთავია. 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებულ ომს წინ უძღოდა კრიმინალურ-შეიარაღებული გადატრიალების გზით, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა. შევარდნაძის საქართველოში დაბრუნება და კრიმინალურ- შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების დემოკრატიულ რევოლუციად გამოცხადება ადასტურებდა მის უშუალო მონაწილეობას მეხუთე კოლონის შექმნაში, რომელიც» წითელი ინტელიგენციის», სუკის მიერ შექმნილი და გადაბირებული ფსევდოეროვნული პარტიების და კრიმინალური ბანდფორმირებებისგან შედგებოდა. 1992 წლის მარტის დასაწყისში საქართველოში ჩამოსულ შევარდნაძეს თბილისში სრული ქაოსი და განუკითხაობა დახვდა. ხუნტის წევრებისგან შემდგარ ე.წ. სამხედრო საბჭოში ყველაფერს სიგუა-კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი განაგებდნენ. შევარდნაძე ხედავდა, რომ ხუნტის შეიარაღებული ბანდფორმირებები საქართველოს რეგიონებზე კონტროლს კარგავდნენ, ამიტომ კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი დამხობიდან ყურადღების გადატანისა და ძალაუფლების განმტკიცებისთვის ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების პროვოცირება დაგეგმა. ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ამას ემსახურებოდა 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ჯარების შეყვანა, თუმცა მან ვერ გათვალა, როგორ გამოიყენებდა ამ კონფლიქტს რუსეთის ხელისუფლება და პირადად, ელცინი.

პოლკოვნიკი აღნიშნავს, რომ ომის პროვოცირებით, ედუარდ შევარდნაძემ რამდენიმე კურდღელი დაიჭირა: თბილისი კრიმინალური ბანდფორმირებებისგან გაწმინდა და ჩაატარა ე.წ. არჩევნები, რომლის შედეგად, ლეგიტიმაცია მიიღო. გურამ ლაკიას თქმით, ედუარდ შევარდნაძემ შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას, მართვის სისტემაში მიზანმიმართული ქაოსი შექმნა და უვიც კრიმინალებს გენერლების წოდებები ჩამოურიგა. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ათასობით ქართველის გმირულად ბრძოლის მიუხედავად, ასეთი მეთაურობის პირობებში, ქვეყანა ტერიტორიულ მთლიანობას ვერ შეინარჩუნებდა, ამიტომ კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერები და მათთან დაპირისპირებული ხუნტის მებრძოლები საერთო საფრთხემ გააერთიანა. მათ თვალწინ აფსუათა, სომეხთა, ჩრდილო კავკასიელთა და კაზაკთა ბოევიკები ქართულ მოსახლეობას ანადგურებდნენ, ამიტომ ერთმანეთში ქიშპობის ნაცვლად, ერთიანი საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს. ამის ბრწყინვალე მაგალითი იყო მოწინააღმდეგის საბრძოლო დესანტის ერთობლივი განადგურება ტამიშში, მაგრამ პოლკოვნიკის თქმით, შევარდნაძის ინტერესებში მოვლენების ამგვარად განვითარება არ შედიოდა.

ბუნებრივია, შერიგება შევარდნაძის ინტერესებში არ შედიოდა. მან ძალაუფლების შენარჩუნებისა და რუსეთის მხარდაჭერის სანაცვლოდ, აფსუა სეპარატისტებთან და მათ მხარდამჭერ რუსეთთან ზავი დადო, სოჭის კაპიტულანტური ხელშეკრულება გააფორმა და მშვიდობა გამოაცხადა. ლტოლვილი ქართველების სოხუმში დაბრუნების შემდეგ კი ქართული ჯარის განიარაღება და აფხაზეთის ტერიტორიიდან უთავბოლო გამოყვანა დაიწყო. შევარდნაძემ აფხაზეთიდან გამოყვანილი ე.წ. სამთავრობო ჯარები და ბანდფორმირებები არა ენგურის მარცხენა სანაპიროზე, არამედ ფოთში, სენაკში, სამტრედიაში, ხონში და ქუთაისში განალაგა, რაც ადასტურებდა, რომ ის კანონიერი ხელისუფლების ერთგული ეროვნული გვარდიის განადგურებას და სამეგრელოში უკანონო დე-ფაქტო ხელისუფლების დამკვიდრებას აპირებდა. 1993 წლის აგვისტოს დასაწყისში შევარდნაძემ ბანდფორმირება «მხედრიონით» სცადა ზუგდიდის ოკუპაცია, სადაც განლაგებული იყო კანონიერი ხელისუფლების ორგანები და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შტაბი.



«მხედრიონის» დაჯგუფება ზუგდიდის მისადგომებთან, ხობის მხრიდან განლაგდა. ამ დროს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფების ძირითადი შემადგენლობა ჩემი მეთაურობით, აფხაზეთის ტერიტორიაზე იყო განთავსებული. შტაბი სოფელი ბედიას შვიდწლიანი სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფები გალის და ოჩამჩირის რაიონის მოსახლეობას მოწინააღმდეგის ტყვარჩელის დაჯგუფებისგან იცავდნენ. ღამით, ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფები ზუგდიდში, სოფელი ჭითაწყაროს პოზიციებზე გადმოვიყვანეთ. ღამის 2 საათისთვის, როდესაც პოზიციის მზადყოფნაში დავრწმუნდი, ზუგდიდის შტაბში წავედი. სწორედ აქ შევხვდი აფხაზეთიდან მომავალ ნოდარ ნათაძეს, რომელიც მაშინ დე-ფაქტო ხელისუფლების უმაღლეს საბჭოში თავდაცვის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. მე მას ვუთხარი: ბატონო ნოდარ, ხვალ «მხედრიონი» ზუგდიდში შემოსვლას აპირებს. უკვე შექმნილი მაქვს თავდაცვითი პოზიცია და «მხედრიონს» თბილისში ამბის ჩამტანს არ დავუტოვებ, მაგრამ ქართველების სისხლის დაღვრა არ მინდა. გთხოვთ დაურეკოთ ედუარდ შევარდნაძეს და ხელი აალებინოს იოსელიანს ამ ავანტიურაზე თქო.

პოლკოვნიკის მონაყოლიდან ირკვევა, რომ შევარდნაძესთან სატელეფონო კონტაქტი ვერ დაამყარეს, რადგან გვიანი საათების გამო, მისი შეწუხება ვერავინ გაბედა. მეორე დილას ედუარდ შევარდნაძე გურამ ლაკიას თავად დაუკავშირდა და ჯაბა იოსელიანის «მხედრიონის» აფხაზეთისკენ დაუბრკოლებლად გატარება თხოვა.

მეორე დილას, 8 საათსა და 45 წუთზე ედუარდ შევარდნაძემ დარეკა და მთხოვა ჯაბა იოსელიანის დაჯგუფება აფხაზეთისკენ დაუბრკოლებლად გაგვეტარებინა. ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსთან ვახტანგ ქობალიასთან შეთანხმებით, შევარდნაძეს ვუთხარი, რომ იოსელიანს იმ შემთხვევაში გავატარებდით, თუ ედუარდ შევარდნაძე ამის შესახებ უმაღლესი საბჭოს სესიის ტრიბუნიდან განაცხადებდა. ასეც მოხდა და «მხედრიონის» დაჯგუფება, რომელშიც 250-300 კაცამდე და 15 ჯავშანმანქანა შედიოდა, ოჩამჩირის მიმართულებით გავატარეთ. მხედრიონელებმა ოჩამჩირეში სამი დღე იქეიფეს, დიდი ზომის იარაღები, მათ შორის, გადასატანი საზენიტო კომპლექსის რამდენიმე რაკეტა ჩვენს მეომრებს პისტოლეტებში გადაუცვალეს, მძიმე საბრძოლო ტექნიკა სიმბოლურ ფასად მოგვყიდეს, ჩასხდნენ გემში და ფოთისკენ გაემგზავრნენ. ასეთი სიტუაციის შემყურე, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სარდლობა გრძნობდა, რომ აფხაზეთი განწირული იყო. ამიტომ, კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, დევნილობაში მყოფ საქართველოს კანონიერ პრეზიდენტთან, ზვიად გამსახურდიასთან შეთანხმებით, 16 აგვისტოს შტაბის ხუთ ოფიცერთან ერთად, სოხუმში განლაგებულ დე ფაქტო ხელისუფლების ე.წ. სამთავრობო ჯარების შტაბს ვეწვიე. ჩვენი მისვლის მიზანი დე-ფაქტო ხელისუფლების თავდაცვისმინისტრის მოადგილესთან გენერალ პაატა დათუაშვილთან მოლაპარაკება იყო, რომელიც აფხაზეთში განლაგებულ შეიარაღებულ ძალებს კურირებდა.



**ნელი თორდია**
571 35 36 88

(გაგრძელება იქნება)

# თუკი გურია თავის მომავალს მანდობს, ყველაფერს გავაკეთებ რომ ეს ნდობა გავამართლო

დაიბადა 1982 წლის 19 თებერვალს;
1998-2002 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მინიჭებული აქვს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
2007 წელს გაიარა აუდიტის სასწავლო კურსი (Association of Chartered Certified Accountants);
2015 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში შეისწავლა პოლიტიკის საწყისები;
2003-2007 წლებში მუშაობდა ს/ს ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში საფინანსო ეკონომიკური განყოფილების უფროსად;
2008-2011 წლებში იყო „ვაგონმშენებელი კომპანიის“ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;
2011 წლიდან დღემდე შპს „ვაგონშემკეთებელი კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა;
2014 წელს დააფუძნა „ფონდი წილოსანი“ და დღემდე მისი პრეზიდენტია;
არის საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი;
სწავლობს სტენფორდის დისტანციურ კურსებზე (გადაწყვეტილების მიღებისა და რისკების მენეჯმენტი);
ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს;
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.



***ინტერვიუ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატთან ლანჩხუთსა და ჩოხატაურში, ქალბატონ ნინო წილოსანთან.***

**— ქალბატონო ნინო, ახლახან „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატად წარგადგინეს ლანჩხუთსა და ჩოხატაურში. მართალია, გენეტიკურად გურული ხართ, მაგრამ კიდევ რა გაკავშირებთ გურიასთან?**



— რადგან სიტყვა «გენეტიკური» ახსენეთ, დარწმუნებული ვარ, მოგეხსენებათ, რომ გენეტიკური სიყვარული მხოლოდ ემოცია არ არის — ეს არის პასუხისმგებლობის, ზრუნვის და გაფრთხილების გრძნობაც. გურიასთან ბევრი რამ მაკავშირებს. ამ კუთხეს და მის ხალხს ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის და მე არასდროს დავიღლები ამაზე საუბრით, მაგრამ ახლა გურულები, ალბათ, ჩემგან სიყვარულის ახსნაზე მეტად საქმეს ელიან. მინდა, გითხრათ, რომ ბოლო წლებია, აქტიურად ვარ ჩართული ქველმოქმედებაში, გახლავართ „ფონდი წილოსანის“ პრეზიდენტი, რომლის საქმიანობა სწორედ ამ რეგიონს უკავშირდება. შესაბამისად, ძალიან კარგად ვიცი, რა საჭირდება დღეს ამ კუთხეს, რა პრობლემებია აქ და, რაც მთავარია, რა არაჩვეულებრივი პოტენციალი არსებობს, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანური რესურსების სახით. ასე რომ, გურიასთან ბევრი რამ მაკავშირებს ბავშვობა, საქმიანობა, ზრუნვა და იმედები.

**— გარდა იმისა, რომ გურიას გამოადგებით, რას მოუტანს ნინო წილოსანის პარლამენტარობა ზოგადად საქართველოს?**

— იცით, შეუძლებელია, იფიქრო ქვეყნის კეთილდღეობაზე და არ აკეთო კონკრეტული საქმე კონკრეტული კუთხისთვის. საქართველო ხომ თითოეული კუთხე, თითოეული ქალაქი, სოფელი, თითოეული ადამიანია. თუკი მე გურია ნდობას გამომიცხადებს და თავის მომავალს მანდობს, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს ნდობა გავამართლო. მე ვარ იმ პოლიტიკური გუნდის წევრი, რომელმაც უკვე გააკეთა ბევრი კონკრეტული საქმე და კიდევ უფრო მეტის გაკეთებას გეგმავს. „ქართული ოცნების“ სახით მე მაქვს მძლავრი ბერკეტი, რომ დავიცვა თითოეული ადამიანის უფლება და ღირსება, რეალობად ვაქციო მათი მიზნები და გეგმები, შევუქმნა ყველანაირი პირობა, რათა თავიანთი ნიჭი და შესაძლებლობები ბოლომდე გამოიყენონ, მოკლედ — გავაძლიერო ეს ადამიანები. ძლიერი სოფელი კი ძლიერი რეგიონია, ძლიერი რეგიონი — ძლიერი ქვეყანა. ეს არის ის, რაც შემიძლია, ჩემი ქვეყნისთვის გავაკეთო.

**— რა გეგმები გაქვთ ჩოხატაურთან და ლანჩხუთთან დაკავშირებით?**

— ბევრი პრობლემა ჩემთვის ცნობილი იყო, რადგან მეც ამ კუთხის შვილი ვარ. მაგრამ ერთია, როდესაც ამ პრობლემებს იზიარებ, როგორც ახლობელი და ნათესავი, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ამ ყველაფერს კანდიდატის პოზიციიდან უყურებ. დავდივარ გზებით, რომლებიც აუცილებლად უნდა გაკეთდეს; ვხვდები ადამიანებს, რომლებსაც ბევრი სოციალური პრობლემა აქვთ; ვეცნობი ახალგაზრდებს, რომლებსაც უკეთეს სკოლებში სურთ სწავლა; ვესაუბრები პენსიონერებს, რომლებიც უკეთეს პენსიას იმსახურებენ. „ქართული ოცნება“ ყველა ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს. საწარმოების შექმნა და ამუშავება, სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, გაზიფიცირება, სინათლე ყველა სოფელში, ინტერნეტი — ეს ყველაფერი დაწყებულია და ეს პროცესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაჩერდეს. გურულები, ყველა სიკეთესთან ერთად, ძალიან ალღოიანი ხალხია. ზუსტად ხედავენ, რა გაკეთდა ამ 4 წლის განმავლობაში და კიდევ უფრო კარგად უჭრით თვალი, როცა მომავალ გეგმებზე ვესაუბრები ხოლმე. ვგრძნობ, ჩვენ ერთად დიდი ძალა ვართ, რომელმაც გურია უნდა ააყვავოს. ამიტომ, მე გურულების სიბრძნის იმედი მაქვს. ვიცი, რომ არჩევანის გაკეთებისას თავისი კუთხის და ქვეყნის კეთილდღეობას მისცემენ ხმას.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18
®

# ღია წერილი ნინო წილოსანს

**ნინო, ძვირფასო!**

**ამ წერილით მინდა თანადგომა გამოგიცხადო და მოვინანიო კიდეც, რომ ვერ მოგყვები იქ, ჩემს საყვარელ გურიაში, რათა შენთან ერთად მეც შევპირდე შენს ამომრჩეველს, რომ ერთგული და პასუხისმგებელი იქნები ყოველი შენი სიტყვისა და დაპირებისა!**



**მე დედით გურული ვარ, დედაჩემი მგალობლიშვილი იყო და როგორც შენ, შენი მშობლიური გურია, მეც გამორჩევით მიყვარს ჩემი დედულეთი!**

**გამიხარდა, რომ შეგარჩიეს და წარგადგინეს, მაგრამ, ახლავე, თავიდანვე უნდა იცოდე, რომ, რასაც შეეჭიდე, დიდი ჯვარია და მძიმე!**

**— ვაი, რომ მთელი საქართველო პარლამენტში მიძვრება და უჭირს ხალხს ამდენი ერთი და იგივე დაპირებების მოსმენა!**

**შენ ჩემს თვალწინ დაქალდი, უკვე სამი შვილის დედა ხარ, კარგად გიცნობ და ვიცი, რაც შეგძლია!**

**— ამიტომაც სახალხოდ გლოცავ და ნდობას გიცხადებ და თუ ხალხი აგირჩევს, ისე ნუ იზამ, რომ ეს ჩემი თანადგომა და აღიარება სანანებელი დამირჩეს!**

**— გურულები ნიჭიერები, დაკვირვებულები და დიაღაც, ენაკვიმატები არიან, ამიტომაც ბოლომდე უნდა დაიხარჯო და დაუმტკიცო შენს მშობლიურ კუთხეს, რომ ადამიანის ყველაზე დიდი ღირსება ერთგულება და თავდადებაა!**

**— ჩადი, ეახლე წმინდა ბარბარეს ეკლესიას და ილოცე შენი გურიისთვის და სრულიად საქართველოსთვის!**

**— ერთი სანთელი მეც დამინთე და მუდამ გახსოვდეს: — ადამიანი საქმითა და საქციელით აგებს პასუხს ხალხის წინაშე!**

**— გამარჯვებას გისურვებ!**

**რეზო ამაშუკელი**
**25 სექტემბერი, 2016 წ.**

# ეკა ბესელია: სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ჩადენილი უკანონო ქმედებების თითქმის ნახევარი სამეგრელოზე მოდის

## არჩევნები ძალიან მშვიდად და აკადემიურად უნდა ჩატარდეს. ძალიან ფრთხილად და ყურადღებით უნდა ვიყოთ

20 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის პირველმა ნომერმა სენაკის მოსახლეობას ქალაქის მაჟორიტარად ყოფილი პარლამენტარი კობა ნაყოფია წარუდგინა. სიტყვით გამოსვლის შემდეგ, დავით ბაქრაძემ შეკრებილ მოსახლეობასთან საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში განაგრძო. ამ დროს მას ეტლში მჯდომი შეზღუდული შესაძლებლობების მოქალაქე მიუახლოვდა და თავი ყოფილი იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის პირად პატიმრად გააცნო. „მე გადავრჩი, მაგრამ დედა ჩემს ამბავს შეეწირა, ამიტომ ჩემთვის შეურაცხმყოფელია, როცა მერაბიშვილი და ადეიშვილი პოლიტპატიმრებად იწოდებიან, ხოლო სააკაშვილი პოლიტიკური ნიშნით დევნილად“ – უთხრა მამაკაცმა ნაციონალების სახეს. ვწუხვარ.. დანარჩენი ადამიანობაა, ცხოვრებაა.. ყველაფერი გრძელდება და ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ-უპასუხა აშკარად ნირწამხდარმა დავით ბაქრაძემ მოქალაქეს. წუხილამდე საქმე არ მისულა ნაციონალური მოძრაობის სიის მეორე ნომრის სამეგრელოში სტუმრობისას, თუმცა ინციდენტების გარეშე არც სანდრა რულოვსის მოსახლეობასთან შეხვედრებს ჩაუვლია: სოფელ ჯიხაშკარში ყოფილი პირველი ლედის მხარდამჭერებთან შეხვედრისას, შეკრებილებს ახალგაზრდების ჯგუფი მიუახლოვდა და სანდრა რულოვსს „ორგანოებით მოვაჭრე“ უწოდა.

რამდენად დაცული იყო სამეგრელოში ადამიანის უფლებები სააკაშვილის ცხრაწლიანი ხელისუფლების პერიოდში, არსებობს თუ არა რეგიონში სამოქალაქო დაპირისპირებისა და დესტაბილიზაციის საფრთხე, ვინ არიან და რა ინტერესები ამოძრავებთ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს? სამეგრელოში მიმდინარე პროცესებზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე **ეკა ბესელია** გვიამბობს:

– მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კომიტეტის ორწლიანი მუშაობის შედეგად, შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების დროინდელი წამების, არაადამიანური მოპყრობის, კერძო საკუთრების ხელყოფის, ქონების ჩამორთმევის, სისტემური დანაშაულებისა და სხვადასხვა ტიპის ძალადობრივი ფაქტების შესახებ შემოსულ საჩივრებს სწავლობდა. ჯგუფის მიერ 2016 წლის მაისში მომზადდა დასკვნა, რომლის საფუძველზე, პარლამენტმა თავისი ისტორიის მანძილზე უპრეცედენტო რეზოლუცია მიიღო და დადგენილებით დაადასტურა, რომ ქვეყანაში არსებობდა ძალადობრივი რეჟიმი და ხელისუფლების სათავეში მყოფი ადამიანები ადამიანურობის წინააღმდეგ, უმძიმეს დანაშაულს ჩადიოდნენ. ჩვენ ამ დადგენილებაში ჩავწერეთ, რომ იმ 81 ადამიანის გარდა, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ და გასამართლებული არიან, ამ სისტემური დანაშაულის ჩამდენი ყველა პირი, უნდა დაისაჯოს. ასევე ჩავწერეთ, რომ ისეთი ძალადობრივი ქმედების ჩამდენი პირები, როგორიცაა, წამება და ღირსების შემლახავი მოპყრობა, არასოდეს უნდა იყვნენ საჯარო თანამდებობებზე. მასალების კვლევისა და შესწავლის შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ 2004-2012 წლების ძალადობრივ ციკლში, რაოდენობრივად, სამეგრელო ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაზარალებული კუთხე გახლდათ. განსაკუთრებით სასტიკ ფორმებს მიაღწია ახალაიების ოჯახის ძალადობრივმა ქმედებებმა. მოგეხსენებათ, სახელმწიფომ დამნაშავედ ცნო როლანდ ახალაია ერთ-ერთ ეპიზოდში, რომელიც კერძო ბიზნესში უკანონო ჩარევას, თანხების უკანონო გადარიცხვას და უკანონოდ დადებულ საპროცესო შეთანხმებებს ეხებოდა. ამის გარდა, არსებობს ბევრი სხვა ეპიზოდი, სადაც გამოიკვეთა, რომ სამეგრელოში მასობრივად ჰქონდა ადგილი უკანონო დაკავებებს, უკანონოდ ბრალდებების წარდგენას, უკანონო განაჩენებს, წამების საშინელ ფორმებს და ა.შ. **სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ჩადენილი უკანონო ქმედებების თითქმის ნახევარი სამეგრელოზე მოდის და ეს ულამაზესი კუთხე განსაკუთრებული სისასტიკის პოლიგონად იყო ქცეული. მეტსაც გეტყვით, ისეთი სასტიკი, ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობის მეთოდები, როგორიც სამეგრელოში იყო გამოყენებული, სხვაგან ნაკლებად გვხვდება.**

**– შეგიძლიათ კონკრეტული მაგალითები დაგვისახელოთ?**

– სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილ ვიდეომასალას, პარლამენტში, დახურულ რეჟიმში ვუყურეთ. უფრო სწორად, ვერ ვუყურე, რადგან ვერ შევძელი ამ კადრების ყურება. ალბათ, მსგავსი სისასტიკე ფაშისტური რეჟიმის დროსაც არ ჩაუდენიათ, ამიტომ სამი წუთის შემდეგ, ისეთი ფსიქოლოგიური სტრესი მივიღე, რომ ორი დღის განმავლობაში მეტყველების უნარი მქონდა დაკარგული. გამოძიებით დადგინდა და სასამართლომ 11 პირის მიმართ გამოიტანა განაჩენი, რომ სამეგრელოს ტყეებში და მიტოვებულ ადგილებში, არსებობდა კუდის თანამშრომლების მიერ სპეციალურად მოწყობილი სამალავები, სადაც 20 ლარად დაქირავებულ მანიაკს უდანაშაულო ადამიანებს აუპატიურებინებდნენ. მათ შორის იყო გალიდან გადმოყვანილი ახალგაზრდა, რომელსაც ჩაუდენელი და ტერორისტული აქტის აღიარების მოთხოვნით აუპატიურებდნენ და ამ საშინელებას კამერით იღებდნენ. სააკაშვილმა და ახალაიების კლანმა ამ ყოვლად გაუგონარი მეთოდით გადაწყვიტეს სამეგრელოს დაჩოქება. **ყველას გვახსოვს თავდაცვის სამინისტროს ოფიცრის მკვლელობის ფაქტი, როდესაც ეს ადამიანი ზღვაში ნავით გაიყვანეს, მოკლეს, ფეხზე ქვა გამოაბეს და წყალში გადააგდეს. ეს შემზარავი დანაშაული იმიტომ მოხდა, რომ 2008 წლის ომის დროს, პაატა ქარდავას გაქცეული თანამდებობის პირებისგან განსხვავებით, ზუგდიდი არ დაუტოვებია. სწორედ მათ არ უნდოდათ, რომ ცოცხალი მოწმე ჰყოლოდათ და ეს ადამიანი ასეთი სასტიკი მეთოდით მოიცილეს თავიდან. სამწუხაროდ, დღემდე ვერ ვპოულობთ უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულ ბევრ ადამიანს და არსებობს ეჭვი, პაატა ქარდავასა და სხვების მსგავსად, ისინიც რეჟიმს ემსხვერპლნენ...** სამეგრელოში პრაქტიკულად, სრული ტერორი იყო. არაოფიციალურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა, რომელსაც სააკაშვილის ბანდა ხელმძღვანელობდა, ადამიანების დასჯის, დაპატიმრების, ქონების ჩამორთმევის და აწიოკების გზით მოახერხეს მოსახლეობაში შიში დაეთესათ. მსგავსი ძალადობა, რაც იმ წლებში სამეგრელომ გამოიარა, წარმოუდგენელია, ამიტომ, იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ ეს კუთხე მხარს დაუჭერს სააკაშვილის ცოლს, რომელიც ნაციონალური მოძრაობის სახეს და სიმბოლოს წარმოადგენს.



როგორც სამეგრელოში დაბადებულ და გაზრდილ ადამიანს, რომელიც კარგად იცნობს ამაყი და თავმოყვარე მეგრელი ხალხის განსაკუთრებულ თვისებებს, ვერ წარმომიდგენია, რომ მეგრელები ასეთ სირცხვილში გაყოფენ თავს. **მეგრულში არსებობს სიტყვა „ვაშინერს“, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით არ ითარგმნება და დაახლოებით, წარმოუდგენელს, ხელშეუხებელს ნიშნავს. ვაშინერს ანუ ღმერთმა არ ქნას.. რისი გაფიქრებაც კი არ შეიძლება. ამ სიტყვით მივმართე სანდრა რულოვსს და ვუთხარი, რომ მათ ყველაზე უწმინდური აკადრეს სამეგრელოს მოსახლეობას.**

**– როგორ ახსნით, რომ ცხრაწლიანი ტერორის მიუხედავად, ნაციონალურ მოძრაობას სამეგრელოში მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა მაინც ჰყავს?**

– ისინი არიან ახალაიების, გუნავას და სამეგრელოში მოთარეშე ნაციონალი მოძალადეების მეგობრები, ახლობლები და ნათესავები. მე არ მინახავს ნეიტრალური ადამიანი, რომელსაც მოძალადეებთან მეგობრული

**– სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილ ვიდეომასალას, პარლამენტში, დახურულ რეჟიმში ვუყურეთ. უფრო სწორად, ვერ ვუყურე, რადგან ვერ შევძელი ამ კადრების ყურება. ალბათ, მსგავსი სისასტიკე ფაშისტური რეჟიმის დროსაც არ ჩაუდენიათ, ამიტომ სამი წუთის შემდეგ, ისეთი ფსიქოლოგიური სტრესი მივიღე, რომ ორი დღის განმავლობაში მეტყველების უნარი მქონდა დაკარგული.**



ან ნათესაური კავშირი არა აქვს და ნაციონალების მხარდამჭერია. რეალურად, სამეგრელოში ამ პოლიტიკური ძალის მიმართ იმაზე მეტი მიუღებლობაა, ვიდრე თავის დროზე, „მხედრიონის“ მიმართ იყო, რადგან ეს კუთხე ძალადობას და შეურაცხყოფას არავის პატიობს. სწორედ ამიტომ, სანდრა რულოვსის ყალბი მეგრული და სააკაშვილის თვალებში დანახულზე საუბარი უტიფრობა, ცინიზმი და ჩვენი კუთხის დაცინვაა, რადგან ეს ქალბატონი მეგრელებს ისე შეხვდა, რომ ბოდიში არაფერზე მოუხდია. თავად დედა, როგორ ბედავს თვალებში შეხედოს მისი ქმრისა და მისი ქმრის კლანებისგან გამწარებულ და ძაძებით მოსილ დედებს?

**— სამედიცინო სფეროში სანდრა რულოვსის საეჭვო საქმიანობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა.. არსებობენ კონკრეტული ადამიანები, რომლებიც ყოფილ პირველ ლედის ადამიანის ორგანოების უკანონო ვაჭრობაში ადანაშაულებენ. ამ ფაქტების მოძიებით და შესწავლით თუ დაინტერესდა ვინმე?**

— არ მგონია, რომ ეს საკითხები შესწავლილი იყოს, მაგრამ ის, რომ გამოძიება ამით უნდა დაინტერესდეს, მინიმალური სტანდარტი და მოთხოვნაა. შეიძლება ვიღაცისთვის წარმოუდგენელია და ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ბევრი სხვადასხვა წყაროდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ პატიმრებს ტუბერკულოზით ხელოვნურად აინფიცირებდნენ, საავადმყოფოში პრაქტიკულად მკვდარი გადაჰყავდათ, შემდეგ იქ სიკვდილს აფიქსირებდნენ და კვეთდნენ. გარდაცვლილის ოჯახმა არ იცოდა, რა ტიპის ექსპერტიზა ტარდებოდა, რომელი ორგანოები ჰქონდა პატიმარს და რომელი არა. ეს არ არის ფანტასტიკა და ზღაპარი. ეს არის სხვადასხვა წყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელზეც ბუნებრივია, გამოძიება უნდა ჩატარდეს.

**— გარკვეული კითხვები არსებობს საპარლამენტო არჩევნებში სანდრა რულოვსის მონაწილეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, აკმაყოფილებს თუ არა ქალბატონი სანდრა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნას ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში უწყვეტად ცხოვრებასთან დაკავშირებით?**

— რაც შეეხება ამ ყოფილი პირველი ლედის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის სამართლებრივ მხარეს და კანონმდებლობასთან შესაბამისობას, იმ სამსახურებმა უნდა შეამოწმონ, რომლებსაც ეს ევალებათ. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში სამართლებრივზე მძიმე მორალური მხარეა, რადგან სანდრა რულოვსი მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრია და სრულად ინაწილებს იმ მორალურ პასუხისმგებლობას, რომელსაც ყოფილი პრეზიდენტი ატარებს.

**— რამდენიმე დღის წინ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ რომ პროვოკაციების კუთხით განსაკუთრებული კონცენტრაცია სამეგრელოსა (განსაკუთრებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში) და აჭარის რეგიონში შეინიშნება. საუბარია, აგრეთვე, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების ხელში ჩაგდების გეგმაზე. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ მოვლენების ამგვარად განვითარება?**

— არ მინდა, რომ ასეთი დრამატული სცენარი დავხატოთ და ჩვენი მოქალაქეები შევაშინოთ.



სურვილის მიუხედავად, ამ ადამიანებს არა აქვთ იმის რესურსი, რომ მსგავსი უბედურება განახორციელონ. **დიახ, „ნაცმოძრაობა“, ეს ყველაფრის ჩამდენი და მკადრებელი ხალხია, რომელიც საკუთარი მიზნის განხორციელებისთვის ქვას ქვაზე არ დატოვებს. ამ ადამიანებს ძალიან უნდათ პროვოკაციები, ქაოსი, არეულობა და ძალადობრივი გზით ხელისუფლებაში დაბრუნება, მაგრამ ამის არც რესურსი აქვთ და ჩვენი სამართალდამცავებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ რაიმე ტიპის დესტაბილიზაცია არ მოხდეს.** ჩვენ ვაფრთხილებთ და მოვუწოდებთ ჩვენს მოქალაქეებს სიმშვიდისკენ. არჩევნები ძალიან მშვიდად და აკადემიურად უნდა ჩატარდეს, მაგრამ ძალიან ფრთხილად და ყურადღებით უნდა ვიყოთ.

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ კორცხელის ამბებზეც.. ამბობენ, რომ კორცხელში ხელისუფლებამ იმიტომ წააგო, რომ „ნაციონალის“ მაჟორიტარად დასახელების გამო, შეურაცხყოფილმა ამომრჩეველმა ხელისუფლებას ხმა პროტესტის ნიშნად არ მისცა..**

— დავიწყებ იმით, რომ ამ არჩევნებზე ადამიანებს ჰქონდათ თავისუფალი არჩევანის საშუალება და რაც მოხდა, ამის პირდაპირი მტკიცებულებაა. სამწუხაროდ, შუალედურ არჩევნებზე, კორცხელში გარკვეული ხარვეზები იყო. შეცდომა იქნა დაშვებული კანდიდატთან დაკავშირებითაც და ამ შეცდომის შედეგად, მას არ ჰქონდა ისეთი მხარდაჭერა, როგორსაც ველოდით. ამ შემთხვევაში, კანდიდატის თემამ განაპირობა შედეგი, ამიტომ კანდიდატების შერჩევის დროს საჭიროა ძალიან დიდი ყურადღება, რომ ასეთი რამ აღარ მოხდეს.

**— საუბრის ბოლოს, იქნებ სამეგრელოში წარმატებით განხორციელებულ პროექტებზეც გვიამბოთ, რომლებზეც მოსახლეობამ ბევრი არაფერი იცის.**



— მთლიანობაში სამეგრელოში, 400-ზე მეტი მასშტაბური პროექტი განხორციელდა. მათ შორის არის საავადმყოფო, რომელიც აფხაზეთის საზღვართან შენდება. ასეთი ინფრასტრუქტურის და მასშტაბის საავადმყოფო ამ რეგიონს აქამდე არ ჰქონია. ეს საავადმყოფო ადგილობრივ მოსახლეობას და აფხაზეთიდან გადმოსულ მოქალაქეებს საშუალებას მისცემს სამედიცინო დახმარება ადგილზე მიიღონ. ფოთში განხორციელდა უპრეცენდენტო, 21 მილიონიანი პროექტი. დამონტაჟდა რეზერვუარები, რომლებიც 24 წყალმომარაგებას უზრუნველყოფს. მალთაყვის პროექტი, ახალი ბულვარი, ახალი თეატრი, ანაკლიის პორტის მშენებლობა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ახალ შესაძლებლობებს გაუჩენს, უდიდესი კომუნიკაციები და ინფრასტრუქტურა.. არც კი ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, თუმცა, გეტყვით, რომ ამ პროექტების განხორციელებისთვის, სამეგრელოში დაიხარჯა ასობით მილიონი ლარი. ჩვენც გამოვეცით დეტალური ანგარიში სამეგრელოში ჩატარებული სამუშაოების შესახებ, რომელიც მოქალაქეებს დაურიგდათ და მათ ექნებათ შესაძლებლობა, ეს ანგარიში ნახონ. ვფიქრობ, ყველაზე მთავარია, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების სრულიად ახალი სტანდარტი. დასრულდა ადამიანების წამება და განსხვავებული აზრის გამო დევნა. ქვეყანა ჭრილობებს იშუშებს და იწყება უფრო მეტი განვითარდება, უფრო მეტი პროგრესი და კეთილდღეობა, რომელიც ყველა ოჯახში შევა. მთავარია, რომ დავასრულოთ ამ ძალადობრივი რეჟიმის ნარჩენები და ჩავაბაროთ ისინი წარსულს. მჯერა, რომ რვა ოქტომბერს სამეგრელო პასუხს გასცემს მოძალადეებს პაატა ქარდავასთვის, მერაბ ყოლბაიასთვის და უამრავი ნაწამები ადამიანისთვის, რომლებსაც ისეთი რამე აკადრეს, რომ სიცოცხლეშივე მოუსწრაფეს სიცოცხლე. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ამაყი და თავმოყვარე კუთხე შეურაცხყოფას არავის აპატიებს. ბოროტი ძალა, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას და მოქალაქეებს ამ არჩევნების შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ წარსულს უნდა ჩაბარდეს და იმედი მაქვს, ასეც მოხდება.

ნელი თორდია

®

## მიხეილ სააკაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, ნუგზარ წიკლაური, აკო მინაშვილი და კაკო ბობოხიძე გადატრიალებას გეგმავენ

რა სულ ტრიალი ელანდებათ — ხან დუბინკის, ხან ცოცხის, ხან კასტილას სასქესო ორგანოსი...

რით ვერ დაწყნარდა ამათი ოხერი გული.

9 წელი ჯიჯგნეს და ჭამეს ეს ქვეყანა.

რა დაგიშავათ ასეთი საქართველომ, ჯავრი რომ ვერ ამოიყარეთ?!

ჩემი ხალხი, ჩემი ხალხიო, რომ გაიძახის მიშა. ვინაა შენი ხალხი, სააკაშვილო, სისხლი და ხორცი ცალ-ცალკე რომ გაყიდე ტრანსპლანტოლოგთა შავ ბაზარზე, ისინი იყვნენ შენი ხალხი?

2003-დან 2011-მდე საქართველოს საპატიმროებში 274 675 ადამიანი რომ გყავდა საპატიმროში გამომწყვდეული, ისინია შენი ხალხი?

70779 ადამიანს რომ გაუფორმე საპროცესო შეთანხმება, 28258 ადმინისტრაციულ პატიმრობაში რომ გყავდა, 615-ზე მეტი ციხეებში გაურკვეველ ვითარებაში რომ გარდაიცვალა, 108 სპეცოპერაციების დროს რომ ძალღებივით მიაკალი, ესენი არ იყო შენი ხალხი?

1 632 403 სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი, ანუ ღატაკი რომ გყავდა შენი მმართველობისას, ისინი არ იყო შენი ხალხი?

5 წლამდე ბავშვთა სიკვდლიანობის მაჩვენებლით ევროპის 47 ქვეყნიდან პირველ ადგილზე რომ ვიყავით, მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავალი შენი ზეობისას 2 ევროს რომ არ აღემატებოდა, ის ხალხია შენი ხალხი და ახლა ამ ხალხის არჩევნების გზით არჩეული მთავრობა შენ უნდა გადაატრიალო?

ზღვინტლიანი წიკლაური და „სიდედრიჩი“ აკო, მინაშვილი, ჩაის ფაბრიკის მწონავს რომ ჰგავს, ის კაკოია ბობოხიძე გვიწყობს გადატრიალებას და წამლის ბარიგა პეტრე ცისკარიშვილი. სააკაშვილი კი ჭაჭანაჭამი ინდაურივით ბოყინ-ბოყინით ყვება გადატრიალების გეგმას.

ბიჭოო, თქვენი ცოლები ვერ გადაგიტრიალებიათ ხეირიანად ლოგინში და საქართველოს უპირებთ გადატრიალებას?!

სააკაშვილო, მიხედე შენს ცოლს და ის გაარკვიე, რას ტრიალებს წაღმა-უკუღმა და რატომ დასდევს თენგო გუნავას ენგურ-ენგურ ანაკლიის ხიდზე...

„ქართული ოცნება“ მხოლოდ ივანიშვილი კი არა, საქართველოცაა და ქართველი ხალხიც, რომლებმაც ივანიშვილის ხათრით არ ამოგხადათ სული აქამდე, თქვე უნამუსოებო.

ამ მართლა ღვთისნიერმა კაცმა, არეულობა და სისხლისღვრა რომ აერიდებინა ქვეყნისთვის, იმიტომ დაგინდოთ თქვენ.

დაჭერები და სასამართლოები რომ დაწყებულიყო, ღია ჭრილობაზე მარილის მოყრასავით იქნებოდა ყველაფერი.

რაც დრო გადის, უფრო კარგად ჩნდება, ნაცებო, თქვენი სახე. ამდენი სისაძაგლის ჩამდენებს კიდევ შეგეძლოთ ზოგიერთი გაუთვითცნობიერებლის მოტყუება ცრუ დემაგოგიით. ახლა ხომ ცხადად დაინახა ყველამ თქვენი ნამდვილი სახე.

ამაშია ივანიშვილი მაგარი და ასეთი ნაგვები და ქვეყნის გამყიდველები ხართ თქვენ.

აწი, ციხის ნარზე გადატრიალდით და ერთმანეთს შეურჭვეთ ცერი მიჩვეულ უხერხულ ადგილებში.

ირანდა კალანდაძე

# მეშახტე მიშა, ანუ სააკაშვილი საქართველოში შემოპარვას გვირაბებით აპირებს?



მოსწყინდა მიშას ოდესის გუბერნატორის რეზიდენცია...

თანაც, ოდესაში საქართველოს გამო წავედიო, ოდესა რომ დაცემულიყო, საქართველო წაიშლებოდა მსოფლიო რუკიდანო, დაგვაყვედრა არაერთხელ... ჰოდა, წამოაყენა ფეხზე ოდესა, გადაარჩინა დაცემას და გადაგვარჩინა ჩვენც მსოფლიო რუკიდან წაშლას...

მერე ანაზდად გაახსენდა, რომ საქართველოს რუკაც არსებობს და დაიბარა «რუსთავი 2» ოდესაში...

მართალია, «რუსთავი 2»-მა განაცხადა, ჩვენ დაგვაინტერესაო, რამ შეუშალა ხელი ყოფილ პრეზიდენტს დაპირებების ასრულებაში და ვეწვიეთო, მაგრამ, მეტი საქმე არ აქვს მიშას, იმაზე ფიქრობდეს, თქვენ რა გაინტერესებთ...

ისიც მართალია, რომ აქამდე «რუსთავი2» დღეში მინიმუმ 5 ჯერ მაინც ჩაგვძახოდა, ხომ მაგარი იყო მიშა, რა დროშა მოგვცაო... როგორ ყველა დაპირება აასრულაო, მაგრამ ჩვენ რომ ერთხელაც არ ამოვძახეთ ჭურიდან იგივე, არ ვსხედვართ ჭურში, ბატონო და იმიტომ, გეგმა შეცვალეს და შეუსრულებელი დაპირებების მიზეზთა ძებნას შეუდგნენ...



ჰოდა, დაიბარა მიშამ «რუსთავი2»-ი და აფრინეს აკაკი გოგიჩაიშვილი ოდესაში...

ჯერ გუბერნია გამოაჩინეს კადრში, აქაოდა, მართლაც მუშაობს აქ ჩვენი მიშაო, ეგ თქვენ უსაქმური არ გეგონოთო, მერე ეგრევე გაცუნცულდნენ რეზიდენციაში, სადაც ბარბექიუ დაახვედრა ყოფილმა პრეზიდენტმა მეგობრებს... მოკლედ, რაც ვანო ჯავახიშვილის არ ასვა და რა აჭამა (ცარიელ მაგიდას მიუსხა მაშინ სტუმრები ოდესის გუბერნატორმა) სულ აკაკი გოგიჩაიშვილისთვის ჰქონია გადანახული...

ძველი დრო გაიხსენა მიშამ ღიმილით, თავზეხელაღებული ვიყავიო, ჰაი, გიდიო... ცხენს რომ მოვახტებოდი და ნაბადში ქალს გავახვევდი, ვარდენაც ვერ მიბედავდა გამოდევნებასო...

ახლა დავდინჯდიო, დავბრძენდიო, რისკებს აღარ გავწევო... რითია ისრაელი ჩვენზე ნაკლებიო... ჰო, ეს ისრაელი რა თავში იყო, მეც ვერ გავიგე, მაგრამ, რა ვიცი, იმან უკეთ იცის...

რისკებს აღარ გაწევთ, ბატონო ყოფილო პრეზიდენტო, ანუ, ომს აღარ დაიწყებთ, აღარ ჩაგვიხოცავთ საჯიშე გოგოებსა და ბიჭებს და ჰალსტუხს აღარ შეექცევით? ანუ, ციხეებში მექანიკური ცოცხების ნაცვლად ელექტროცოცხებს შემოიტანთ? ანუ, საფერფელეს აღარ ესვრით, თუ შეგეპასუხებიან? ანუ, ვანოს გვამების მოტანას აღარ დაავალებთ, ხოლმე? ანუ, ქალებშიც აღარ ივლით და მასაჟისტებსაც აღარ ჩამოიყვანთ ევროპიდან ჩვენი ბიუჯეტის ხარჯზე? ანუ, დაბრძანდებით რეზიდენციაში და მოქსოვთ?

გმადლობთ, გვყავს ერთი ეგეთი უკვე...

რა დღე დაგიდგათ, ბატონო ყოფილო პრეზიდენტო, მარგველაშვილს ბაძავთ?

წარბი შეათამაშა მიშამ, ჰეჰეო — ჩაიკისკისა... დაიჯერეთო?

მეორე ტალღა დავაკელი მე საქართველოსო... აი, მანდ მივქარეო... პირველი ტალღის მერე მოვდუნდი, გართობას მივეცი თავი და ტანი და მეორე ტალღის საჭიროება გამომეპარაო... ჰოდა, იმ მეორე ტალღის გეშინოდეთო...

ვერ ჩაუხედავს სანდრას მიშას თვალებში სათანადოდ...

ჰოდა, საქართველოს რუკა გაშალა ბარბექიუთი დანაყრებულმა...

გაშალა და ოთხი ახალი ქალაქი აღმოაჩინა: ბათუმი, ქუთაისი, ლაზიკა ფოთითურთ და თბილისი... ამ ოთხ ახალ ქალაქს ავაშენებ მეო... ხოხობი გაუშვით ჯერ, ხოხობი, ფეხი არ დაგიცდეთ და არ დაიფუფქოთ... აღმაშენებლის საფლავი გადაიტანეთ მერე, საფლავის ქვაზე ფეხის დადგმამ რომ არ შეგახსენოთ, ამ ქალაქების ისტორიის არსებობა და არ გაწითლდეთ...

გადაურა საქართველოს რუკას მარკერის შავი მსხვილი ხაზებით და აგერ სამეგრელო, აქედანაა ბებიაჩემიო, ბიჭოს, აგერ გურია, აქედანაცაა ბებიაჩემიო, აგერ კახეთი და ჩემი მეღვინეობაო, აგერ სვანეთის და რაჭის კურორტები და მამაჩემია კურორტოლოოგიის უძლიერესი სპეციალისტიო, ციხეებს გვერდი აუარა მორცხვად, ეტყობა პროქტოლოგი არ ჰყავს ოჯახში და ნუ, ხაშური გამოტოვა ჩვეულებისამებრ...

ანაზდად გაახსენდა დედაქალაქი... ატრიალა მარკერი თბილისის ქუჩებში, აქედან, აქედან, აქედან და აქედან მანქანებს მარცხენა სანაპიროზე ჩავუშვებო... აუფ, სულ თავისუფალია მარცხენა სანაპირო და თქვენგან გაშვებულ მანქანებს ელოდება...

მერე მანქანებზე გაახსენდა, მე არ დამაცალეთ თორემო, მანქანებს შეგიცვლიდითო, ყველას მოგცემდით უფასოდ ელექტრო მანქანებსო, ნუ, თითქმის უფასოდო და ამ თქვენს მანქანებს გავიტანდი და რამეს ვუზამდიო, არ დამაცადეთ და იარეთ ახლა ჯიპებითო... გატანაში და გაყიდვაში რომ მაგარი ბრძანდებით, ბატონო პრეზიდენტო, ეგ ვიცით, ვიცით...

ისევ რუკას მიუბრუნდა აღტყინებული, გადააწვინა მაგიდაზე დიადი ღიპი, რომ რუკის ზედა მხარეებსაც კარგად მისწვდენოდა მარკერით, ხან გურიას შემოადო უკანალი, ხან კახეთს და ხაზა და ხაზა სვანეთი... მერე ეგაც მოწყინდა და გვირაბიო — შესძახა... გვირაბი დამავიწყდაო, აი, აქ გავთხრი გვირაბსო, გაავლო უაზრმაზარ ტერიტორიას მარკერი... გახედა გვერდიდან რუკას, ეცოტავა გვირაბის სიდიდე, აქაც გავთხრი გვირაბსო, აქაცო, გვირაბი იცით როგორი მნიშვნელოვანია ქვეყნისთვისო? დაგვიმარცვლა უკეთ გასაგებად, გვი-რა-ბი, გვი-რა-ბი...

რომელი თხუნელა თქვენ მყავხართ, ბატონო ყოფილო პრეზიდენტო, ან რომელი შახტიორი...

ეო, მე არაფრის მეშინიაო, მე თავად სიკვდილისაც არ მეშინიაო, ნუ ახლა, ერთი სისუსტე კი მაქვს, ცოტა ქართველი ხალხის სასამართლოსი შემეშინდა, ცოტა მიტინგებისაც შემეშინდა და შემომეცემეთ, ცოტა ტელეკომპანია «იმედის» შემეშინდა და შემომერბია, ცოტა ვიღაცეები არ მომეწონა და შემოაკვდათ ჩემებსო, მაგრამ საერთო ჯამში, მე უშიშარი ვარ ვითარცა შახტიორი და ასე სახელდახელოდ გათხრილი გვირაბით დაგადგებით თავს და დაგაგვირაბებთო...

მარტო მუშაობთ და არ იცით, როდის იქნება მზად?

ჰო, გზა, გზა...

სანდრამ გაგვიღიმა, თავისი შემპარავი და გაუგებარი ღიმილით, მიშას ჩამოსვლა გარდაუვალიაო...

სცოდნია, ეტყობა, გვირაბის ამბავი...

და რომ ვერ გამოეტიოთ იმ გვირაბში და გაეკვეხოთ სადმე უნიჭო შახტიორივით ან გამოედოთ რამეს და თავზე ჩამოგექცეთ ამოდენა ნაშრომი, სად მიდიხართ, ვის უტოვებთ ოდესას და საქართველოს? ხომ დაეცა ოდესა და წაიშალა საქართველო მსოფლიო რუკიდან?

ეჰ, სიმღერის გადაკეთებაც მოგიწევთ...

გვირაბი მოგვცა მიშამა, გათხარა, მიწები სახნავ-სათესი-ო...

ჰოდა, მორჩა ჭორაობა და თავის მტვრევა იმაზე ფიქრით, საიდან და როგორ შემოიპარებით საქართველოში... ზოგი ამბობდა, გადმოფრინდებაო, ზოგი — გადმოცურავსო, ცოტა უფრო შეშინებული წინასწარმეტყველებდა პროდუქტებით დატვირთულ სატვირთოში დაიმალებაო... არადა, კაცი დინჯად და თავზეხელაუღებლად თხრის თურმე გვირაბებს და ერთ უშნო დღეს, ამოანგრევს სადმე მიწას და ამოყოფს თავს... ჩემს ბინას აცდებოდეს, სიმწრით მაქვს დაქირავებული, საძინებელში არ ამომიტეხავდეს იატაკს და არ ამოყოფდეს გაწეწილს, მიწიან თავს და ჯანდაბას...

არა, ამ გვირაბზე საუბარსაც აქვს თავისი დადებითი მხარეები, მაგალითად: ვისაც იმის შიში ჰქონდა, ეგ მთაწმინდიდან აპირებს გამოქანებას და არ დამასკდესო, ახლა ამოისუნთქა და მთაწმინდისკენ ცქერით გადაღლილი კისერი დაბლა დახარა რომ მიწას დააშტეროს მზერა...

ფეისბუქზე კიდევ ფანტაზია გაულამაზა გვირაბმა ადამიანებს: ერთი წერდა, ამ საღამოს ვიწყებ გვირაბის გათხრას სიდედრის სახლამდე, მარილი მინდა ჩავაყარო ყურშიო; მეორემ, გვირაბს გავთხრი სახლიდან სამსახურამდე, გზაში რომ საცობში არ ვიდგეო; მესამემ უკვე დაიწყო გვირაბის გათხრა მეზობელი თინას საძინებლამდე, ვის აძლევს ერთი ამისთანას, მე რომ მიწუნებს, უნდა ვნახოო და ასე უსასრულოდ...

მიშა კი ზის ახლა თავის რეზიდენციაში, გვერდით უსხედან ოდესელი ლამაზმანები (აკი, ვანო ჯავახიშვილს წაეტრაბახა, ქალები აქაა, თუაო), მიირთმევს რამე დელიკატესს და ფიქრობს... ფიქრობს იმ ბედნიერ წამზე, როცა გვირაბიდან ამოყოფს მეშახტის გაოფლილ თავს, კაბინეტში მოკალათდება, გვერდით მოისხამს ვანოს, გიგის, გიგას, ახალაიებს და ამ უმადურ ქართველებს წარღვნის დაპირებულ მეორე ტალღას გამოუგზავნის საჩუქრად...

**თამუნა კეჟელავა**
555 46 08 04



## გურამ პეტრიაშვილი:

# ისეთი პატრიოტი ხალხი ცხოვრობს იქ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სამეგრელო საქართველოს გულია...

## სანდრა გაიძახის: რძალი ვარ მეგრელებისო. მეგრელების როგორ არის, კაცო, ეგ ხომ სომხების რძალია?!

გვესაუბრება მწერალი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლი გურამ პეტრიაშვილი

**— ბატონო გურამ, წინასაარჩევნოდ სამეგრელოში პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა იწევს. რამდენადაც ვიცი, გარკვეულ ხანს თქვენ ზუგდიდში ცხოვრობდით, რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?**

— მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიას ადმინისტრაციამ ზუგდიდში გადაინაცვლა, მქონდა ბედნიერება, მეცხოვრა სამეგრელოში და უკეთ გამეცნო ეს მხარე.

სამეგრელოში ბევრი ისეთი რამ არის შემორჩენილი, რაც დანარჩენ საქართველოში, შეიძლება, უკვე დაკარგულია.

სამეგრელოში არც ერთ ოჯახში ისე არ გამითევია ღამე, რომ დილით სკამზე არ დამხვედროდა ჩემი გარეცხილ-გაუთოებული ტანისამოსი.

სიამოვნებით ვიხსენებ ერთ-ერთ ჩემს ძვირფას მასპინძელს მურთაზ ბერდეხელიას და კიდევ მრავალ მეგრულ ოჯახს, იმ სიდუხჭირის ჟამს, თვითონ რომ იკლებდნენ ყველაფერს, ოღონდ სტუმრისთვის პატივი ეცათ.

მეგრელები საქართველოს ერთ მესამედს შეადგენენ და მიუხედავად მრავალრიცხოვნობისა, თითქმის ყველგან თვალშისაცემია სახელმწიფოებრივი შეგრძნება. ისინი, ფაქტობრივად, საქართველოს სიძლიერის მთავარი საფუძველნი არიან. ერთ ამბავს გავიხსენებ: სამეგრელოში ყოფნისას ერთმა უსაყვარლესმა კაცმა, დიდებულმა ზაურ ქობალიამ მკითხა: რას შვები, გურამ, მეგრულს სწავლობო? — კი არ ვსწავლობ, ვიხსენებ-მეთქი, ვუთხარი და ზაურს თვალები ცრემლით აევსო.

სამეგრელო საქართველოს წარსული და მომავალია.

**— ამიტომ ემტერებოდა შევარდნაძეც და „მხედრიონიც“ 90-იანებში და შემდეგ უკვე „ნაცმოძრაობაც“? სპეციალურად ხომ არ იყო მიქსეული სამეგრელოზე ამაოხრებლები?**

— ჯაბა იოსელიანმა თქვა: ჩვენ აფხაზებთან კი არ გვქონდა რაიმე საწინააღმდეგო, ზვიადისტების განადგურება გვინდოდა მთელ საქართველოში, ამიტომ შევედით სამეგრელოშიო.

ზვიადის მტრები, ანუ საქართველოს ამაოხრებლები დღესაც აქ არიან, არსად არ წასულან. ვინ იყო სააკაშვილის დროს კულტურის მინისტრი, გაიხსენეთ — მამალი „მხედრიონელი“ ნიკოლოზ რურუა.

ჩემი შვილიშვილის ნათლიამ, ზვიად გამსახურდიას ერთგულმა კაცმა გოჩა კელენჯერიძემ ერთხელ მითხრა: ავტომატებით დამდევდნენ ბოკერია, გაბაშვილები და ძმანი მათნიო. ეს კაცი წლებია ესპანეთში არის გადახვეწილი და სამშობლოში ვერ ბრუნდება. თუკი „ნაციონალები“, ზოგიერთების მრუდი აზრით, საქართველოს მოკეთეები იყვნენ, გოჩა კელენჯერიძე და მისნაირები საქართველოში რატომ ვერ ბრუნდებიან?! ბოკერია სახელმწიფოს სათავეებთან იდგა, გაბაშვილებიც, რურუებიც, ბარამიძეც, ხუნტის ხელში იყო ძალაუფლება და როგორ გადარჩა საქართველო, ეგეც საკითხავია.

**ახლა ზვიად გამსახურდია რომ წამოაყენა და მისი მომხრეები სააკაშვილის გვერდით რომ დაენახა, ალბათ, გული გაუსკდებოდა**

მინდა გულით მოვეფერო ჩემს სამეგრელოს. ძალიან საყვარელი ხალხი და ულამაზესი ადგილია მთელ დედამიწაზე.

ილიამ რომ თქვა: სამეგრელოში ჩავედი და საქართველო ვნახეო, მე შემიძლია ვთქვა, რომ სამეგრელო საქართველოს გულია, ისეთი პატრიოტი ხალხი ცხოვრობს იქ.

იმ შავბნელ პერიოდში უზენაესი საბჭოს ერთი ზუგდიდელი დეპუტატი დაიჭირეს „მხედრიონელებმა“. მიაბეს სკამზე და დაუწყეს ცემა. მივიდა ერთი ზორბა „მხედრიონელი“ თურმე და უთხრა: მე, კახელი კაცი, მოგკლავ შენ, რადგან არა ხარ ქართველიო. იმას უპასუხია: ამით ჩემს კახეთს ვერ შემაჯავრებ, ის ისევეა შენი, როგორც ჩემიო. ის ადამიანი სასწაულებრივად გადარჩა მაშინ, მაგრამ მერე, ბალტინის ჯარები რომ შემოვიდნენ და „მხედრიონელები“ შემოყვნენ, მაშინ მოკლეს — ეს საქართველოს გმირი. ასეთი ხალხი ცოვრობდა და ცხოვრობს სამეგრელოში. ამიტომაც ვერ იტანდნენ ნაციონალები. ამიტომაც დაატეხეს სამეგრელოს თავზარი.

**— თუმცა მომხრეები მაინც ჰყავს „ნაცმოძრაობას“ სამეგრელოს მოსახლეობაში.**

— მე მინდა მივმართო ყველას — მუშას, მასწავლებელს, პენსიონერს: გაფრთხილდით, ძმებო, სამეგრელოში ნაციონალებმა რომ ხმების დიდი რაოდენობა მოაგროვონ, დაიღუპება საქართველო, მაგრამ ჩვენი თანამემამულე, ვაჟკაცი კაცი და შესანიშნავი მწერალი — ლაშა გვასალია რას ფიქრობს ამაზე? ხომ აქვს იმედი, რომ გაიმარჯვებს საქართველო სამეგრელოში თუ სანდრა რულოვსი, ცრუ-ს დედოფალი, ეს ქუჩის კატა იბოგინებს კოლხეთის ღვთიურ მიწაზე?

საქართველოში რომ მოდიოდა, განაცხადა: ან ჟანა დ'არკივით უნდა მომკლან, ან თამარ მეფე ვიქნები საქართველოსთვისო. ამაზე მეტი გომბიო არსებობს ქვეყანაზე? სანდრა გაიძახის: **რძალი ვარ მეგრელებისო. მეგრელების როგორ არის, კაცო, ეგ ხომ სომხების რძალია.**

**— რატომ დაიბუდეს ნაცებმა მაინცდამაინც სამეგრელოში?**

— სადაც მეტი პატრიოტი და კარგი ადამიანია, იქ, ასევე, მრავლად არის ნაძირალა და გამყიდველი. სამწუხაროდ, სამეგრელოშიც მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობის ფასად ცდილობს გაყიდოს ქვეყანა, საკუთარი მიწა.

მე როცა სიყვარულის ჰიმნს ვუმღერი სამეგრელოს, მშვენივრად ვიცი, იქ არა მხოლოდ ავთანდილები და ტარიელები არიან, არამედ იქ ბრძანდება გულსისხლიანი ჭაშნაგირიც.

ადრეც მოგიყევით და კიდევ ერთხელ გავიხსენებ: ზვიად გამსახურდიასთან მისულან. ზვიადი იჯდა თურმე და რაღაც დოკუმენტს ჩასცქეროდა.

— ბატონო ზვიად, სამტრედიაში შევედით ისე, რომ ერთი ტყვიაც არ გაგვისროლიაო. ზვიადი თურმე ხმას არ იღებს. კიდევ გაუმეორებიათ, კვლავ დუმილი. ისევ რომ იგივე უთქვამთ, ზვიადს უპასუხია: ძალიან კარგი, რომ მშვიდობიანად შევედით, მაგრამ ჩვენ მაინც დავმარცხდებით, შევარდნაძე დაიკავებს მთელ საქართველოს, მერე კი შევარდნაძეს შეცვლის მისივე ლეკვი, რომელიც უარესებს უზამს საქართველოს. მაგრამ მე არ დავთმობ, ამათ თავს შევაკლავ, ამიტომ ჩამოვედი საქართველოშიო.

თუნდაც ამ სიტყვების შემდეგ როგორ შეიძლება ისეთმა კაცმა ან ქალმა, რომელიც ოდესმე ზვიად გამსახურდიას გვერდით მდგარა, შევარდნაძის ლეკვს დაუჭიროს მხარი?!

**ზოგიერთი ზვიადისტი დღეს მიშისტობას იბრალებს. აღიარონ, რომ გამოტვინდნენ და ტ..აკები გახდნენ. როგორ შეიძლება ანგელოზის მსახურიც იყო და ეშმაკსაც უკმევდე გუნდრუკს?!**

ზვიადის ვითომ მომხრეები, ეტყობა, მაშინაც გულით მოღალატეები იყვნენ, ოღონდ ადრე არ ჩანდა ყველაფერი. **ახლა ზვიად გამსახურდია რომ წამოაყენა და მისი მომხრეები სააკაშვილის გვერდით რომ დაენახა, ალბათ, გული გაუსკდებოდა.**

ბედის უკუღმართობაა სამეგრელოში ნაცების ბოგინი, მაგრამ იმედი მაქვს, 8 ოქტომბერს ამას წერტილი დაესმება.



**ირანდა კალანდაძე**

# ირაკლი ხახუბია:

# 8 ოქტომბერს გამოჩნდება, რამდენად გვიყვარს ფოთელებს ჩვენი ქალაქი

## ფოთი ის ქალაქია, რომელზეც ბუნებამ იზრუნა, მისთვის „განსაკუთრებულის“ სტატუსის მისანიჭებლად. ფოთი აუცილებლად მიიღებს ამ სტატუსს და იქნება ნამდვილად განსაკუთრებული



დაიბადა 1971 წლის 15 მაისს ქ. ფოთში;

1977-1982 წლებში სწავლობდა ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახელობის #2 საჯარო სკოლაში; შემდეგ თბილისში 77-ე საშუალო სკოლაში, რომელიც ოქროს მედალზე დაამთავრა;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტო-საინჟინრო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტზე.

2000-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

2007 წლიდან ბიზნესშია.

არის კომპანია ,,აისბერგი 2“-ისა და კომპანია ,,ჯეონათსის“ დამფუძნებელი; ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟიშვილი და ორი შვილიშვილი.

**— ბატონო ირაკლი, თქვენ ფოთის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის ნაწილის ამომრჩეველთა დაპუტატობის კანდიდატად წარგადგინეს. დამეთანხმებით, საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა, მზად ხართ ამისთვის?**

— მართლაც უდიდესი პასუხისმგებლობაა პარლამენტში ერთდროულად ორი კუთხის ამომრჩეველს წარმოადგენდე. ფოთი ადრე საზღვარი იყო გურიასა და სამეგრელოს შორის. დღეს გაერთიანების წერტილია.

პირადად ჩემთვის გურული კრიმანჭული დემოკრატიის ჰიმნია, სადაც ყველა ხმა თავის სათქმელს ბოლომდე და განსხვავებულად ამბობს და ამ პოლიფონიით ვიღებთ საოცარ შედეგს. გურული მრავალხმიანობა 8 ოქტომბრის საარჩევნო პროცესს სასიკეთოდ წაადგება.



4 წლის წინ „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო პოლიტიკური ძალადობის შეჩერება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოიტანა სხვა პრინციპები და ღირებულებები. თავისუფალი ქვეყანა თავისუფალი ადამიანებით, სადაც მთავარია კანონი და მის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია. ეს გუნდი აშენებს ქვყანას, სადაც ნებისმიერს აქვს თანაბარი შანსი, მიაღწიოს შესაძლებლობების მაქსიმუმს და აისრულოს ოცნება. რა თქმა უნდა, ამისთვის ხელებდაკაპიწებული შრომა დაგვჭირდება, სადაც არ უნდა ვიყოთ – პარლამენტის ტრიბუნასთან თუ საკუთარ კარმიდამოში. ლანჩხუთშიც, ოზურგეთშიც და ფოთშიც ერთნაირად სურთ ადამიანებს ცხოვრების სრულფასოვანი პირობები.

**— ბატონო ირაკლი, პოლიტიკაში ბიზნესიდან მოდიხართ. ბიზნესი აღარააა თქვენთვის საინტერესო?**

— არა, ბიზნესი ის სფეროა, რომელიც შეუძლებელია ამოწურო. უბრალოდ, დგება მომენტი, როცა უნდა აიღო მეტი პასუხისმგებლობა, როცა კონკრეტულ ადგილას უფრო საჭირო ხარ. ვფიქრობ, გამარჯვების შემთხვევაში, ჩემი ამომრჩევლისთვის პარლამენტიდან მეტის გაკეთებას შევძლებ. დეპუტატობა დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ პასუხისმგებლობა თუ გაშინებს, შენი ადგილი არც პოლიტიკაშია და არც ბიზნესში.

**— პოლიტიკაში თქვენი გამოჩენა კონკრეტულ მიზანს ემსახურება?**

— რა თქმა უნდა. შეგნებული ადამიანები ნებისმიერ გადაწყვეტილებას კონკრეტული მიზნისთვის და შედეგისთვის იღებენ. ჩემი მიზანია, ვიყო ამომრჩევლის ისეთი ლობისტი პარლამენტში, რომელიც ხელს შეუწყობს მათ კეთილდღეობას. „საზღვაო კარიბჭედ“ დიდი ხნის წინ აღიარებული ფოთი „კეთილდღეობის კარიბჭედ“ უნდა იქცეს. კარიბჭედ, რომელიც ყველასთვის ღია იქნება წარმატების მისაღწევად. ამისთვის ბევრი უნდა ვიშრომოთ და ყველამ წვლილი შევიტანოთ სწრაფად განვითარების პროცესში — კანდიდატებმაც და ამომრჩევლებმაც.

**— როცა მიიღეთ შემოთავაზება სახელისუფლებო გუნდისგან, არ გიფიქრიათ, რომ პოლიტიკა თქვენს შესაძლებლობებს აღემატებოდა?**

— მართალი გითხრათ, ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული გადაწყვეტილება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მთავარი ის იყო, რომ მსგავსი შემოთავაზებები არ ხდება მარტივად და შემთხვევით. რადგან გთავაზობენ, შენში ხედავენ კონკრეტულ, საჭირო ადამიანს. ასე ხმამაღლა გამოცხადებული ნდობა უფრო მეტი პასუხისმგებლობაა.

მე დავთანხმდი ამ შემოთავაზებას, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო პოლიტიკური ძალადობის შეჩერება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოიტანა სხვა პრინციპები და ღირებულებები. სწორედ ამაშია დღევანდელ ხელისუფლებასა და წინანდელს შორის განსხვავება. „ჩვენი დრო“ – „თქვენი დრო“ აღარ არსებობს. Eეს გუნდი აშენებს ქვეყანას.

**— თუმცა არსებობენ უკმაყოფილოებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ ქვეყნის აღმშენებლობა შეფერხდა.**

— მესმის, ზოგიერთს ყოველდღიურ რეალობაში სჭირდებათ ხელშესახები ცვლილებები. ჩვენ სწორედ აქეთკენ მივდივართ. ისიც ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში, არჩევანის დროს, დღევანდელ კვერცხს ვირჩევთ და ხვალინდელი ქათმის პერსპექტივას შორეული მომავლისთვის ვინახავთ.

“ქართულმა ოცნებამ”, ამომრჩეველთან ერთად, აირჩია მთავარი — თავისუფლება და დემოკრატია. ჩვენი საზოგადოებისთვის ეს დიდი მონაპოვარია. 4 წლის მანძილზე ხელისუფლებამ შეძლო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტების განხორციელება, რომელთა ჩამოთვლას ახლა არ შევუდგები.

როცა იცი, სად გინდა მისვლა და ამ გზას სწორად გეგმავ, აუცილებლად მოვა მესამე კომპონენტი — საერთო კეთილდღეობა.

**— რა არის თქვენთვის პრიორიტეტული საარჩევნო კამპანიის პროცესში, რა გზავნილებით წარსდგებით ამომრჩევლის წინაშე? მით უმეტეს რომ, ფოთელებთან ერთად გურულების ნდობაც უნდა მოიპოვოთ.**

— ჩემი საარჩევნო კამპანია დატვირთულია იმ მთავარი გზავნილებით, რომელსაც „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ახმოვანებს. როგორც იცით, ფოთის №61-ე ოლქში შემავალი ტერიტორიების საზღვრები შეიცვალა. ფოთს 11 ახალი უბანი ლანჩხუთისა და ოზურგეთის საარჩევნო უბნებთან გაერთიანებით დაემატა. სულ ქალაქში 41 146 ამომრჩეველია, ლანჩხუთსა და ოზურგეთში - 10 726, 43 უბანზე ერთად კი - 51 872. რა თქმა უნდა, ყოველ მათგანს აქვს კონკრეტული მოლოდინი და მათი აზრი და წარმოდგენები მომავალზე ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამიტომ შევეცადეთ საარჩევნო კამპანიის პერიოდში მათი პრეტენზიები თუ სურვილები შეგვესწავლა და შეგვეჯერებინა. ყოველი მათგანი მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. მიხარია, რომ ლანჩხუთისა და ოზურგეთის ამომრჩეველთა წარმომადგენლობის შანსი ისეთ პიროვნებებთან ერთად მომეცა, როგორიც თეიმურაზ ჭკუასელი, ნინო წილოსანი და არჩილ თალაკვაძეა — ადამიანები საპარლამენტო და სამთავრობო პრაქტიკით და უკვე დაგროვილი გამოცდილებით. მათ პიროვნულ ღირსებებზე აღარ შევჩერდები, ისედაც ცნობილია.

რაც შეეხება კითხვას პოლიტიკურად ყველაზე გათვითცნობიერებული და კომპეტენტური გურულების ნდობის მოპოვებასთან დაკავშირებით, ამას ნამდვილად დამსახურება უნდა. მიუხედავად იმისა, რომ გურიასთან ბევრი რამ მაკავშირებს გეოგრაფიული სიახლოვის და ბახმაროში გატარებული ბავშვობის გარდა, იქ მეგობრები და ახლობლები მყავს და კარგად ვიცნობ მათ ხასიათს, ტრადიციებს, ღირებულებებს. Gგურულები ყველაზე ობიექტური ხალხია შეფასებისას, მით უმეტეს, როცა საქმე პოლიტიკას ეხება. ლანჩხუთშიც, ოზურგეთშიც და ფოთშიც ერთნაირად სურთ ადამიანებს პირობები სრულფასოვანი ცხოვრებისთვის.

კეთილდღეობა კი იქმნება ერთობით, — როგორც დიდი ნიკო ნიკოლაძე იტყოდა.

**— რა არის თქვენთვის პრიორიტეტული საარჩევნო კამპანიის პროცესში, რა გზავნილებით წარსდგებით ამომრჩევლის წინაშე?**

— ჩვენ გვინდა ეს ქალაქი თავისი საუკეთესო ფასეულობებით.

ნებისმიერი ფოთელი ასაკის, სქესის, აღმსარებლობის, სოციალური მდგომარეობის, საკუთარი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა ჩაერთოს ქალაქის სწრაფი განვითარებისა და კეთილდღეობის შენების პროცესში. ჩვენი ქალაქის და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა უნდა შევქმნათ ნიკოლაძისეული „ერთობით“. სადაც ერთობაა, იქ შედეგიც საუკეთესოა. მალე გამოჩნდება, რამდენად გვიყვარს ფოთელებს ჩვენი ქალაქი. **თუ თავს არ დავზოგავთ, ფოთი სწრაფად განვითარდება და გახდება კეთილდღეობის კარიბჭე. ფოთელობით კიდევ ბევრი თაობა იამაყებს.**

**— როგორ წარმოგიდგენიათ ფოთის განვითარება?**

— ამ ეტაპზე ჩემი პროგრამა მინიმუმი არჩევნებში გამარჯვებაა და ამისთვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. ადამიანებმა უნდა გაგიცნონ და დაგიჯერონ. გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ იმ გუნდის ოთხწლიანი საქმიანობის შედეგებიდან და უახლოესი სამომავლო მიზნებიდან გამომდინარე, რომელსაც წარმოვადგენ. ჩემი ქალაქი ოპტიმისტების, პრაგმატულად მოაზროვნე და შრომისმოყვარე ადამიანების ქალაქია, რომელსაც აქვს ყველა ბუნებრივი პირობა სწრაფად განვითარებისთვის და კეთილდღეობისთვის.

ნებისმიერ ქალაქს უნდა ჰქონდეს თავისი განვითარების გეგმა. ფოთი ის ქალაქია, რომელზეც ბუნებამ იზრუნა, მისთვის „განსაკუთრებულის“ სტატუსის მისანიჭებლად. ფოთი აუცილებლად მიიღებს ამ სტატუსს და იქნება ნამდვილად განსაკუთრებული. რაც შეეხება ჩემი უძვირფასესი და უსაყვარლესი გურიის იმ ნაწილს, რომელიც წლევანდელ არჩევნებში ფოთის მაჟორიტარს აძლევს ხმას, უკვე რამდენიმეჯერ შევხვდი ამ ადამიანებს და ყოველი შეხვედრა კიდევ უფრო მმატებს იმედს, რომ ერთად ყველაფერი გამოგვივა. ჩვენ ერთად გავძლიერდებით და პირნათელი ვიქნებით მომავალ თაობასთან.



მე და ჩემი ამომრჩევლები გამარჯვებას ვგეგმავთ. მათ იციან, რომ პოლიტიკაში მოვდივარ წარმატებული ბიზნესიდან და მსურს ჩემი გამოცდილება ფოთს და ლანჩხუთისა და ოზურგეთის იმ ნაწილს მოვახმარო, რომლებიც 61-ე საარჩევნო ოლქში არიან. ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა.

ვარ დამფუძნებელი ორი კომპანიის, სადაც 200-დე ფოთელია დასაქმებული. არ ყოფილა შემთხვევა, როცა ჩვენი კომპანიებისთვის მოუმართავთ და უარი გვეთქვას ქალაქისთვის მნიშვნელოვან პროექტში მონაწილეობაზე. ჩემთვის ეს ქალაქი ყველაფერია - მშობელიც, ოჯახიც, ბიზნეს პარტნიორიც, საუკეთესო მეგობარიც. არასოდეს მქონია სურვილი, ვყოფილიყავი პოლიტიკაში. ყველამ ვიცით - წინა ხელისუფლების დროს იყო რეჟიმი და არა პოლიტიკა. როცა იდეურად ეთანხმები პოლიტიკურ გუნდს, რომელიც ცდილობს ისეთი ქვეყანა ააშენოს, რომელიც ყველასი იქნება და არა კონკრეტული ჯგუფის. როცა ეს გუნდი გთავაზობს, იყო მისი წევრი, უარი არ უნდა თქვა ასეთ შანსზე.

**— თქვენი აზრით, ფოთში რისი დაგეგმვა-განხორციელება შეიძლება?**

— საბედნიეროდ, ახლა ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ ადამიანებმა წამოიწყონ საკუთარი საქმე. მთავარია, გაჩნდეს იდეები, დაიწეროს კარგი ბიზნეს-გეგმები. მაგალითად, როდესაც მალთაყვის პროექტი დასრულდება, თავისთავად განვითარდება მცირე ბიზნესი, ეს პროექტი მოითხოვს შესაბამის ინფრასტრუქტურას. შესაბამისად, გაიზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელსაც ექნება სურვილი ამ ინფრასტრუქტურის ნაწილი გახდეს. საქართველოში ინფრასტრუქტურის განვითარებას დამატებითი უმნიშვნელოვანესი დატვირთვა აქვს - ქვეყანას აქვს ამბიცია იყოს რეგიონული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ჰაბი. ჩვენს ქალაქსაც აქვს ობიექტური ამბიცია, იყოს ამ ჰაბის მნიშვნელოვანი ნაწილი.



მოგეხსენებათ, იწყება საუკუნის პროექტად მონათლული ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტვირთბრუნვის გაზრდას. ერთიანი უწყვეტი სანაპირო ზოლი დიდი ფუფუნებაა და ჩვენ ეს გვექნება.

**— წინა რეჟიმის დროს სერიოზულად შეეშალა ხელი ბიზნესსექტორის განვითარებას. რა მდგომარეობაა დღეს?**

— საბედნიეროდ, დღეს ბიზნესს დაცვა არ სჭირდება. ჩვენი მთავარი მონაპოვარი ბიზნესის თავისუფლებაა. აღარავინ იბარებს ბიზნესმენს შუაღამისას წლობით ნაშენები საქმის „გასაჩუქებლად“. აღარავინ იჭერს ბიზნესმენს „ურჩობისთვის“ . ჩვენ ეს ყველამ ერთად გავიარეთ და გვახსოვს.

რატომ მოვხვდი მე „ოცნების“ გუნდში? თუნდაც ამ უახლოესი წარსულის გამო, როცა უნდა გაგეკეთებინა არჩევანი - ან უნდა დამორჩილებოდი მათ წესებს, ან გაგასწორებდენ მიწასთან ბიზნესიანად და ოჯახიანად. დღეს სახეზე გვაქვს საგადასახადო ლიბერალიზაციის პროცესი. ბიზნესგარემოს უმნიშვნელოვანესი კომპონენტი მიმზიდველი საგადასახადო სისტემაა. ამგვარ სისტემაში ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო დაბალ გადასახადებს, არამედ გამართულ და ეფექტიან საგადასახადო ადმინისტრირებას, რომელიც ხელოვნურ ბარიერებს აღარ უქმნის მეწარმეებს. საქართველოს მთავრობა ახორციელებს საგადასახადო რეფორმას. ამ რეფორმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვა. აღნიშნული მოდელის მიხედვით, მოგება, რომელიც არ ნაწილდება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. შესაბამისად, აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მეწარმეებისთვის ფინანსურ რესურსებზე წვდომის ზრდას, აგრეთვე წაახალისებს რეინვესტირებას და ბიზნესის გაფართოებას. ამას ემატება საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება, რომელიც წინა ხელისუფლების დროს მეწარმეების დასჯის იარაღი იყო. სიახლეა ისიც, რომ დღგ-თი დასაბეგრ ოპერაციებში გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებების იმპორტი თავისუფლდება დღგ-სგან.

მიმაჩნია, რომ შესრულდა მთავარი დაპირება - ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული პოლიტიკა.

დიახ, ეს ხელისუფლება მუშაობდა ბევრს და ამის შესახებ ცოტას საუბრობდა. „ქართულმა ოცნებამ“ ჩათვალა, რომ ის, რასაც აკეთებს, მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა და ხალხმა სწორედ ასეთი საქმეების საკეთებლად აირჩია. მეც ვთვლი, რომ მოსახლეობას გაკეთებული საქმეები ყელში არ უნდა ამოუყვანო. თუმცა, ამ გადმოსახედიდან ნათლად ჩანს, რომ ხალხს მთავრობის საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება მუდმივად სჭირდება.

მთავარი გაკეთდა - განხორციელდა სოციალური პოლიტიკა - სოციალური სოლიდარობის იდეა. ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, რეალური სოციალური დაცვა, ქვეყანაში გაიზარდა სიცოცხლის ხანგრლივობა, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირდა. ესაა ადამიანებზე რეალურად ზრუნვა.

**— როგორ წარმოგიდგენიათ ხვალინდელი ფოთი?**

— გარდატეხა იქნება ფოთის ცხოვრებაში.

დარწმუნებული ვარ, რომ ფოთს მიენიჭება განსაკუთრებული ქალაქის სტატუსი, შეიქმნება თავისუფალი საფინანსო ზონა, ჩაიდება სოლიდური ინვესტიციები. ფოთი კვლავ იქცევა ქართული გემთმშენებლობის ცენტრად, შევქმნით ეფექტურ თვითმმართველობის სისტემას, მაქსიმალურად გამოვიყენებთ ბუნებრივ რესურსებს, ტურიზმისა და საკურორტო განვითარების პოტენციალს. დარწმუნებული ვარ, მალთაყვის საუკუნის პროექტი, რომელიც დაწყებულია და წარმატებით ვითარდება, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქალაქის სწრაფად განვითარებაში.

**ირანდა კალანდაძე**

®



# ფეოდალი ჩოჩელი „ნაციონალების“ საგრაფოდან

## ცეზარ ჩოჩელი პარლამენტში? სირცხვილია!!!

**ერთ ცნობილ მილიარდერს თავის დროზე უთქვამს, ნუ მკითხავთ, როგორ ვიშოვე პირველი მილიონი, დანარჩენზე რამდენიც გნებავთ, მკითხეთო, აი, ნაციონალების მმართველობისას გამდიდრებულთ, მარტო პირველ მილიონზე კი არა, დანარჩენებზეც რამე რომ ჰკითხო, აქეთ გამოგლანძღავენ, საიდან მოიტანეთ ჩემი სიმდიდრის ამბავიო. მიდი და უმტკიცე მრავალმილიონიანი ქონების ფლობა, ეჭვი არ შეგეპაროთ, „უსაფრთხოების“ მიზნით, დიდი ხნის წინ ექნებათ ეს ქონება სიდედრ-სიმამრზე ან სხვა საახლობლოზე გადაფორმებული. საიდან გაუჩნდა ამ „სანათესაოს“ ქონების დაგროვების საშუალება, ან ყველას მაშინ რატომ აღმოაჩნდება ხოლმე „ბიზნესნიჭი“, როცა მათი ნათესავი გავლენიანი ფიგურა ხდება, ამ კითხვებზეც „ტაბუ“ აქვთ დადებული.**



### როგორ გაყიდეს საგურამოს მიწები და მცხეთის ე.წ. „კუპალნია

მცხეთა-მთიანეთის ნაციონალების დროინდელი გუბერნატორი, აწ მცხეთის მაჟორიტარობის ე.წ. დამოუკიდებელი კანდიდატი ცეზარ ჩოჩელიც ოპონენტებს „დემაგოგებად“ ნათლავს, ჩემს სახელზე გაფორმებული ერთი ქონება მაინც მაჩვენეთო. თქვენი პოლიტიკაში მოსვლის, უფრო ზუსტად ნაციონალებთან „ჩახუტების“ მერე რომ „აგიყვავდათ“ ბიზნესი და მაინც და მაინც თქვენი გუბერნატორობის პერიოდში რომ გახდა თქვენი საახლობლო-სანათესაო მცხეთის რაიონში (შეიძლება სხვაგანაც) მიწის მსხვილი ფართობების მფლობელი, ეს რას მივაწეროთ პატივცემულო, საქართველოში ხომ მიწის პრივატიზაცია 90-იანი წლებიდან დაიწყო? ყველა ნაციონალს, „ყოფილი“ იქნება თუ მოქმედი, ხალხი რატომღაც ისეთი გულუბრყვილო ჰგონია, რომ თურმე ვერ მიხვდება, სად არის ძაღლის თავი დამარხული. შესაბამისი სამსახურები ალბათ ამ მიწების გასხვისების კანონიერებითაც დაინტერესდებიან, მით უმეტეს, რომ გაცილებით მეტი ფართობები ყოფილა წართმეული თუ უკანონოდ გასხვისებული, ვიდრე „საერთო გაზეთის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ქართული ოცნების“ მცხეთის მაჟორიტარობის კანდიდატი დიმიტრი ხუნდაძე საუბრობდა. ამ სტატიას გამოხმაურება უკვე მოყვა, რედაქციას დაუკავშირდნენ და საინტერესო ინფორმაციები მოგვაწოდეს, ყველა მათგანზე ბუნებრივია, წინამდებარე სტატიაში ფართოდ ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ ამ თემას მომავალში დავუბრუნდებით.

რესპოდენტთა ინფორმაციით, საგურამოში 35 ჰექტარი მიწა სწორედ ჩოჩელის გუბერნატორობის დროს გასხვისდა უცხოელებზე, რაშიც თურმე ექსგუბერნატორის ერთ-ერთი „წინამორბედიც“ ფიგურირებს, სს-ის საქმეც ყოფილა აღძრული, მაგრამ მერე მიუჩუმათებიათ. მცხეთის ტერიტორიაზე მდებარე ე.წ. კუპალნიაც, სადაც საქართველოს ნიჩბოსანთა ეროვნული ნაკრები, კომუნისტების პერიოდიდან მოყოლებული ემზადებოდა, ცეზარ-ბატონის გუბერნატორობის დროსაა გასხვისებული. ამ ბაზაზე აღზრდილან მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მცხეთელი გოგი ნასყიდაშვილი და სხვა მრავალი საბჭოთა კავშირისა თუ საქართველოს ჩემპიონი, წლევანდელი ოლიმპიადის მეხუთე ადგილის მფლობელი მცხეთელი ნადირაძეც აქ ემზადებოდა, რომ არა მცირე შეცდომა, იგი მედლით დაგვიბრუნდებოდაო. „კუპალნიის“ ტერიტორიის გასხვისებას საკმაოდ საინტერესო წინაისტორია უძღვის, 2000 თუ 2001 წელს, ნიჩბოსანთა ბაზის შენობა გაურკვეველ ვითარებაში დაიწვა, მასთან ერთად დამწვარა დაახლოებით 150 ძვირადღირებული ნავიც. ერთნი ამტკიცებენ, ხანძარი დენის ძველი სადენების მიზეზით გაჩნდა, რაც ექსპერტიზითაც დადგინდაო, თუმცა „საერთო გაზეთს“ განსხვავებული ინფორმაციაც მიაწოდეს. სარწმუნო წყაროს ცნობით, იმ პერიოდში მცხეთას ელექტროენერგია ერთი საათით (23-24 სთ მონაკვეთში) მიეწოდებოდა, შენობა კი ნაშუაღამევს (3-დან 4 საათამდე) დაიწვა, რის შესახებაც ადგილობრივების უმეტესობამაც დილას გაიგო. ხალხს ეჭვი არ შეპარვია, რომ ხანძარი განზრახ გააჩინეს, რადგან იქაურობას თურმე უამრავი ადამიანი სტუმრობდა „ბიზნესიდეებით“, ზოგს რესტორნის აშენება სურდა, ზოგს სასტუმროსი. ერთხანს მტკვარში სასეირნო კატარღა ჩაუშვეს და ტერიტორიაზე კაფეც გახსნეს, მაგრამ „ბიზნესმა“ არ გაამართლა, რომლის უკანაც მცხეთის მაშინდელის ხელისუფალნი იდგნენო. მოგვიანებით მცხეთაში მცხოვრები (სავარაუდოდ ცხინვალის რეგიონიდან დევნილი) პიროვნება თურმე შინაურებთან ამბობდა, „კუპალნია“ სპეციალურად დამაწვევინესო. მასთან გასაუბრება ვერ შევძელით, რადგან რამდენიმე წლის წინ მოულოდნელად გარდაცვლილა. სხვათა შორის, მცხეთელები იმასაც ამბობენ, ნავები უკვე გაყიდული ჰქონდათ და შენობის დაწვის ერთ-ერთი მიზეზი, შეიძლება კვალის დაფარვაც იყოსო, თუმცა ჩვენ ამ ინფორმაციების სიზუსტის მტკიცებას ვერ მოვყვებით. ამ ტერიტორიაზევე ყოფილა მუზეუმის შენობაც, სადაც გამოფენილი იყო ქართველ ნიჩბოსანთა მიღწევების ამსახველი ფოტოგალერეა და ექსპონატები, რომლითაც მთელი მცხეთა ამაყობდა. ეს შენობა ნაციონალების მმართველობისას დაუნგრევიათ, ხოლო ექსპონატები უკვალოდაა გამქრალი, როგორც ჩანს იქაურობას წინასწარ ამზადებდნენ გასაყიდად. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ყველა ხსენებული ჩინოსანი მიმალვაში ყოფილა, რადგან საქმე „კუპალნიის“ გარდა, სხვა ობიექტების გასხვისებასაც ეხებოდა („აზნეფტის“ ტერიტორია, საავადმყოფო და ა.შ.), თუმცა „გამოსასყიდის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეუხებლობის“ და მცხეთის „დახლზე“ შემოდების ერთობლივი „მემორანდუმი“ გაფორმებულა. „გარიგებაში“ თურმე დიდი წვლილი ერეკლე კოდუას მიუძღვის, რომელიც ხშირად სტუმრობდა მცხეთას. ეს „გეგმა“ ჩოჩელის გუბერნატორად მოვლინების შემდეგ, „წარმატებით“ განუხორციელებიათ, „კუპალნიის“ ტერიტორია ჯერ ამ ბაზის ერთ-ერთ მწვრთნელზე გაუსხვისებიათ სავარაუდოდ, 18.000 ლარად, მოგვიანებით გაცილებით სარფიანი უცხოელი „კლიენტი“ უშოვნიათ და მისთვის დაახლოებით მილიონნახევარ ლარად მიუყიდიათ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პროკურატურა ამ „აღებ-მიცემობის“ საქმით დაინტერესებულა და რამდენიმე პირი, მათ შორის ზემოხსენებული ჩინოსნებიც დაუკავებიათ, თუმცა საპროცესო გარიგება გაუფორმეს და პირობითი მსჯავრით გაათავისუფლეს, ხოლო ტერიტორია სახელმწიფოს მფლობელობაში დაბრუნდა. ერთი სიტყვით, მხოლოდ ის ხალხი აღმოჩნდა „განტევების ვაცის“ როლში, რომელიც გუბერნატორ ჩოჩელის გარეშე, ხელის განძრევასაც ვერ გაბედავდა. 2008 წელს ჩოჩელს სატელევიზიო გამოსვლისას უთქვამს, კარგად ვიცნობ მცხეთელებსო, რესპოდენტთა განცხადებით, 2016 წლის 8 ოქტომბერს უფრო „კარგად“ გაიცნობს, „თუ ასე გწყდება გული, რომ შენი „პოლიტიკიდან წასვლის“ შემდეგ მცხეთის რაიონში არაფერი გაკეთებულა და იმიტომ ესწრაფვი მაჟორიტარობას, გუბერნატორი როცა იყავი, მაშინ რატომ სხვისდებოდა უპრაგონოდ“ რაიონის მიწები, მათ შორის, „კუპალნიის“ ტერიტორია. ეჭვი არ გვეპარება, ამ ვანდალიზმის დონის ფაქტსაც, ახალ ხელისუფლებასთან „სავაჭროდ“ გამოიყენებდი, ჯოხი სხვებზე რომ გადატეხილიყო, რომლებიც დღეს პრობაციონერები არიან და სახლკარიც დაყადაღებული აქვთ. ნათქვამიც გქონია, ამ ხელისუფლებასთანაც „დალაგებული“ მაქვს ურთიერთობაო. ეტყობა იმიტომ უმეორებენ შენი ვითომდა აქტიური მხარდამჭერები ადგილობრივებს, ჩოჩელს ყველაფერი „გაიასნებული“ რომ არ ჰქონდეს, სულელია მცხეთის მაჟორიტარობაზე კენჭი იყაროსო. მცხეთელები ბრძენი ხალხია, არც მახსოვრობას უჩივიან, კარგად ახსოვთ 2008 წელს, მცხეთის რაიონში სპეცრაზმის მეშვეობით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, შეურაცხოფილ-დაწიოკებული ხალხი, რომელიც ჩოჩელს გადეპუტატებას კი არა, მის განსასჯელის სკამზე დასმას ელოდებიან, იმ მხარდამჭერებთან ერთად, რომლებიც ახლაც აქტიურად არიან ჩართული ექსგუბერნატორის წინასაარჩევნო კამპანიაში. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მცხეთის რაიონის მოსახლეობას არ გაუჭირდება ლოგიკური დასკვნის გაკეთება, რომ „პატიოსანი“ ბიზნესმენის და „დამოუკიდებელი“ კანდიდატის მანტიაში გახვეული ჩოჩელი, პარლამენტში მათი ღირსეული წარმომადგენელი ვერ იქნება. ბევრი მცხეთელი, რაიონის შეურაცხყოფადაც კი მიიჩნევს ჩოჩელის მაჟორიტარ დეპუტატობაზე გამოთქმულ პრეტენზიას“, აცხადებენ მცხეთელები.


ნიჩბოსანთა ბაზა

### ესე ამბავი მილიონების შოვნისა... („სგ“ რეტროსპექტივა)

მოგეხსენებათ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ექსგუბერნატორ ჩოჩელს სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაში დასდო ბრალი. სასამართლომ იგი 200.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა წინასწარი პატიმრობიდან. ოფიციალური ვერსიით, „ცეზარ ჩოჩელს, როგორც საჯარო მოხელეს, კანონმდებლობით ეკრძალებოდა სამეწარმეო საქმიანობასა და საწარმოს მართვაში მონაწილეობა. მიუხედავად აკრძალვისა, ის, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა შპს „ნიუ ენერჯის“, მფარველობდა და ხელს უწყობდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების შესრულებაში. 2009 წელს ცეზარ ჩოჩელმა „ნიუ ენერჯის“ მოსთხოვა, რომ სხვადასხვა პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავლები შპს „ბერტას“ საბანკო ანგარიშზე გადაერიცხა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი ძმა, იაგო ჩოჩელი იყო, თუმცა ამ ფირმასაც ცეზარ ჩოჩელი მართავდა. „ნიუ ენერჯიმ“ ცეზარ ჩოჩელის უკანონო მოთხოვნა დააკმაყოფილა და შპს „ბერტას“ 5.360.000 ლარი ეტაპობრივად გადაურიცხა.

2010 წლის ზაფხულში, ცეზარ ჩოჩელის მოთხოვნის საფუძველზე, „ნიუ ენერჯიმ“, ჩოგბურთისა და კალათბურთის მოედნების მოსაწყობად, თურქეთიდან ჩამოიტანა 61.845 ლარის ღირებულების სავაჭრო ინვენტარი და სოფელ დიღომში, ცეზარ ჩოჩელის მეუღლის, სვეტლანა ჩოჩელის საცხოვრებელი სახლის ეზოში დაამონტაჟა. გამოძიების მიერ მტკიცებულების შეფასებისა და საერთო ანალიზის საფუძველზე, ცეზარ ჩოჩელმა 5.421.845 ლარის შემოსავალი უკანონოდ მიიღო, რაც საჯარო მოხელის ყოველწლიურ ქონებრივ დეკლარაციაში არ აუსახავს“. სხვათა შორის, მცხეთელები ჩოჩელის მიმართ წაყენებულ ამ ბრალს ზღვაში წვეთად მიიჩნევენ. რა გაგრძელება მოყვა ამ საქმეს, დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით, როგორც ექსგუბერნატორი აცხადებს, ყველა ქონება ისევ დაყადაღებული აქვს, თუმცა წარმოება 37%-ით გაუზრდიათ. დაყადაღება რომ მხოლოდ ქონების გასხვისების აკრძალვას ნიშნავს და არა სამეწარმეო საქმიანობაში ხელის შეშლას, ამ კონკრეტული ფაქტიდანაც აშკარად ჩანს. „საერთო გაზეთში“ ექსგუბერნატორის პერსონასთან დაკავშირებით, რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა, სურათის ასე ვთქვათ, სრულყოფის მიზნით, იმ სტატიებიდან რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ. ჩოჩელის დაკავებისთანავე, ჯერ კიდევ „თავისუფლებაზე“ მყოფმა ვანო მერაბიშვილმა ბრძანა, ხელისუფლებამ ის ადამიანი დააკავა, რომელიც კონფლიქტური რეგიონის მოსახლეობას საკუთარ სახლში იფარავდა და მფარველობდა, უფრო მეტიც, დევნილებს ფინანსურადაც ეხმარებოდაო. არადა 2008 წელს ახალგორელები სულ სხვა რამეს ამბობდნენ, გუბერნატორ ჩოჩელსა და ახალგორის მაშინდელ მაჟორიტარ დევი ოვაშვილს, თავიანთი ქონებისა და ბიზნესის მეტი არაფერი გახსენებიათ, ხალხი არც კი გაუფრთხილებიათ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ჩოჩელი მხოლოდ თავის ახლობლებს დაეხმარა, ცოტა მოგვიანებით იგი ადგილობრივებს საკუთარი სახლების მიტოვებას აიძულებდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ საბრძოლო მოქმედებები არ ყოფილაო. ამ ყველაფერს რომ გარკვეული მიზანი ჰქონდა, ამის შესახებ საჯაროდ არაერთხელ თქმულა, ნაცხელისუფლებას ახალგორიდანაც ჭირდებოდა დევნილები, რომ დასავლეთიდან რაც შეიძლება მეტი დაფინანსება მიეღოთ. როგორ „აითვისა“ დახმარების მიზნით გამოგზავნილი მილიარდები ნაცელიტამ, ამის მოყოლით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ ერთ ფრიად საგულისხმო დეტალს გავიხსენებთ, რომლის შესახებაც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები გვესაუბრებოდნენ, მერაბიშვილი-ჩოჩელის ტანდემმა აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე, წეროვნის მიწები, სადაც მერე დევნილთა გეტო აშენდა, თითქმის მუქთად შეიძინა (ერთი კვ.მეტრი 10 თეთრად), რომლითაც შემდეგ სახელმწიფოსთან გაცილებით სარფიანად „ივაჭრესო“. ეს მიწები რომ ძვირადღირებულ ფართობებში „გაუცვალეს“ მცხეთის მუნიციპალიტეტს, თანაც ფართობის დამატებით, ამის შესახებ ახლახანს ვწერდით. რესპოდენტები ეჭვობდნენ, სააკაშვილის ხელისუფლება წინასწარ გეგმავდა ცხინვალის რეგიონში საომარ მოქმედებებს და იმ ტერიტორიიდან დევნილების ნაკადსაც ელოდა, რაზეც შემდგომ დიდი ფულის შოვნას შეძლებდნენ. მერაბიშვილი-ჩოჩელის საზიარო კომპანია „ნიუ ენერჯი“ გახლდათ ყველა მსხვილი სახელმწიფო დაკვეთის შემსრულებელი და დევნილთა ე.წ. კოტეჯებიც მათი აშენებულია. „ავი ენები“ ამბობდნენ, ამ კომპანიის ხელმძღვანელობა თვეობით უხელფასოდ ამუშავებდა ხალხს, მერე ამათ გაყრიდნენ, ახალი მუშახელი აჰყავდათ და მათაც მუქთად ამუშავებდნენ, ასეთი სქემით რამდენჯერმე ჩაატარეს „როტაციაო“. როგორ „აახია“ გაპოლიტიკოსებულმა ჩოჩელმა ქსოვრისელებს 150 ჰა მიწა, ამაზეც არაერთხელ ვწერდით. ერთ-ერთ მცხეთელს, რომელსაც იქ 70 ჰა-ზე მარცვლეული მოჰყავდა, იჯარის გადასახადს პირნათლად იხდიდა და ადგილობრივები ჰყავდა დასაქმებულები, კოდუას დავალებით მცხეთის პროკურატურამ თურმე ნაცებთან დაახლოებული თაღლითი მიუგზავნა, რომელმაც 23.000 ლარის ხორბალი „პოსლეზე“ იყიდა, მაგრამ ფული საერთოდ აღარ გადაუხადა. როცა ამ ადამიანმა პროკურატურაში იჩივლა, გააფრთხილეს, გაჩერდი, თორემ უარეს უსიამოვნებებში გაეხვევი, ყველაფერი „ზემოდან“ მოდისო.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ, ჩოჩელი ძალიან ცდილობდა კეთილი და მზრუნველი გუბერნატორის იმიჯის მორგებას, უკანონო პატიმრებს გათავისუფლებას პირდებოდნენ, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშაულში მხილებულ მსჯავრდებულებს, სასჯელს განახევრებას, სანაცვლოდ მათ ოჯახებს მოახლოებულ არჩევნებში ნაციონალებისთვის უნდა მიეცათ ხმა. ამ „ღონისძიებას“ თურმე ჩოჩელის მოადგილე გივი ამირხანაშვილი „კურირებდა“, ეს ბატონი ახლაც აქტიურად ყოფილა ჩართული ყოფილი შეფის საარჩევნო კამპანიაში. დევნილთა ჩასახლებებში უამრავი ნაცზონდერი ცხოვრობდა (ალბათ ახლაც ცხოვრობს), რომლებსაც „ქართული ოცნების“ აქციების დასარბევად იყენებდნენ, თითოეულ მათგანს ხელფასის სახით 400 ლარს უხდიდნენ, დარბევის შემთხვევაში ერთ ამდენს კიდევ უმატებდნენ, კარალეთში მომხდარ ინციდენტშიც წეროვნიდან წაყვანილი ზონდერები მონაწილეობდნენ, ნაცრეჟიმის დროს ქუჩიდან იტაცებდნენ „არასაიმედო“ ხალხს და მცხეთის პოლიციაში მიყავდათ „დასამუშავებლად“, დირექტივების გამცემი მცხეთელების მიერ „პატარა სააკაშვილად“ წოდებული გუბერნატორი ჩოჩელი იყოო.

ცეზარ ჩოჩელის განცხადებამ, ყველა ხელისუფლება, მათ შორის, „ვარდოსნებიც“ იმიტომ მებრძოდა და მიპირებდა დაჭერას, რომ ნიჭიერი ბიზნესმენი ვარო, ძალიან გაალიზიანა მცხეთელები, რატომ არ ამბობს, რეალურად რისთვის „ემტერებოდა“ შევარდნაძის ხელისუფლებაო. ამ „ნიჭიერ“ კაცს თავის დროზე „ბიზნესი“ საარყე ქვაბში ლუდის ხარშვით დაუწყია და მაღაზიებსაც თვითონვე ამარაგებდა. ლუდი „ლომისის“ პარალელურად იგი თურმე ფალსიფიცირებულ არაყსაც აწარმოებდა, რის გამოც მცხეთა-მთიანეთის პოლიციას საწარმო დაულუქავს, სს-ის საქმეც აღუძრავთ და დაჭერას უპირებდნენ. მას პოლიციასთან სხვა მხრივაც ჰქონია პრობლემა, ლუდის წარმოებისთვის საჭირო მასალები ვლადიკავკაზიდან შემოჰქონდა და „ავი ენებს“ თუ დავუჯერებთ პარალელურად ნარკოტიკის „იმპორტ“-რეალიზაციასაც ეწეოდა, რის შესახებაც მთელი ქსნის ხეობა ლაპარაკობდა. სხვათა შორის, ყოფილმა სამართალდამცავებმაც დაგვიდასტურეს, რომ ამის შესახებ მართლაც ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია. მცხეთელებს მაშინდელი გუბერნატორის კაბინეტში მოტირალი ჩოჩელიც ახსოვთ, მიშველეთ, პოლიცია დასაჭერად დამდევსო. მან კეთილი ადამიანების დახმარებით, ციხესაც დააღწია თავი და ახალგორის გამგებელიც გახდა, ნაციონალების ფრთებქვეშ შეყუჟულმა ჩოჩელმა ამ ხალხს ამაგი იმით „დაუფასა“, რომ გააკოტრებინა და გუბერნატორის სავარძელში ჩაბრძანებული, დაჭერასაც უპირებდა, რადგან ნაციონალების მიმართ მათი განწყობის შესახებ, კარგად იყო „ინფორმირებული“. სანდო წყაროს ცნობით, ბატონი ჩოჩელი ახალგორის მაჟორიტარი დეპუტატი (2003 წელი) გაყალბების ხარჯზე გახდა. რაც შეეხება ჩოჩელის „ვარდოსნებთან“ დაპირისპირებას, აქ მისი „ნიჭიერბიზნესმენობა“ არაფერ შუაშია, 2003 წლის არჩევნების წინ ახალგორში ჩასულ მიხეილ სააკაშვილსა და მის თანმხლებთ, ჩოჩელის მიერ სოფლებიდან სპეციალურად ჩამოყვანილი კუნთმაგარი ახალგაზრდები (რომლებიც წინასწარ ლუდით გამოუთვრიათ) ქვებითა და ჯოხებით გამოენთნენ და ოძისამდე არბენინესო. ცეზარ-ბატონს ეს ყველაფერი რეგიონის მაშინდელი ხელმძღვანელობისთვის დაუბრალებია, თითქოსდა მათი მითითებით მოქმედებდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილი „დაპირისპირებია“ ბიზნესსაქმიანობის გამო ამ „ნიჭიერსა“ და „უმწიკვლო“ ბიზნესმენს. რესპოდენტებს აინტერესებდათ, რატომ არაფერს ამბობდა ჩოჩელი „ქართუ ბანკიდან“ გატანილ კრედიტებზე, რის უზრუნველსაყოფადაც ქონება ჰქონდა იპოთეკით დატვირთული, აღარ „ახსოვს“ სააკაშვილს როგორ „პირნათლად“ შეუსრულა დავალება, ამ ბანკისთვის ვალი რომ არ დაებრუნებინა, სააკაშვილი რომ ყოფილიყო ბატონი ბიძინას ადგილზე, ეჭვი არ შეგეპაროთ, ჩოჩელს ციხეში გამოამწყვდევდა. ნიჭიერ ბიზნესმენობაზე რომ დებს თავს, ნეტავ თავისით რა მოიფიქრა, მარტო სხვების ბიზნესგეგმების მოპარვა ეხერხებაო. სანდო წყაროს ცნობით, ჩოჩელი ახლა წვენების ქარხანას რომ ხსნის, მისი ბიზნესგეგმაც მოპარულია, რაშიც თურმე ყველა ადგილობრივ სტრუქტურაში დატოვებული თავისი ხალხი ეხმარება. ეგ ის კაცია, რომელმაც ნაციონალებისთვის რომ ესიამოვნებინა, საკუთარი მეჯვარე ნუგზარ თინიკაშვილი (ახალგორის შევარდნაძის მმართველობისდროინდელი გამგებელი) არ დაინდო და სამართალდამცავებს აბსურდული ბრალდებით დააჭერინაო.

ცეზარ ჩოჩელს მისი ვლადიკავკაზელი პარტნიორი ხადარცევი, ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში კეთილშობილ დონ კიხოტად მიიჩნევდა, ნატახტარის მიგდებულ, ტრიალ მინდვრებში ლუდის ქარხნის აშენება, მხოლოდ ფანტაზიორს თუ მოუვიდოდა აზრად, ცეზარმა კი ამ „უტოპიურ“ მოსაზრებას ხორცი შეასხაო. კარგად ინფორმირებული წყაროს განცხადებით, სინამდვილეში ეს იყო ნატახტარის მეურნეობის საუკეთესო სავარგულები, რომელიც ჩოჩელმა მუქთად ჩაიგდო ხელში და ქარხანა ააშენა, რომელიც მერე ვითომ თურქებს მიყიდა, თუმცა დანამდვილებით ვიცით, რომ წილს ისევ ფლობსო. „ბარამბო“ და სასკლაოც ამ სოფლის სავარგულებზე ყოფილა გაშენებული. მცხეთის რაიონში უამრავი მიწაა, რომელიც სახნავ-სათესად არ გამოდგება, ადგილობრივების „გულშემატკივარ“ ჩოჩელს შეეძლო იქ აეშენებინა ეს საწარმოები, მაგრამ სპეციალურად მოუსპო ნატახტრელებს სოფლის მეურნეობის აღორძინების შანსიო. რაც შეეხება ჩოჩელის კუთვნილ, საგურამოში მდებარე „ზედაზენის“ ლუდის ქარხანას, წართმეულ მიწაზეა აშენებული. რესპოდენტთა განცხადებით, კომუნისტების დროს აშენებული უნიკალური სათბურები გაანადგურეს, დირექტორი (მამუკა აბესაძე) კი ციხეში გამოამწყვდიეს. სათბურების კარკასი დურალუმინისგან იყო დამზადებული, ეს ძვირადღირებული ლითონიც უკვალოდ გააქრეს. ჩოჩელს თურმე ქარხნები აუშენებია და ხალხის დაუსაქმებია, თქვას ვის მიწაზე ააშენა, მარტო საგურამოს სათბურები კი არა, ქანდის სანერგე და წეროვანის ექსპერიმენტალური მეურნეობებიც გაანადგურა, სადაც ხორბლის უნიკალური ჯიშები გამოყავდათ. ის ე.წ. საპნისა და სარეცხი ფხვნილის დამამზადებელი ქარხანა „ბერტა“, წეროვანის მანქანა-ტრაქტორთა გამოსაცდელი სადგურის ტერიტორიაზეა აშენებული, ეს იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის ინსტიტუტი, სადაც მექანიზატორთა გადამზადებაც ხდებოდა და 500 ადამიანი მაინც იყო დასაქმებული. იქაურობა სრულად გააპარტახეს ამ ქარხნის ასაშენებლად, ინსტიტუტს უამრავი დაზგა-დანადგარი ჰქონდა, რაც ასევე უკვალოდაა გამქრალიო. რამდენიმე ხნის წინ „კავკასიის“ ეთერში ცეზარ ჩოჩელი და დავით აქუბარდია ხმაშეწყობილად ვიშვიშებდნენ, როგორ გააჩერა ამ მთავრობამ „უნიკალური“ საწარმო „ბერტაო“. სანდო წყაროს ადრეც ჰქონდა ნათქვამი და ახლაც დაადასტურა, რომ ამაში მოქმედი მთავრობა არაფერ შუაშია, „ბერტაში“ ძირითადად მზა პროდუქცია შედიოდა, რასაც ადგილზე აფასოებდნენ, რასაც თვითონ აწარმოებდნენ იმდენად უხარისხო იყო, რომ არ იყიდებოდა, მაგრამ მაღაზიებს მაინც აიძულებდნენ ამ პროდუქციის ქსელში გატანას. მცხეთა-მთიანეთში „ბერტას“ პროდუქციის „დისტრიბუციასაც“ ზემოხსენებული გივი ამირხანაშვილი „კურირებდა“, თანაც ძალზე აგრესიულად, ვინც მიღებაზე უარის თქმას გაბედავდა, ფინანსური პოლიციით ემუქრებოდნენ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ჩოჩელსა და ამირხანაშვილს იძულების ბერკეტები ხელიდან გამოეცალათ, ამიტომაც გაჩერდა ეს ქარხანა. ჩოჩელის „ზეობისას“ კვების ობიექტებსაც აიძულებდნენ, რომ მხოლოდ „ზედაზენი“ პროდუქცია შეეტანათ, რომელიც ასევე ვერ დაიკვეხნიდა ხარისხითო.


მცხეთის გამგეობის შენობა

## პოლიტიკური ქამელეონები

მცხეთის საკრებულოს „პროტესტანტ“ წევრთა სატელევიზიო განცხადებამ, რომლებიც თურმე „ქართული ოცნებას“ უჭერენ მხარს, მაგრამ მათთვის მიუღებელია ამ პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატი, მოქმედი მაჟორიტარი დიმიტრი ხუნდაძე, 2007 წლის მიწურულს, ტელეიმედელების (გიორგი თარგამაძის გადაცემა „დროების“

13 გვ. →

# ფეოდალი ჩოჩელი „ნაციონალების“ საგრაფოდან

← 7 გვ.

ჟურნალისტები) მიერ „კრიშიდან“ გაკეთებული განცხადება გამახსენა. მცხეთელი „პროტესტანტები“ „დამოუკიდებელ“ კანდიდატ ჩოჩელისთვის აპირებენ არჩევნებში მხარდაჭერას, რაც ცხადია, მათი ნებაა, უბრალოდ ერთ-ერთი „პროტესტანტის“, კერძოდ ბატონი თათარაშვილის პოზიციამ გამაკვირვა. ვაჟა თათარაშვილი ყოფილი „ფორუმელია“, 2008 წელს, გაერთიანებული ოპოზიციის სახელით იყრიდა კენჭს მცხეთის მაჟორიტარობაზე. მაშინ არაერთხელ უთქვამს ჩემთან ინტერვიუში, რომ სხვა „ბობოლა“ ბატონი ტათარაშვილისგან მოვისმინეთ. ამ ინტერვიუს ბოლომდე განხილვას ახლა ვერ მოვყვებით, რომელიც მთლიანად ჩოჩელის კრიტიკას „ეძღვნება“, უბრალოდ კითხვა მინდა დავუსვა ბატონ ვაჟას, როდის ამბობდით სიმართლეს და იყავით გულწრფელი, ჩემთვის მოცემულ ინტერვიუებში თუ გურამ ანსიანის გვერდით რომ იდექით, როცა ის მცხეთის ფონზე იმ „ცნობილი“ განცხადების ტექსტს „არაკრაკებდა“? როგორ დავიჯეროს, რომ დიმიტრი ხუნდაძეს უფრო მეტი „ბრალი“ მიუძღვის მცხეთის წინაშე, ვიდრე ცეზარ ჩოჩელს, რომელსაც დღეს მხარდაჭერას უცხადებთ?



გივი ამირხანაშვილი

ნაციონალებთან ერთად გუბერნატორი ჩოჩელიც აქტიურად ებრძოდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ბატონი თათარაშვილი კოალიცია „ქართული ოცნების“ მცხეთის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო, თუმცა არჩევნებამდე ჩამოაცილეს ამ თანამდებობას, რაშიც ასევე ჩოჩელის კვალს ხედავდა. სხვათა შორის, პირველად ვაჟა თათარაშვილმა გაახმაურა მედიასაშუალებებით „ბებრის ციხეზე“ მოწყობილმა პატრიოტთა ბანაკმა რომ გამოიწვია, ციხის კედლის ჩამონგრევა და აქაც ჩოჩელის როლზე საუბრობდა. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურმა, დევნილთა განსახლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მითვისების ბრალდებით, მცხეთის ნაციონალებისდროინდელი გამგებელი ვახტანგ ყიფშიძე რომ დააკავა (აქაც მერაბიშვილი-ჩოჩელის საზიარო „ნიუ ენერჯი“ ფიგურირებდა) ვაჟა თათარაშვილმა „საერთო გაზეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, გამორიცხულია, ამ თანხის მითვისება ჩოჩელის გარეშე მომხდარიყოო. ყიფშიძეს ნაციონალების მმართველობისასვე რომ დაატოვებინეს გამგებლის პოსტი, რაც თურმე მცხეთის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი თანხების მითვისებას უკავშირდებოდა, ხსენებული რესპოდენტისგან შევიტყვეთ, რომელიც ამ საქმეში ჩოჩელის ჩართულობაზე საუბრობდა. რეგიონის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტების მოსაწესრიგებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ათეულობით მილიონი ლარის „აურთქლებაში“ რომ გუბერნატორ ჩოჩელისა და ინფრასტრუქტურის მაშინდელი მინისტრის რამაზ ნიკოლაიშვილის ხელი ერია, ესეც

## დატერორებულები

ბიზნესმენმა მამუკა აბესაძემ 2012 წლის 6 ოქტომბერს ტელეეთერში ისაუბრა, როგორ წაართვეს ნაციონალებმა შპს „საგურამოს ექსპერიმენტულ მეურნეობას“ კუთვნილი 16 ჰექტარი მიწა, მისი დაპატიმრების შემდეგ კი ის 8 ჰა, სადაც სასათბურე მეურნეობა იყო განთავსებული, სადაც ლუდსახარში „ზედაზენი“ აშენდა. სს-ის საქმე მისი შვილის მიმართაც აღძრეს, მაგრამ მხოლოდ პირობით მსჯავრს „დააჯერეს“. „საერთო გაზეთი“ მამუკა აბესაძესაც დაუკავშირდა, რომლის განცხადებითაც ის ადამიანები, რომლებსაც მის დაკავებაში „წვლილი“ მიუძღვით, ახლაც მაღალ თანამდებობებს იკავებენ, აქედან გამომდინარე, საფრთხე კვლავ ემუქრება. ცნობისთვის, ხსენებული შპს კერძო სტრუქტურაა.

მამუკა აბესაძე: „შპს „საგურამოს ექსპერიმენტალურ მეურნეობას“, რომელიც „ცეკავშირს“ ეკუთვნოდა, საკუთრებაში ჰქონდა 16 ჰა მიწა (ხეხილის ბაღი), ხოლო 8 ჰა 49-წლიანი იჯარით ჰქონდა აღებული. 2007 წელს, როდესაც „ცეკავშირში“ ხელმძღვანელ თანამდებობა მეკავა, ჩემთან მოვიდა მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პროკურორ მიხეილ ჩინჩალაძის დავალებით გამოგზავნილი ამავე პროკურატურის თანამშრომელი მამია ფხაკაძე და მომთხოვა, რომ ის 16 ჰა სახელმწიფოსთვის გადაგვეცა. იარაღით არ დამდგომია, მაგრამ პროკურორი მაკლერი ხომ არ არის, ე.ი. „ზემოდან“ იყო ამ მიწის ინტერესი, ამიტომ მისი რამდენიმე „ვიზიტის“ შემდეგ იძულებული გავხდი დავთანხმებულიყავი. დღეს მიხეილ ჩინჩალაძე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო მამია ფხაკაძე რუსთავის სასამართლოს თავმჯდომარე. ფხაკაძეს ვუთხარი, თანახმა კი ვარ რომ სახელმწიფოს „ვაჩუქოთ“, მაგრამ არ ვიცი დოკუმენტურად როგორ უნდა დაიწეროს-თქო. მან საკუთარი ხელით დამიწერა ტექსტი, რომ ცეკავშირის თავმჯდომარე მამუკა აბესაძე თანახმა ვიყავი შპს-ს დირექტორს ხსენებული მიწა სახელმწიფოსთვის გადაეცა. ეს ხელნაწერი შენახული მაქვს. 2010 წელს ამ შპს-ს დირექტორად მე დამნიშნეს და იმავე წლის ნოემბერში დამიჭირეს. ამის შემდეგ გააუქმეს გრძელვადიანი იჯარა, ესეც იმ 16 ჰას მიუმატეს, რაღაც ფართობი კიდევ დაუმატებიათ და ჯამში დაახლოებით 25 ჰა-ს მფლობელი ბატონი ჩოჩელი გახდა. ჩინჩალაძე და ფხაკაძე ზემდგომების გარეშე რომ ვერაფერს გაბედავდნენ, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ „შემსრულებლის“ ფუნქციაც არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისგან. ამ მიწებს ისედაც წაგვართმევდნენ, მაგრამ დარწმუნებული არ იყვნენ, რომ არ ვიდავებდი, რამდენჯერმე შუამავლების მეშვეობით გაჩუმების სანაცვლოდ თანხა, ან სხვა მიწა შემომთავაზეს, მაგრამ ვერ დამიყოლიეს, ამიტომ ჩემს დასაჭერად „კომპრომატების“ ძებნა დაიწყეს და „იპოვეს“ კიდეც. მე ერთი პერიოდი სამშენებლო კომპანია „ლიბოს“ დირექტორი ვიყავი, თურმე ეს იყო ფიქტიური ორგანიზაცია, რომელიც ხალხს ქავთარაძის ქუჩაზე კორპუსის აშენებას პირდებოდა, მოტყუებით თანხა შეატანინა, მაგრამ „გადააგდო“. ფიქტიური ორგანიზაცია როგორ იყო, როცა 2 მილიონი ლარი ჰქონდა საწესდებო კაპიტალი, 1.700.000 დოლარი პირადად ვასესხე. 350.000 დოლარი მენაშენეებმა შემოიტანეს და ეს თანხები მთლიანად არის გახარჯული, არავითარი მტკიცება არ ჰქონდათ, რომ თუნდაც ერთი ლარი მივითვისე, მაგრამ თაღლითობის ბრალდებით დამაკავეს და 7 წელი და 6 თვე მომისაჯეს. ერთი წლის თავზე, ავადმყოფობის გამო სასჯელი გადამივადეს და გამათავისუფლეს. ეს კორპუსი იმიტომ ვერ აშენდა რომ ხელისუფლება მიშლიდა ხელს, პროექტი დამტკიცებული იყო, მაგრამ მშენებლობის ნებართვას არ მაძლევდნენ, რადგან მოთხოვნის მიუხედავად, ნაციონალებს არცერთი არჩევნები არ დავუფინანსე. ეს ამბავი იმიტომ „გამოქექეს“, რომ მაშინ მასიური სახე ჰქონდა მენაშენეთა მოტყუებას, ამიტომ ხალხში ეჭვი არ გამოიწვევდა მათი „სამართლიანობა“. იმ 16 ჰა-ზე მსხმოიარე ხეხილი გაჩეხეს, სათბურებიც დაანგრიეს და ლუდის ქარხანა წამოჭიმეს. ეს ძვირადღირებული მიწა ჩოჩელი-მერაბიშვილის წყვილს ფაქტობრივად აჩუქა სახელმწიფომ, 1კვ.მ-ში 10 თეთრი აქვთ გადახდილი. „ზედაზენის“ მშენებლობისთვის ხელი რომ არ შემეშალა, ციხეში იმიტომაც აღმოვჩნდი, ქარხნის მშენებლობა რომ დამთავრა, მერე გამომიშვეს, თორემ ჯანმრთელობის მდგომარეობა მანამდეც დამძიმებული მქონდა. ახლაც სისტემატურ მკურნალობაზე ვარ. ციხიდან გამოსვლის შემდეგ გავიგე, რომ ჩემი შვილის მიმართაც იყო სს-ის საქმე აღძრული. გიორგი ხანდახან ჩადიოდა საგურამოში, ვითომ ყურადღებას აქცევდა იქაურობას, მისთვისაც მიუგზავნიათ შუამავლები სხვადასხვა შეთავაზებით, მაგრამ უარი უთხრა. ერთ დღეს მას თანამშრომელი ტელეფონით დაკავშირებია, რაღაც კედელი ისედაც ინგრევა, დავანგრიოთ, ბლოკები გავყიდოთ და ახალი ავაშენოთო, გიორგი ვერც მიმხვდარა, რომელ კედელზე იყო საუბარი, თუ საჭიროა გააკეთეო. თუ ურთიერთშეთანხმებით აზიანებდნენ და იპარავდნენ სხვის ქონებას, მაშინ ის თანამშრომელიც უნდა დაეჭირათ, მაგრამ ამათ ჩემი შვილის ინტერესი ჰქონდათ. როგორც გავარკვიეთ, ჩოჩელის მოადგილე გივი ამირხანაშვილმა დარეკა პოლიციაში და ამ ზარის საფუძველზე დააკავეს მერე გიორგი. ციხიდან გამოსვლის შემდეგ (2011 წლის ნოემბერი) საჯარო რეესტრიდან წართმეული მიწების შესახებ ინფორმაცია მოვითხოვე. ჩემი გვარ-სახელი ხომ დაფიქსირდა, ჩოჩელმა „ოპერატიულად“ მიიღო ეს ინფორმაცია და შემომითვალა, გაჩერდი, დაანებე ამ მიწებს თავი, თორემ კიდევ დაგიჭერ, ამ მიწების შესახებ თუ ვინმე იკითხავს, ყველას დავიჭეროო.

ამ ყველაფრის „შემოქმედ“ ჩოჩელს დღეს პოლიტიკაში დაბრუნება უნდა, პოლიტიკოსობა რისთვის ჭირდება, მისი ერთ-ერთი ინტერ-



მიხეილ ჩინჩალაძე



მამია ფხაკაძე

ვიუდანაც კარგად ჩანს. ჟურნალისტის კითხვაზე, პოლიტიკა და ბიზნესი ერთმანეთთან კავშირში თუ უნდა იყოსო, ჩოჩელი პასუხობს – როგორ არ უნდა იყოს, აბა ნახეთ, მსოფლიოში თუ არის ქვეყანა, სადაც პოლიტიკა და ბიზნესი ერთად არ არისო. „მართალია“ ეს კაცი, პოლიტიკაში რომ არ ყოფილიყო, მიწებს ხომ ვერ წამართმევდა? მცხეთელებს მინდა ვუთხრა, როგორ შეიძლება ამ ადამიანის პოლიტიკაში მოსვლის დაშვება? მე ველარაფერს წამართმევს, რადგან აღარაფერი გამაჩნია, მაგრამ სხვას წაართმევს, რადგან გავლენები არ დაუკარგავს. ჩინჩალაძესა და ფხაკაძეს რა თანამდებობაც უკავიათ უკვე გითხარით, ჩინჩალაძის მეუღლეს ნაციონალების დროსაც ეკავა მაღალი თანამდებობა მთავარ პროკურატურაში და დღესაც იქ მუშაობს. მცხეთის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ნანა ჭიჭილეიშვილმა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც აქ გადმოიყვანეს, ისეთი სასაცილო მიზეზით გვითხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი, რომ საეჭვოა მავანთა გავლენის ქვეშ არ იყოს (ეს ქალბატონი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გახლდათ და ნაციონალების მმართველობისას, ცნობილი იყო თავისი „ობიექტური“ გადაწყვეტილებებით – მ.ს.). ვისარგებლებ შემთხვევით და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მივმართავ, ქალბატონო ნინო, შეიძლება არ გაქვთ იმის ბერკეტი, რომ მიხეილ ჩინჩალაძე თანამდებობიდან გაათავისუფლოთ, მაგრამ აუცილებლად უნდა იცოდეთ, რომ თქვენი მოადგილე მცხეთა-მთიანეთის პროკურორი რომ ბრძანდებოდა, მაკლერის ფუნქციასაც „ითავსებდა“.

## პოსტსკრიპტუმის მაგიერ

წინამდებარე სტატია უკვე გამზადებული მქონდა, როდესაც წეროვნის დევნილთა ჩასახლებიდან ახალგორელები დამიკავშირდნენ, ცეზარ ჩოჩელი ძალიან რომ „წუხს“ მცხეთის საკანალიზაციო სისტემის მოუგვარებლობაზე, ჯერ იმაზე ილაპარაკოს, როგორ „მოგვიგვარა“ სასმელი წყლის პრობლემა, ახალგორის გამგებელი როცა ბრძანდებოდა. ბატონო ცეზარ, თუ დაგავიწყდათ, ჩვენ გაგახსენებთ, წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის მერეც, რომელიც მცხეთელ პარტნიორებთან ერთად ჩაატარეთ, რომ არ გაუმჯობესებულა ახალგორის სასმელი წყლით მომარაგება. თქვენეულმა რეაბილიტაციამ, რომელიც მრავალი ათასი ლარი დაუჯდა მაშინდელ ისედაც გაძვალტყავებულ ბიუჯეტს, პირიქით გაგვიუარესა წყალმომარაგება. თან როგორ „დამაჯერებლად“ ამართლებდით „წყალნაკლულობას“, მიზეზად ხან მდინარე ქსნის დაკლებას ასახელებდით, ხანაც მოსახლეობის მატებას, არადა იმ პერიოდში ნახევარი ახალგორი ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ იყო გადახვეწილი. ისიც გვახსოვს, როგორ სთავაზობდით ამ ობიექტის მიღებაზე პასუხისმგებელ ადგილობრივ ჩინოვნიკების ნაწილს „გასამრჯელოს“, მიღების აქტზე ხელმოწერის სანაცვლოდ, ზოგსაც სამსახურიდან გაგდებით ემუქრებოდით. ისე, რაღაც საეჭვოდ დაემთხვა ამ ე.წ. რეაბილიტაციას თქვენი სახლკარის იერსახის გაუმჯობესება. ჩოჩელი ალბათ, ჩვენც „დემაგოგებად“ მოგვნათლავს, თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მან და მისმა საყვარელმა ნაციონალებმა 2008 წლის აგვისტოში დაგვმართესო.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 77

# ჯაშქვიდუს სინდრომი

დადიანების ბოტანიკური ბაღისკიდე მაქვს გასავლელი ყოველდღე ზუგდიდ-ქალაქის ცენტრისკენ დაღერილს, ბეჩრეკი ბზების ხეივანი, სუროებით შემოსილი ასწლოვანი ხეების კორომი. თავიდან, ადრეულ წლებში ჯაშქვიდუ — ღვედკეცი ლამაზი დეკორაცია რომ მეგონა, შაშვების შემწყნარებელი ზამთრობით, ცხოვრებამ მიმახვედრა — ტიპიური სარეველაა თურმე, ხემხრჩობელა, ერთხელ რომ აგეტორღიალება და მერე ვერაფრით მოიცილებ. საკვირველი რამ ვნახე მეუნარგიების სახლ-მუზეუმში. იქაც არის ჯაშქვიდუსგან ზეზეურად ჩამოხრიოკებული ხე. მართალია, მის სხეულს შემოგრაგნილი ფითრი ვიღაც მოამაგეს ძირში მოუსხეპია, მაგრამ კვლავაც განაგრძნობს სიცოცხლეს, ათასი საცეცით შეზრდია მის ტანს და ადრე საკუთარი ფესვებიდანაც რომ იკვებებოდა, ახლა მთლად ამ უბედურიშვილის კმაყოფაზეა. აი, რატომ დავარქვი წინდებულ წერილს ეს სათაური ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ჭინთვების შემხედვარემ. აი, რანაირ ფენომენთან გვიწევს ბრძოლა ჩვენს ორგანიზმში ჯაშქვიდუდ დამკვიდრებული პარაზიტის მოყისმათეთ. აი, რა მიმართულებით მართებს ყურადღების მეტი გამახვილება და სათანადო ცოდნით აღჭურვა ბრძოლის ველზე გამოსულ ჩვენს მამაც, მაგრამ დღემდე ზერელე, მხოლოდ საკუთარ უნარებს დაყრდნობილ თაობას.

ჩვენი საზოგადოების ნორმალიზაციის აქილევსის ქუსლი დაუსჯელობის სინდრომია. ასი გმირის დაჯილდოებაზე ქმედითი, ერთი ბოროტმოქმედის მხილება და ალაგმვაა, ერთი ზნედაცემულის გამოაშკარავება და სახალხო გაკიცხვა. ჩვენ კანონიერი ეროვნული ხელისუფლების ხელყოფით მეხუთე კოლონისაგან, ფაქტობრივად ბოროტებათა ციკლს ავუნთეთ მწვანე შუქი. ერთ უზნეობას მეორე მივუსართეთ და მიზანმიმართულად ჩავეშვით ჭაობის ფსკერში. იმედისმომცემი შუქიც არსაიდან კიანთებდა, რომ არა ბატონ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა ქართულ სინამდვილეში. დავასახელებდი სამაგიდო მნიშვნელობის მის ღია წერილს ევროპის სახალხო პარტიისადმი (14. 03. 2013), რომელმაც ფაქტობრივად ნიღაბი ჩამოგლიჯა ნაციონალური მოძრაობის ანტიადამიანურ ხასიათს, და ყოველგვარი სურვილი დაუკარგა მათ მეურვეებს, გამოქომაგებოდნენ კვლავაც თავიანთ ნორჩ ყლორტებს კავკასიაში. ბარემ აქვე ვიტყოდი იმასაც, რომ „ნაციონალებს“ არაფერი სცხიათ ნაციონალურისა. ნაციონალური ეროვნულს ნიშნავს. მათ დამფუძნებელი „ევროპის სახალხო პარტიის“ გადმოასლებას პატრიოტულის მნიშვნელობის სიტყვა „ნაციონალური“ ამჯობინეს ფარისევლურად, თორემ თავიანთი არსით სინამდვილეში ანტინაციონალები უნდა ერქვათ. დიახ, ბიძინა ივანიშვილმა სარჩულის უკიდურეს ძაფამდე გააშიშვლა მათი ცხრაწლიანი მავნებვლური პარპაში ქვეყანაში. დიახ, ბიძინა ივანიშვილმა ამხილა პირველად საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნის კონსტიტუციისადმი მათი პროკრუსტესეული დამოკიდებულება — 25-ჯერ შეიცვალა კონსტიტუცია დროის გაუსაძლისი 9 წლის მონაკვეთში, რათა გაცილებით უკეთ მორგებოდა კანონი მათ ავაზაკურ საქმიანობას.

საერთოდ, ბატონი ბიძინას საჯარო გამოსვლები დედაქალაქში, გურიაში, სამეგრელოში პოლიტიკურად გაწონასწორებული პიროვნების პლატფორმის დემონსტრირებაა, რომელიც აუმღვრელად, ქარავნის გულმოდგინებით მიჰყვება თავის გზა-სავალს ქანაანისკენ, მაგრამ იგი ამავდროულად წამითაც არ ივიწყებს იმ რეალობას, რომ ნაციონალების დიდი უმრავლესობა ჩვენი ღვიძლები არიან, ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი თვისტომელები, რომელთაც თავიდან ვერაფრით გადაუგდიათ მოჩვენებითი ეროვნულობა, ფარისევლური პატრიოტობა, რომლის უკან ვერაგულადაა ჩასაფრებული ქართული სახელმწიფოებრიობის სრული მოშლა სხვა ქვეყნის ინტერესების ჩასანაცვლებლად. ჩვენ აქ ფრაზას ბოლომდე არ ვშიფრავთ გარკვეული მოსაზრებით, მიმხვედრი ისედაც მიხვდება, რათა ჩვეული ოსტატობით ქსენოფობიაში არ დაგვადანაშაულონ, თუმცა მათი პარტიის ელიტარული ნაწილი ამ ნიშნით რომ არის დაკომპლექტებული, ეჭვგარეშეა. მათ უნიჭობას ვერ დასწამებ. მთლად ხელმოცარულები ჰიტლერელებიც არ ყოფილან, მაგრამ მათ შეეძლოთ ადამიანები აუმღვრევლად დაეხვრიტათ და შემდეგ ფორტეპიანოზე შოპენი ვირტუალურად შესრულებინათ.

მე გასაოცარ ფაქტს წავაწყდი მიკროავტობუსით მრავალჯერადი მგზავრობისას ზუგდიდ-თბილისს შორის. დაიქოქა თუ არა მანქანა, ჩართო ვიდეოკასეტა წითურმა მძღოლმა და არ გამორთო, რომელშიც ოცნებელების, მათებურად „ქოცების“ თავსლაფია თხემიდან ტერფამდე. მართალია, იქ არაბიძის დიაპაზონის უნიჭო სკეტჩების აღლუმია მიწყივ, მაგრამ ობივატელის დამაინტრიგებელი, ამყოლიებელი და გუნების მომშხამავი. აქ უკიდურესობამდე დარღვეულია მგზავრის თავისუფლება — მიიღოს სასურველი ინფორმაცია, ვინაიდან არავინ ეკითხება მის გემოვნებას, პოლიტიკურ ორიენტაციას, შემოთავაზებულია პასკვილური ღადავი კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“ და გინდა თუ არა ლოღნო უნდა ეს ამაზრზენობა მთელი ხუთი საათი. ტელევიზორთან სხვაა, გამორთავ საერთოდ, ან სხვა არხზე გადაიყვან და ამნაირად დაიკმაყოფილებ შენს ადამიანურ უფლებებს — იყო თავისუფალი არჩევანში. ასე და ამგვარად ხდებოდა წლობით, თვეების განმავლობაში მიკროავტობუსებში, ავტობუსებში და ასე უსულგულოდ აზომბირებდნენ, მიიტაცებდნენ უწყინარ მგზავრებს.

— გამორთე-მეთქი — შევეკამათე იმ წითურ მძღოლს.

— რატომ, რისთვის?! ხალხს მოსწონსო, — შემომიტია აქეთ.

— მაშინ რატომ არ უჩვენებ იმ კადრებს, თუ როგორ ხდიდნენ ნამუსს სამეგრელოს ტყეებში მოწყობილ ბუნკერებში, ოდიშსა და ცაიშში, ჩვენს მოსახლეობას?! რატომ იმ ამაზრზენობას არ უჩვენებ-მეთქი.

მოიკუნტა, მაგრამ როგორ, განსაკუთრებით ვინაობა როცა გავუმხილე, მისგან წაკითხული რომანის ავტორი ვყოფილვარ. იკადრა კასეტის გამოცვლა.

როცა ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფენომენს ვეხებით, არსებობენ დროსა და სივრცეში მისი შემაფერხებელი ფაქტორებიც, როგორიცაა: „ევროპის სახალხო პარტია“, ნათელაშვილისგან დეზორიენტირებული აშშ-ს კონგრესმენი, სამამულო არასამთავროების ქარავანი, მოსყიდული მასმედია და ა. შ. ამ ყველაფერს ადვილმოსალოდნელია შეეწიროს არა მხოლოდ მისი წარმატებული ბიზნესი, უზრუნველი ცხოვრება, არამედ ყველაზე უძვირფასესი — მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლე. და მიუხედავად ყველაფრისა, იგი მაინც თავის ხალხთანაა, თავის გურიაში, თავის სამეგრელოში, თავის ქართლსა და კახეთში, თავის დედაქალაქელებთან.

მსგავსი რგოლებისგან იგრაგნება ხოლმე ჯაშქვიდუ, რომელიც მკვიდრად შემოერკალება ხოლმე თვალში ამოღებულ ხეს და ნელ-ნელა მოინელებს ოკრობოკრო ცხოვრების განმავლობაში; ან ექს-პირველი ლედივით მინაზებული ხმით ლუღლუღებს: „ძალადობას მეტჯერ არ მივმართავთო“. გამოდის რომ მიმართავდნენ თურმე! როგორ და რამდენგზის, არ აკონკრეტებს პრიმა ქალბატონი, მაგრამ მიმართავდნენ თურმე, და თუკი ძალადობა იყო ჩადენილი, რაღა ვუყოთ ახლა კაცობრიობის მიერ გამომუშავებულ უზენაეს დოქტრინას: „ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს“. როგორ, რანაირად შევათავსოთ ეს ურთიერთგამომრიცხავი სენტენცია: „ძალადობას მეტჯერ არ მივმართავთ“ და „განისაჯოს!“

ქალბატონ სანდრა-ელისაბედ რულოვსის მისამართით ყველაზე მეტი თბილი სტრიქონი მე მეკუთვნის ჩემი კუთხიდან, მიუხედავად მეგობრების გაფრთხილებისა. მერე ლექსიც კი მივუძღვენი ერთგან ქართული კულტურის ქომაგად მიჩნეულს, ხოტბას ვასხამ, როგორც ჩვენი ფოლკლორის მეოხს... და აქ მე გულწრფელობაში ვერავინ დამადანაშაულებს. ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარს ვხედავდი მასში და როგორ შევმცდარვარ... უცებ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გამოკრთება პოლიციის პოდპოლკოვნიკის, ქალბატონ ქეთევან ზარნაძის მამხილებელი წერილი ადამიანის ორგანოებით მოვაჭრე პიროვნებაზე. ერთ ბრალდებას მეორე მოჰყვება, მესამე. გამოვიტან ფეისბუქზე ექს-პირველი ლედისადმი გამოთქმულ პრეტენზიებს და დავსვამ კითხვას: რატომ დუმან ყოველივე ამის შესახებ თავად სანდრა ელისაბედ რულოვსი, მისი ფირმა „სოკოს“ პერსონალი, მეგობრები?!

ნათქვამია, შუბი ხალთაში არ დაიმალება და ცეცხლი თივაშიო. აზავთდება მერე ეს ცეცხლი და ლამის ხანძრად იქცეს მიმდინარე საპარლამენტო არჩევნების მიწურულს. ნაციონალებმა არჩევნები რომ წააგო კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“, „ჭკვიანმა რძალმა“ აკრიფა თავისი გუდა-ნაბადი და ჰოლანდიაში გადაბარგდა შვილებითურთ. კუთხის მაჟორიტარობაზე პრეტენდენტი კი სხვანაირად მოიქცეოდა, ყველაზე ცოტა მასზე დარხეულ ბრალდებებს რაღაცნაირი ფორმით აირიდებდა თავიდან...



დიახ, ადამიანის ორგანოების ბარიგას დონეზე განიხილება დღეს სანდრა ელისაბედ რულოვსის პიროვნება, თავად ადრესატი კი დუმს და დუმს. მოდიან ინფორმატორები. ჰყვებიან თუ ვის ოჯახს ესტუმრნენ დღეს, რით გაუმასპინძლდედ, რამდენი საჩუქარი მიართვეს, რამდენი ლარი მიუბოძეს, როგორ მოულხინეს. ეს ოჯახები ნაციონალების არ გეგონოთ, ისევ „ოცნების“ წევრებისაა, მათი გადაბირებითაა თურმე დაკავებული ეს დღეები. თავად ამ „გადაბირების“ მოტივაციები უფრო ხელშესახებად იკვეთება ტელეარხ „ობიექტივის“ ამასწინანდელ გადაცემაში, სადაც დროული ქალბატონები საგანგაშო ზარს არისხებენ მეგრელების მოსალოდნელ სეპარატიზმზე, რაც ბუნებრივია, ზუგდიდში მაჟოროტარობის კანდიდატად სანდრას გამოჩენას უკავშირდება. მეგრული სეპარატიზმის აგორება უფრო კერკეტ კაკალ ხალხს არ გამოუვიდათ, როგორი გვამებიც გახლდნენ: ვოსტორგანოვები, უსლარები, სუსლოვები, სხვანი და სხვანი და ერთი შუალა ნიჭის ფილოლოგი რა ბედენაა, საყველპურო მეგრულით რომ ებჟუტურება ორღობეში მის მხარდამჭერ ბიჭუნებს მერამდენე კვირაა.

ტელეკომპანია „ოდიშთან“ ჩემი სიახლოვე, ჩემი მეგობრისაგან, ნეტარხსენებული **ოდიკ ქუხილავასგან** მოდის. მან გამაცნო პირველად **გრიშა ქობალია**, როგორც კომპიუტერული საქმიანობის ქურუმი, რაც ნამდვილად ასეც გამოდგა. შემდგომ მე ვცადე ამ ტელეარხთან **პოკრო გახარიას** დაკავშირება. ის კუნძულ ტექსელის აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე იყო ჩემს თანასოფლელ, ოტობაიელ **დათიკო ბჟინავასთან** ერთად. მივაწოდე სიტყვიერი პროექტი ცხონებულ გრიშას და შემდგომ იგი გადაიზარდა ქართული დელეგაციის ნიდერლანდებში ჩასვლით. ცხადია, თავად იდეის ავტორი არავის გახსენებია.

17 გვ.



# კონსტიტუციის გამბახებლები



2003 წელს, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, კონსტიტუციის საჯარო გაუპატიურება მოხდა. მთელი უფლებამოსილება პრეზიდენტის ხელში აღმოჩნდა. აი რას იხსენებს 1999-2009 წლებში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლე მინდია უგრეხელიძე-“ მე სტრასბურგში გახლდით, როდესაც ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირმა მაჩვენა სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი პროექტი, რომელშიც ეწერა, რომ ყველა მოსამართლე გაგდებული იქნას სამსახურიდანო და ფრჩხილებში იქვე ეწერა -კემულარიას გარდაო. ისტორიას არ ახსოვს, რომ კონსტიტუციაში გვარი ჩაეწეროს ვინმეს, კონსტიტუცია გადაიქცა სა-



შინელ ერთმართველური ყაიდის კონსტიტუციად, სადაც მთელმა ძალაუფლებამ ერთი კაცის ხელში გადაინაცვლა. რათქმაუნდა ეს იყო სიმახინჯე და დანაშაული“(საინტერესოა რა ზომები მიიღო ბატონმა მინდიამ მიშასეული საკანონმდებლო „ნოვაციების“გამოსასწორებლად). არადა მიშა დღემდე ხელებს იფშვნეტს მე რა შუაში ვარ კიტრივით ბიჭი ვიყავიო, ანუ არც აპირებს პასუხისმგებლობის აღებას ცხრაწლიან რეჟიმის დანაშაულებრივ საქმიანობაზე, დიდი ალბათობით არც არავინ აიღებს თავის თავზე, ბასტილიის არ იყოს ყველა იტყვის მე არ ამიღიაო... ცნობილია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში მიღებული ნორმატიული აქტები, ისევე, როგორც საჯარო მოხელეთა ქმედებები, ძირითადად მმართველი პოლიტიკური ელიტის კორუფციული და რეპრესიული ინტერესების რეალიზაციაზე იყო ორიენტირებული. სასამართლო ხელისუფლება, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლო, ჯერ კიდევ ზემოხსენებული პოლიტიკური ჯგუფის გავლენის ქვეშაა მოქცეული, ცნობილი ფაქტია, რომ 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოში განხორციელდა ხელისუფლების ძალადობით შეცვლა, რომელიც შემდგომ ვარდების რევოლუციად მოინათლა. პოლიტიკური და ეკონომიკური სასურველი შედეგის მისაღებად ნაცელიტამ უხვად შეიტანა ცვლილებები სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. რათა რეპრესიების გამოყენების და რაც შეიძლება მეტი ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობა ჰქონოდათ. 1997 წლის 21 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად სცნო ქონების კონფისკაციის, როგორც სასჯელის დამატებითი სახის არსებობა სისხლის სამართლის კოდექსში, რადგან იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან. საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლებლად ჩათვალა მხოლოდ სპეციალური კონფისკაციის არსებობის შესაძლებლობა, სისხლის სამარეთლის საპროცესო კანონმდებლობაში და კანონში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული დადგენილება უგულებელყოფილი იქნა და საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბრის კანონით ახალ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლში შეტანილი იქნა შესაბამისი დამატება, რომელმაც შესაძლებელი გახადა ქონების ჩამორთმევა სპეციალური კონფისკაციის ფარგლებს მიღმაც. მეტიც აღნიშნული მუხლს წარმატებით იყენებდნენ უკუქცევის ძალით, რაც ანტიკონსტიტუციურია (როდესაც ამძიმებს) უკუქცევით გამოიყენა პირადად ჩემს შემთხვევაში მოსამართლე ნატო ხუჯაძემ რასაკვირველია პროკურორ გია შარიქაძის ზეწოლით. დღეს ხუჯაძე მოსამართლეობის ვადის გაგრძელებაზე „ჩალიჩობს“ხოლო შარიქაძე ისევ პროკურატურაში აგრძელებს მოღვაწეობას... სააკაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები „წინსწრებით“დაივალა და ბათუმში საცხოვრებელი სახლები ფაქტიურად საჩუქრად გადასცა... რასაკვირველია მას სახელმწიფო თუ სხვისი ქონების განკარგვის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ კონსტიტუცია თვითონ გახლდათ მიხეილი და ვინ დაუშლიდა?

სააკაშვილმა კანონის გვერდის ავლით თავის ახლო ნათესავებს და ერთგულ ყმებს უხვად დაურიგა სახელმწიფო თუ სხვისი კერძო საკუთრება ერთ ლარად, რისი კონსტიტუციური უფლებაც მას არ ჰქონდა. სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ, შვილის პრეზიდენტობას ჩვეულებრივი პროფესორის სტატუსით შეხვდა და 10 წელიწადში სერიოზულ ბიზნეს-ვუმენად და საქართველოს უმაღლესი განათლების კერძო სექტორის №2 მედროშედ დაასრულა, რამეთუ ამ პერიოდში 1 ლარად მისთვის გადაცემული ქონებების რაოდენობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსების მისაკუთრებით და მის სახელზე გაფორმებული ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის 14%-იანი წილით გაითქვა სახელი. მიხეილ სააკაშვილმა ოსტატურად კი მოახერხა საკუთარი ქონების გადამალვა, მაგრამ ავიწყდება, რომ ოჯახის წევრებისათვის ნაჩუქარი სახელმწიფო ქონება და სასათბურე პირობების შექმნით სწრაფად აყვავებული კლანური ბიზნესები ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში პოლიტიკოსის კორუფციის უტყუარ ნიშნად ითვლება. ეს რომ არ ავიწყდებოდეს, დედის გამომზეურებას ისევე მოერიდებოდა, როგორც მისი პოლიტიკური ელიტის სხვა წევრები ერიდებიან მათი პარპაშის დროს უცებ გამდიდრებული მამების, ბიძების და მეუღლეების გამომზეურებას...

2011 წელს საპროცესო შეთანხმების გირაოსა და ქონების კონფისკაციის წყალობით საქართველოს ბიუჯეტმა მიიღო 108000000 ლარზე მეტი. 2004-2011 წლებში ბიუჯეტში მობი-



ლიზებული იყო ერთ მილიარდ ლარზე მეტი. ამას ემატებოდა ბრალდებულის მიერ ჯარიმასთან ერთად პარარელულად „ნებაყოფილობითი“გადარიცხვები „პროკურატურის ინსტიტუციური განვითარების ფონდი“და „თავდაცვის ფონდში“საუბარია მილიარდობით ლარზე, რომელიც უკონტროლოდ იხარჯებოდა იმდროინდელი ხელისუფლების მიერ და არავითარ ინფორმაციას არც საკანონმდებლო ხელისუფლება და არც კონტროლის პალატა ამ ფონდებთან დაკავშირებით არ ფლობდა. ფონდები კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით იყვნენ წარმოდგენილი. ასეთი „გამჭირვალობით“ იარსება ორივე ფონდმა და სამწუხაროდ პროკურატურა არც კი დაინტერესებულა რა რაოდენობის „ნებაყოფილობითი“შეწირულობანი დაილექა აღნიშნულ ფონდებში და ვის ჯიბეებში დაივანა მილიარდობით ლარმა. 2004-2012 წლის პერიოდში სხვადასხვა დანაშაულისთვის დაპატიმრებული და თავისუფლებააღკვეთილი იყო 150000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო პრობაციაზე გაცილებით მეტი იყო... განსაკუთრებით გამძაფრდა პასაუხისმგებლობის ხარისხი პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულებზე...გირაოს მასშტაბებმა შემაძრწუნებელ ზომებს მიაღწია, ეს ყველაფერი ხდებოდა სოციალურად ნაკლებად დაცული მოსახლეობის პირობებში, სადაც უმდაბლესი იყო შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და უმაღლესი სოციალური გადასახადები. ასეთმა მკაცრმა, გაუაზრებელმ და, დაუსაბუთებელმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ გამოიწვია ისედაც გაღატაკებული მოსახლეობის კიდევ უფრო გაღატაკება და კერძო იპოთეკარების გაჩენა, პასუხისგებაში მიცემული ადამიანები ხშირ შემთხვევაში იპოთეკით ტვირთავდნენ საკუთარ ქონებას, შემდეგ ველარ იხდიდნენ და კარგავდნენ. აღსანიშნავია რომ ძალზე ხშირად შუამავლის ფუნქციებს ბანკებსა და ბრალდებულებს შორის გირაოს თანხის დროულად გამოტანაში ახორციელებდნენ პროკურატურისა და შსს შესაბამისი დანაყოფები. 2013 წლის მონაცემებით საქართველოში ბანკებისაგან და კერძო იპოთეკარებისაგან 200000-ზე მეტი გაუბედურებული ადამიანია რეგისტრირებული. აი, გაუაზრებელი და აბსოლუტურად გაუთვლელი მკაცრი პოლიტიკის შედეგი. ნაცხროვა დღესაც უტიფრად სპეკულირებს იპოთეკით დაზარალებული მოსახლეობით, ეტყობა აღარ ახსოვთ, რომ სწორედ მათ მიერ განხორციელებულმა კაბალურმა საკანონმდებლო ცვლილებებმა დატოვეს ის ადამიანები უსახლკაროდ სამაგიეროდ გაღლეტილი ნაციონალები და მათი „მოურავი“სამართალდამცავი ხროვის წევრები გახდნენ მილიონერები და სიზმარშიც კი არ უნდოდათ ეხილათ „სიდან მოდიოდნენ“...

უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის დაშლის დროს ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა არ აღემატებოდა 15წელს. 2006 წელს ამერიკული კანონმდებლობის ზეგავლენით გადმოიღეს სასჯელის სრულად შეკრების წესი და თავისუფლების აღკვეთის უმაღლეს ვადათ განისაზღვრა 40 წელი. სსრ კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის მაქსიმალური ვადა განისაზღვრებოდა 15 დღით. ხოლო 2009 წლიდან საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისთვის პატიმრობას 90 დღემდე ითვალისწინებს, ხოლო სასამართლოსი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის და სასამართლოს უპატივცემულობისათვის-60 დღემდე... 1993 წელს მიღებული კანონი „პოლიცის შესახებ“დამატებებით და ცვლილებებით, გაუგებარ და კონსტიტუციასთან აშკარად შეუსაბამო რეპრესიულ იარაღად აქციეს. მწვანე შუქი აუნთეს პოლიციელის უკანონო ქმედებას. შემოიტანეს ტერმინი „გონივრული ეჭვი“რის საფუძველზეც პოლიციელს როგორც პირის ასევე ნებისმიერი შენობის ჩხრეკის უფლება დაუკანონეს არადა ტერმინი, „გონივრული“არანაირად არ ერგება ნაცპოლიციელების კუნთმაგარ და გონებაჩლუნგ პერსონას, რომლებიც პრემიის გამო ჩეხავდნენ, კლავდნენ და ძალადობდნენ მოქალაქეებზე. ასევე საყურადღებოა

ახალი ტერმინის დამკვიდრება „შეჩერება“ კანონი ამ ტერმინის გაგების ფართო დისკრეციას ითვალისწინებს, რაც ძალზე საშიშია და ის აუცილებლად შემოუბრუნდება ქართულ საზოგადოებას.-“შეჩერების ვადა არის გონივრული ეჭვის დადასტურებისთვის ან გამორიცხვისთვის“ მაინც რამდენია გონივრული ვადა? ამაზე კანონი არაფერს ამბობს. აღნიშნული კანონი წინააღმდეგობაში მოდის არამარტო საქართველოს კონსტიტუციასთან და ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციასთან, არამედ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პრაქტიკასთან. სხვათა შორის „შემოწმებაც“ 2010 წლამდე საგამოძიებო მოქმედება იყო და მისი ჩატარების უფლებამოსილება მხოლოდ გამომძიებელს და პროკურორს გააჩნდა „პოლიციის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები არავითარ გარანტიებს არ ითვალისწინებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. საინტერესოა „შეჩერებული“ პირის უფლება, ერთჯერადად გაასაჩივროს პოლიციელის მოქმედება მისი შეჩერებისა და ზედაპირული შემოწმების ადგილის მიხედვით სასამართლოში, მაგრამ რას გაასაჩივრებს შეჩერებული და ზედაპირულად შემოწმებული? პოლიციელის მოქმედებას თუ აქტს, რომელიც პოლიციელმა შეადგინა არადა ამ შემთხვევაში არც აქტს წერს პოლიციელი, ამიტომ კანონმდებელი ფაქტიურად შეუძლებელს ხდის





აღნიშნული ქმედების გასაჩივრების შესაძლებლობას. პოლიციელის მოქმედების კანონიერება და დასაბუთებულობა ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე, მსოფლიოში ანალოგიური ჯერ არავის მოუგონია 2007 წლის 7 ნოემბერს დემონსტრაციის დასაშლელად გამოყენებულ სპეციალურ საშუალებებს (აკუსტიკურ რადიოტალღურ იარაღს, არალეტარულ სპეცსაშუალებებს“ალ6“ და „ფ6303“ და ასევე 2009 წლის 6 მაისს პოლიციის შენობის წინ შეკრებილი მომიტინგეების დასაშლელად გამოყენებულ არალეტარულ იარაღს რომელმაც არაერთ ადამიანი სერიოზულად დააზიანა, მათ შორის სამი მძიმედ. აღმოჩნდა რომ პოლიციამ სპეციალური საშუალებები გამოიყენა უკანონოდ, რადგან საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ასეთი სპეციალური საშუალებების ჩამონათვალს არ ითვალისწინებდა სამაგიეროდ 2009 წლის 6 მაისს პოლიციის მიერ განხორციელებული ზომები „გააპრავეს“ 2009 წლის 17 ივლისს, (დამატება კანონში) კანონის მოქმედება სივრცეში და დროში ეტყობა ნაციურისტებს არ გაუვლიათ, თან მიშასაც არ ხიბლავდა კონსტიტუცია... 2003 წლის 13 თებერვლიდან 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა 92 ცვლილება და დამატება. ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში-64 ცვლილება და დამატება. მსოფლიო კანონშემოქმედებითი პრაქტიკა არ იცნობს ქვეყანას რომელიც ასე ხშირად და გაუაზრებლად ახდენდა საკანონმდებლო ბაზის რადიკალურ ცვლილებებს. საქართველო ამ მხრივ გამორჩეული გახლდათ თავის აგრესიული კანონშემოქმედებით. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით მათი დასავლელი მეგობრების აღშფოთება რაღაც არ მახსენდება. 2012 წლის ნაციონალების „მარცხის“ შემდგომ მოსახლეობას დიდი მოლოდინი ჰქონდა, რომ ახალი პოლიტიკური ძალა შეძლებდა იმ მავნე შედეგების გამოსწორებას, რომელიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცხრაწლიანმა მოღვაწეობამ დაუტოვა ქართულ კანონმდებლობას. აუცილებელია ნაცრეჟიმის პერიოდში მიღებული სისხლის სამართლის კოდექსში და პროცესში მიღებული ყველა ცვლილების და დამატების გამოკვლევა მოხდეს და გაირკვეს რა კრიტერიუმებს ეყრდნობოდა კანონმდებელი როდესაც ახდენდა საკანონმდებლო ნოვაციის შემოტანასა და დანერგვას. ნაცები, რომ ბოლშევიკებს ფარულად „ყვარობდნენ“ და მათი გზით დადიოდნენ არ ახალია, შესაბამისად „თხრიდნენ“ და რეცხავდნენ მათ კანონებსაც. ანონიმური ცნობების განხილვის დაუშვებლობა, დღესაც მიიჩნევა“პერესტროიკის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად. საქართველოს 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი „სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კრძალავდა ანონიმური განცხადების განხილვას. ნაცკანონმდებელმა კი ეს ბოლშევიკური კანონი აღადგინა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში და დაიწყო დაწიოკება ბიზმესმენების, თუ არასასურველი პირების თითქოს ანონიმური ცნობის საფუძველზე, ნეტა მათთვის თუ იყო ცნობილი, კანონის იმპერატიულ მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც „მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიიღება პირისაგან, რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები“თუმცა მიშას მოსამართლეებს რასაც არქიფოს პროკურორები მიუთითებდნენ უსიტყვოდ ასრულებდნენ. განა მათთვის არ დაამატა ცვლილება კანონში მიშამ, რომ მოსამართლისთვის კონკრეტულ საქმეზე ანგარიშის მოთხოვნის უფლება არავის ჰქონდა? ჰოდა იმ სიმართლით იარონ მიშასდროინდელმა ყველა მოსამართლემ რა სიმართლითაც განაჩენი თუ გადაწყვეტილება გამოჰქონდათ. ადეიშვილის მოადგილეები მხოლოდ ვაზელინის წასმის სიუხვით გამოირჩეოდნენ მთავრისაგან. გიორგი ლაცაბიძე კურირებდა უკანონოდ ჩამორთმეული ქონების განაწილებას, ტელევიზიით კი გაჰყვიროდა ბრალს არ ვაღიარებო, მაგრამ რამდენი ადამიანი არ აღიარებდა ბრალს და „პარსავდა“უმოწყალოდ ეს მართლა ცალი კალოშით ჩამოსული გაურკვეველი განათლების ადამიანი, ფულზე და სისხლზე დახამებული ვირთხა... მიშამ შექმნა სიცრუის და სიყალბის ჭაობი, რომელსაც დაარქვა დემოკრატია. სინამდვილეში ეს იყო დემონიზაცია. მისი დანაშაულია ისიც, რომ ხალხი, მედია, სასამართლო, ბიზნესი და სახელმწიფო მოხელეები ამ წუმპეში ჩაითრია. და ისიც, რომ ხალხში „დემოკრატიის“ აზრი გააბახა...

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ჯაშქვიდუს სინდრომი

15 გვ.

სანდრასადმი მიძღვნილი ლექსის ინტერნეტ-სივრცეში განმათავსებელი ერთი ქალიშვილი ტელეკომპანია „ოდიშში“ მუშაობდა. მისი მეპატრონე ეხმარებოდა ფინანსურად მეტად შეჭირვებულს. ტელეკომპანია „ოდიშს“ ჩემთვის ადრე მრავალი გადაცემა მოუძღვნია. რამდენიმე თვის წინათ ვისარგებლე კიდეც ამ ეთერით — ჩემი ვიდეო-მასალა გაუშვეს. ჰოდა, ამ კოლეგას, ჩემგან ნაჩუქარი წიგნიდან „ჰოუნანა“, სანდრასადმი მიძღვნილი სამსტროფიანი ლექსი აუკრეფია, უპოვია რულოვსის წითელკაბიანი ფოტო და ამნაირი კომენტარით: „გური ოტობაია სანდრა რულოვსს მეგრული ლექსით“, და იქვე მიხატული მოტრფიალე გულით გამოუქვეყნებია. ქვემოთ თარიღია მიწერილი: 13 სექტემბერი, 15. 20 წუთი. 2016 წელი. ამ ელექტრონული ინფორმაციით გამოდის რომ აღნიშნული ლექსი რაღაც სამი დღეა შემიქმნია და არა — 8-9 წლის წინათ;

სანდრას მაჟორიტარობა მეხამრიდად სჭირდება, ვინძლო არჩევნების შემდეგ უფრო მომძლავრებულმა „ოცნებამ“ არ განახორციელოს მის მიმართ წამოყენებულ ბრალდებებზე რეალური რეაგირებანი. და მეორე, ნაციონალებს ზუგდიდი სჭირდებათ ანაკლიის პორტის მშენებლობის გამო, რომელიც მრავალმილიარდიანი პროექტია და რომელიც, მათი ჭკუით შეძლებს სამეგრელოს მოსახლეობის აჭრელებას, იქიდან აყრას, აფხაზეთის კვალობაზე. და როცა სამეგრელო წელში გატეხილი იქნება, საქართველოს გადაშენება მერე ძნელი არ არის, მაგრამ ვერ ეღირსებიან. ამისი გარანტად კოალიცია „ქართული ოცნება“ მიმაჩნია, რომლის აქტიური მხარდამჭერიც ვარ დღეს. მე მჯერა ბატონი ბიძინა ივანიშვილის პრაგმატული პროექტების, მისი კეთილგანწყობის ქართველი ხალხისადმი და იმედია, ამ ერთხელ მაინც არ გავწბილდები ცხოვრებაში.



ყველას გასაგონად ვადასტურებ, რომ სადაც გონებანათელი სამეგრელოა, იქ ჩვენს ნიდერლანდელ მანდილოსანს იოტისოდენა შანსი არ გააჩნია გახდეს სადადიანოს რჩეული.

უამრავი ფერი და ფრაზა გამირბის ხელიდან. კვლავ ჯაშქვიდუს სინდრომს მინდა მოვუბრუნდე. დიახ და დიახ, ჩვენ მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიოთ ამ გვარნაცვალ ჯაშქვიდუებს, რომლებიც მეხუთე კოლონის სახელით პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს საბოლოო განთავისუფლებაზე ძირძველი ქართველებისგან. ისინი გადამწყვეტ ბრძოლას აცხადებენ საქართველოსთვის, ორაზროვნად ამოფარებიან ქვეყნის მომავალზე ზრუნვას და ბეწოსაც არ გამოიმეტებენ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ეს „გადამწყვეტი ბრძოლა“, სიკეთის მომტანია აბორიგენი ქართველობისთვის, თუ გენოციდის ტოლფარდი.

არ ვიქნებით ფხიზლად, არ ვიქნებით შეკავშირებულად და ამ ანტისახელმწიფოებრივ ჩანაფიქრს უცილობლად აიხდენენ ისინი ჩვენი დოყლაპიობით, ჩვენი ხეპრეობით, თქვენი მონამორჩილისდართა ზედმეტი მინდობით, იგივე არასამთავრობოების ამალის თუ მრავლადნახსენები გვარნაცვალი ხალხის — ვითომ მოსიყვარულე ჯაშქვიდუების შემწეობით, რომლებიც თვალსა და ხელს შუა გვახრჩობენ, გვგუდავენ, სულებს ამოგვაცლიან ფარისევლური ქალამ-სალამით, მაგრამ ამ საერთო ეროვნული გამოფხიზლების შემდეგ ახელილი თვალები ჯიბეში არ გვიწყვია საბედნიეროდ, არც დამუნჯებული ენა განრიდებია საომარ ლელოს, და აღარც დახშული სმენა განაპირებია ქარტეხილების მოძალებას, მუშტებიც მკვიდრად შეგვიკრავს პირატული ყბების მოსარეჯგვად, და იარე წინ, მრავალეროვანი, მაგრამ ერთიანი ეთნოფსიქოლოგიის საქართველოსკენ არენავ ჩვენო, ბედისწერავ ჩვენო, ვისთვის ფარდაგო ლანჩათა და ვისთვის კვარცხლბეკო ზესთა!

(იბეჭდება შემოკლებით)

**გური ოტობაია**
15-24. 09. 2016 წ.

# ბიძინა ივანიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან უარი თქვა მესიის როლზე და ერის მსახურების ფუნქცია იკისრა

გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:

**— ბატონო ვაჟა, 8 ოქტომბერს რა მოლოდინი გაქვთ?**

— ძალიან მნიშვნელოვანია თუ რა განწყობით მივალთ 8 ოქტომბრამდე. თუ ეს განწყობა, არჩევანი ხალხის მიერ კარგად გააზრებული არ იქნა, ჩვენ შეიძლება ბევრი სირთულის წინაშე დავდგეთ. 9 ოქტომბრიდან, პირადად მე, გპირდებით, ყველას მიმართ ძალიან მკაცრი კრიტიკოსი ვიქნები იმდენად რამდენადაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ძალიან სერიოზული ეტაპი იწყება. ყველა უნდა გავაქტიურდეთ და მომდევნო ოთხი წელი იმისთვის გამოვიყენოთ, რომ საბოლოოდ აღმშენებლობის, კეთილდღეობის, რეალური მატების გზაზე დავდგეთ. ჩვენ აბსოლუტურად მალემრწმენები გავხდით. ეს ალბათ, იმპერიული გავლენების ქვეშ ყოფნის შედეგია. გვინდა რაღაც ციური მანანა დაეშვას ზეციდან ან ვიღაცამ რძის მდინარეები და ოქროს ნაპირები მოუშვას. შესაძლოა, მსოფლიო პოლიტიკის ლაბირინთებში მოძრავმა რომელიმე ძალამ სარფიანად გვიყიდოს. ჩვენ როგორც ძველი კულტურის, გეო-სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანას, გარკვეული ღირებულება გვაქვს. ფაქტობრივად, ეს ვაჭრობა დიდი ხანია დაწყებულია. თუ სრულფასოვანი პოლიტიკური პროცესის ფორმირებას არ დავიწყებთ, ძალიან მძიმე შედეგებამდე მივალთ. არ მინდა 9 ოქტომბრამდე იაფფასიან პოპულიზმს გამოდევნებული ჩემი ოპონენტები გამოვაფხიზლო, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ რეალური პერსპექტივა გვაქვს რაღაც მასშტაბით საქართველოში სირია განმეორდეს. აგერ უკვე თურქეთზე გადმოვიდა დაძაბულობის, დაპირისპირების ზღვარი. თურქეთი ჩვენი მეზობელია და არც სირიაა მაინცდამაინც შორეული მეზობელი. ჩვენ ერთ ხაზზე ვართ, იმ ღერძიდან, რომელიც იემენში იწყება. იემენში დავიწყებული ომია, არადა, იქ, გაცილებით მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე სირიაში. მაგრამ სირია მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების ცენტრშია, იემენი კი — არა. ამასაც აქვს ობიექტური ახსნა. მაგრამ ახლა, დიახაც, ყველამ უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი ხედვა და დასაბუთება ვის ვუჭერთ მხარს და რატომ. ახლა, სწორედ ამის დროა. ჩვენთვის ეს დროა 1991 წლიდან. ზოგი ამას ღირსეულად ართმევს თავს, ზოგი — ნაკლებად. საქართველო პოლიტიკურად აქტიური მოსახლეობის ქვეყანაა. მაგრამ ბოლო პერიოდში ნიჰილიზმმა და ასეთმა დამოკიდებულებამ იმძლავრა — რა ჩემი საქმეა, მაინც ვერაფერს შევცვლი, რა მოგვიტანა დასავლეთმა, იქნებ რუსეთის წიაღში დავბრუნებულიყავით და ა.შ. ასეთი განწყობები ქვეყანას, მის დამოუკიდებლობას ვერ წაადგება. ამიტომ, ყველა კონფლიქტის დროს რომელიმე მხარე უნდა დავიკავოთ. ამ კონტექსტში უკვე გასაგები ხდება, რატომ გამართა ივანიშვილმა შეხვედრა და რატომ იყო იგი ასეთი მკვეთრი შეფასებებით გამორჩეული, რატომ იყო ივანიშვილი ჩვეულად გულწრფელი, მაგრამ ჩვეულებრივზე მკვეთრი, რატომ იყვნენ ბიზნესმენები პირდაპირები და ამავე დროს შეშფოთებულები. იმიტომ, რომ ბიზნესს ძალიან დიდი ფუნქცია ეკისრება. იგი არამარტო დამსაქმებელია, არამედ განვითარების ვექტორის განმსაზღვრელიც. ეს ფუნქცია, რატომღაც, ჩვენს ბიზნესს გააზრებული არ აქვს. იცით, რატომ არის თუნდაც, მედია სუსტი და რატომ იყიდებიან ხშირად გამომცემლები და ჟურნალისტები. იმიტომ, რომ გაუსაძლის პირობებში მუშაობენ, რადგან სარეკლამო ბაზარი ქვეყანაში არ არის იმდენად, რამდენადაც ბიზნესის მთელი სფეროები მონოპოლიზებულია. ბიზნესი რეკლამებში ფულს არ დებს. თუ დებს რეკლამებში ჩადებული ფული ბეჭდურ, ინტერნეტ და ტელემედიაზე თანაბრად არ ნაწილდება. ასეთ შემთხვევაში მედია თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, ბიზნესი ფულს არ ხარჯავს და საზოგადოება მესიების მოლოდინშია. სხვათა შორის, ივანიშვილისადმი საზოგადოების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებაც სწორედ აქედან მომდინარეობს, რომ ბატონმა ბიძინამ მესიის როლი არ იტვირთა. ჩვენთან, დღემდე, ყველა ლიდერი გარკვეულწილად, მესიის ფუნქციით იყო დატვირთული. ბუნებრივია, მესიური ფუნქციის წარმატებით შესრულება და დემოკრატია ერთმანეთს გამორიცხავს და ძალიან სახიფათო სიახლოვეში მიდის ოხლოკრატიასთან — როდესაც ხალხი ინდივიდი, მოქალაქე კი არა ბრბო ხდება და მერე მისი მართვა უკვე ლოზუნგების დონეზეა. ამ დროს უფსკრული ახლოსაა.

**— ახლა, ახსენეთ ივანიშვილმა მესიობა არ იტვირთაო, ანუ, უფსკრულს აგვაშორა?**

— ბევრს ეგონა როივანიშვილის შვიდი მილიარდით ზეციდან ციური მანანა წამოვიდოდა. მუდმივ ციური მანანის ცვენას შვიდი მილიარდიც არ ეყოფოდა და ძალიან კარგია რომ ივანიშვილმა მესიობა არ იტვირთა, კარგია რომ იგი ადეკვატურია. მესიური დატვირთვა მას, აშკარად, არ აქვს, არამედ მისი ფუნქცია მსახურებაა. ესაა საერო მსახურების ფუნქცია, რომელიც ივანიშვილმა იტვირთა. რაც შეეხება ბიზნესს, წნეხისგან გათავისუფლდა, მაგრამ თავის საზოგადოებრივ ფუნქციას სათანადოდ ვერ ასრულებს, რისი მიზეზებიც როგორც მოგახსენეთ მრავალია — კონკურენციის არარსებობა, სექტორებისა და სეგმენტების მონოპოლიზება — როცა მათ უკვე აღარ სჭირდებათ გარკვეული თანხების გაღება სარეკლამოდ თავისი პროდუქციისა და მომსახურებისთვის. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაზეც თქვენთან ვისაუბრებ — ძალიან რთული და ძნელია ბიზნესებში პოლიტიკური ინტერესის დანახვა. ბევრ მოქმედ ბიზნესში ძალიან დიდი ფინანსური გავლენები იმალება, ვთქვათ, ისეთი პირების რომლებიც არენაზე არ ჩანან, იგივე ყოფილი ხელისუფლების პირველი პირების, სხვა დაინტერესებული მხარეების, მეზობლების, რომლებიც საქართველოში არსებულ გავლენიან, შემოსვლიან ბიზნესებში სერიოზულ წილებს ფლობენ. ძნელია ამას მიჰყვე იმიტომ, რომ როდესაც ბანკი თავის სამეთვალყურეო საბჭოს, მენეჯმენტის შემადგენლობას და წილებს ასახელებს, ხშირად ვხედავთ ოფშორებში დარეგისტრირებულ ფირმებს, რომელთა დამფუძნებლებამდე და მოწილეებამდე მისვლა სახელმწიფოსაც კი არ შეუძლია, არათუ ჟურნალისტებს ან ექსპერტებს. ივანიშვილი გონიერი ადამიანია, შიგნიდან იცნობს ბიზნესს და მან იცის, რომ აქ, იგივე ბევრი ყოფილი ნაციონალის ინტერესია ძალიან ბევრ ბიზნესში, ზოგჯერ ისინი ამ მსხვილ ბიზნესსტრუქტურებს აკონტროლებენ კიდეც. არის ბიზნესები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროსაც კარგ მდგომარეობაში იყვნენ და მიმდინარე პროცესებთან ახლაც ადაპტირდნენ. ეს პროცესებიდან ფორმალური დისტანცირებაა. ეს სერიოზული პრობლემაა, რომელსაც ვერცერთი მთავრობა ოთხ კი არა ათ წელიწადშიც ვერ გადაწყვეტს, თუმცა ამას თანმიმდევრული მიდგომა უნდა. ახლა, საქართველოში გარკვეული გატაცებაა იუნიზმით — ყველაფერს ახალგაზრდებს, ახალ სახეებს ანდობენ, არადა ძველი, გამოცდილი ადამიანები ნებისმიერ საქმეში ყველაზე კარგად ერკვევიან. ამერიკელებსაც ძალიან უყვართ ახალგაზრდული სახეები, მჩქეფარე თვალად და გულად, მაგრამ რეალურად, იქ, ქვეყნის პროცესიის წაყვანას გამოცდილ ადამიანებს ანდობენ. ბიზნესმენმა თავის საქმე უნდა აკეთოს, დაასაქმოს ადამიანები. მით უმეტეს, ახლა როცა ევროკავშირთან ახალი ეკონომიკური რეჟიმი გვაქვს და მალე ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასაც ავამოქმედებთ. ის კრიტიკაც გასათვალისწინებელია რაც ისმის — წარმოება დასაცავია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მილიარდ სამას მილიონიანი ბაზარი გვეხსნება, რომელსაც რასაც აწარმოებ ყველაფრის შესრუტვა შეუძლია, მეორე მხარესაა ევროკავშირის 500 მილიონიანი ბაზარი. ჩვენი ვალია ოპერატიულად გადავლაგდეთ ახალ რელსებზე. აქ, წარმოების ცენტრები იყო. ჩვენ ძალიან საინტერესო მოვლენა დაგვრჩა ყურადღების მიღმა. საქართველოში ჩამოსული იყო დანი როდრიგი — თურქი წარმოშობის ეკონომისტი, რომელმაც აღნიშნა, რომ ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია წარსულს უნდა ჩავაბაროთ და რეინდუსტრიალიზაცია დავიწყოთ. ამ პროცესში გადასვლაში წამყვანი ჩვენი ქართველი მეწარმეები უნდა იყვნენ, მასშტაბური ბიზნესები აქედან უნდა იმართებოდეს. ამაზე დაფიქრება ღირს, სწორედ ეს კონტექსტი დავინახე და მოვიაზრე ივანისვილის ბიზნესმენებთან შეხვედრაში.

**— ბატონო ვაჟა, ხშირია საუბარი იმაზე, რომ არჩევნები მშვიდობიანად ჩაივლის, მაგრამ ვითარება შემდგომ დაიძაბება. როგორ ფიქრობთ, რა როლი ეკისრება სიტუაციის განსამუხტად ქართველ ხალხს?**

— პირველ რიგში, აუცილებელია არჩევნებში ქართველი ხალხის ნება დაფიქსირდეს, მეორე — ქართველმა ხალხმა სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს. ეს თითოეულ ქართველზეა დამოკიდებული იმიტომ, რომ ჩვენ ისტორიულ მიჯნასთან ვდგავართ. ამიერიდან ყოველი არჩევნები ისეთი უნდა ჩავატაროთ, რომ მის სამართლიანობასა და ადეკვატურობაში ეჭვი არ შევიტანოთ. აქამდე, 1990 წლის 28 ოქტომბრიდან მოყოლებული, ამის ფუფუნება არ გვქონდა. აი, 2012 წლის 1 ოქტომბერმა ასეთი არჩევნების ჩატარებისთვის მზადებას დაუდო სათავე. ჩვენ, დღეს, სწორედ ასეთი არჩევნების ჩატარება უნდა შევძლოთ. 1991 წლის შემდეგ, ქართველ ხალხს პასუხისმგებლობა არასოდეს აულია. ჩვენ, რიგ შემთხვევაში, მთავრობების დაკომპლექტებისას რუსეთის ინტერესებს ვითვალისწინებდით, რიგ შემთხვევაში — აშშ-სას. ახლა, უკვე ხალხმა უნდა გადაწყვი-





ტოს გავითვალისწინოთ თუ არა ვინმეს ინტერესი, ან როგორი არჩევანი გავაკეთოთ. ეს თვისობრივად სხვა მომენტია, დაახლოებით ამას ჰგავს — საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა გადაწყვიტეს, რომ ევროკავშირს საერთო კონსტიტუცია არ უნდა ჰქონოდა და რეფერენდუმით უარი განაცხადეს, ჩავარდა საკითხი, პროცესი გაჩერდა. სულ ახლახან დიდი ბრიტანეთის მოსახლეობამ 4%-იანი სხვაობით გადაწყვიტა, რომ ევროკავშირში ყოფნა აღარ სურს. ამაზე პასუხისმგებელი მისი უდიდებულესობა ბრიტანეთის ხალხია. სხვათა შორის, მხოლოდ 52% არა, არამედ 52% და 48% ერთად. ჩვენი ხალხი თავისი არსით ისეთია, რომ თან უნდა მესია, მაგრამ თან არანაირ დიქტატურას არ შეეგუება, ასეთი წინააღმდეგობრივია ქართველის ბუნება. თითოეული ქართველი დიდია, მას იმპერიების მართვა შეუძლია. სჯობს დემოკრატიას ვუერთგულოთ, ეროვნულ ინტერესებს ვემსახუროთ, არ მოვწყდეთ ფესვებს. აი, აქ შემოდის უკვე არენაზე ხალხი. მაგრამ შემოვა კი ხალხი? — ეს ამ არჩევნებზეა დამოკიდებული.

**— თქვენი, როგორც რიგითი მოქალაქის სწორი არჩევანი რომელია?**

— იცით რა, პრესით ამაზე საუბარი ეთიკურად არ მიმაჩნია, თუმცა ჩემს არჩევანს არ ვმალავ. ჩემი მოქალაქეობრივი ვალი მიუკერძოებელი ანალიზის გაკეთებაა. საერთოდ, გავხადებული მაქვს თუ რომელ პარტიას დავუჭირე მხარი წინა არჩევნებზე და ახლაც ვიცი ვის დავუჭერ მხარს. ჩემს არჩევანს, არ ვმალავ. უბრალოდ, მოცემულ შემთხვევაში მინდა ვინც ამ მასალას წაიკითხავს, ჩემი განცხადების გავლენის ქვეშ არ მოექცეს. სხვა შემთხვევაში, ამ პირდაპირ კითხვაზე პირდაპირვე



გიპასუხებდით, ეს საიდუმლოს არ წარმოადგენს.

**— როგორც თქვენი საუბრიდან ჩანს ხალხის არენაზე გამოსვლამ, შესაძლოა საფრთხეებს აგვარიდოს?**

— რა თქმა უნდა, თუ ჩვენ ვატარებთ თავისუფალ, სამართლიან არჩევნებს, მაშინ ხალხი თავის მიერ არჩეულ პოლიტიკოსებთან ერთად უკვე იღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალზე. ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. მაგალითად რუსეთში ხალხის და პუტინის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ხალხი პასუხისმგებელი არ არის იმიტომ, რომ იგი მხოლოდ კვერს უკრავს პუტინს და ქუჩაში არ გამოდის. მაგრამ პასუხისმგებლობა ძალიან ცოტაა, რადგან ის არჩევნები რომელიც რუსეთში იმართება არ არის საერთაშორისო სტანდარტის შესაფერისი, იქ ბევრი პირობითობაა. ამას ასე ამართლებენ — უცხო ქვეყნის ფულის შემოსვლა არასამთავრობო სექტორში უცხო ქვეყნის გავლენის გაძლიერებაა. ერთი შეხედვით, ეს სწორია, მაგრამ მეორე მხრივ, თუ შენ და იმ სამყაროს საიდანაც ეს ფულია საერთო ღირებულებები გაქვთ, ამას უნდა შეეგუო.

ამოცანა მარტივია — ჩვენ უნდა ავამაღლოთ ხალხის კეთილდღეობა, ავამუშაოთ ეკონომიკა, განვავითაროთ და დავამკვიდროთ დემოკრატია, ანუ, გავაგრძელოთ ევროატლანტიკური კურსი და ამავე დროს, დავალაგოთ ურთიერთობა რუსეთთან რაც ზე-რთული, არქი-რთულია. ის ძალა უნდა ავირჩიოთ, ვინც მისაღებია მოსახლეობისთვის და ვინც მოახერხებს ერთი შეხედვით შეუთავსებელი ამოცანების თანხვედრას — ევროპასთან დაახლოებას და რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას.

**— ბატონო ვაჟა, ქვეყნის პირველი პირები აცხადებენ, რომ „ნაციონალების“ მხრიდან გარკვეული პროვოკაციებია მოსალოდნელი. დაპირისპირებები მართლაც გამოიკვეთა, განსაკუთრებით რეგიონებში. როგორ ხედავთ, ამ კუთხით, მოვლენების განვითარებას?**

— ის ძალები რომელთაც გამარჯვების იმედი არ აქვთ, ყველაფერზე წამსვლელნი არიან. ვფიქრობ, ქართული საზოგადოება არაა მომხრე ვითარება დაიძაბოს, არეულობები მოეწყოს, ქვეყნის მასშტაბით დესტაბილიზაცია მოხდეს. ქართველმა ხალხმა იცის, რომ ქვეყანაში სიდუხჭირეა, მაგრამ აქედან გამოსვლა მხოლოდ ბეჯითი შრომით და სწორ გზაზე სიარულით მიიღწევა, ხოლო არეულობას, დაპირისპირებას, შეიარაღებულ კონფლიქტს ნგრევა მოაქვს. ჩვენ უნდა დავამთავროთ ქუჩიდან ხელისუფლების შეცვლის მავნე პრაქტიკა და უნდა შევეგუოთ იმას, რომ ხელისუფლებები შეიცვლება ხალხის თანხმობითა და ნებით.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# რა უფრო სახიფათოა საქართველოსთვის, რუსეთი თუ ყველასთან ყველაფერზე წამსვლელი მოღალატე ფარისევლების „ქართული“ პოლიტიკური „შენაერთები“?!

ქალბატონ თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრის პოსტიდან დაცურებას; შემდეგ — აბა, დავიშალოთო, — ხოლო შემდეგ მათ დახასიათებას ბიძინა ივანიშვილის მიერ საქვეყნოდ და სახალხოდ, ისეთი შოკი მოჰყვა სრულიად „რესპუბლიკურ პარტიაში“, დღემდე გონს ვერ მოსულან, იმისთანებს „უბერავენ“, მონაგონია „თავისუფალი



დემოკრატებიცა“ და თვით „ნაციონალური მოძრაობაც“ კი, სადაცაა „ლეიბორისტების თავკაცს“ ჩამოუტოლდებიან.

ბატონმა პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა (რომლისთვისაც პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე მნიშვნელოვანი რომელიღაც ასოციაციის მანდატი ყოფილა) ჯერ რაღაცები იდუდღუნა დაბალ ხმაზე, შემდეგ კი საკმაოდ ხმამაღლა სწორედ სააკაშვილის ტელევიზიიდან გადმოიძახა, ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს სახელმწიფოს განვითარების ერთნაირი ხედვა აღმოაჩნდათო. ეგ როგორაო? — გადაირია „კურიერის“ წამყვანი. ვა, მე 8 ოქტომბრის შემდეგ მრავალპარტიული პარლამენტი მინდა, სადაც ყველა პოლიტიკურ ძალას თავისი ადგილი ექნებაო! პარლამენტში ერთი ერთზე დატოვებული „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ სერიოზული ხიფათია ქვეყნისთვის, თუ ოპოზიციური ფლანგის ექსკლუზივში ერთი იქნება და უმრავლესობაში ან 2/3-ით მეორეო!

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კანონების მიღების დროს კოალიციის წევრი „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“ რატომღაც ერთხმად ოპონირებდნენ კოალიციას და კიდევ „ოცნებას“ და „ნაციონალებს“ აქვთ ერთნაირი ხედვები ქვეყნის მოწყობაზე? — გასაოცარია! ბატონი ივანიშვილისა არ იყოს, ბატონი უსუფაშვილი იმაზე მეტი არ ყოფილა რაც ჩანს და სათავისოდ (საქვეყნო საქმეებისთვის), მართლაც, რას ებღაუჭებოდა, ნეტავ?

ხალხი ამბობს, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ის პარტიაა რომელიც 2012 წელს პარლამენტში „ჩაგვიდესო“?

და მხოლოდ პარლამენტში ან მხოლოდ ესენი?

ამომრჩეველს დღემდე ვერ მოუნელებია, რომ ხალხის გაერთიანებულმა ძალისხმევამ როგორღაც დაასრულა „ნაცმოძრაობის“ 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმი, თავზე კი იმავე „ნაციონალებთან“ ერთად კვლავ ისინი წამოასვეს, ვინც მრავალგზის იყო შემჩნეული მათთან ფარულ თუ ღია კავშირში. არ მიეცა შეფასება, არც გამოძიება დაინტერესდა რატომღაც, როდესაც ე.წ „უკრაინული ვიკილიქსი“



ერთი მეორის მიყოლებით აქვეყნებდა ფარულ ჩანაწერებს, სადაც ბატონი დავითი (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე) და ქალბატონი თინათინ ხიდაშელი (საქართველოს თავდაცვის მინისტრი) ფიგურირებდნენ როგორც მიხეილ სააკაშვილთან ფარულ გარიგებაში მყოფი პირები. გნებავთ მეგობრული გარიგება დაარქვით, გნებავთ იდეურ-იდეოლოგიური.

დიდად კი არავის გაჰკვირვებია მათი ეს თანამზრახველობა ბატონი დავითის სიტყვების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანაო, მაგრამ მაინც.

ერთი საინტერესო ფრაზაც თქვა „მე ვისურვებ, რომ მისი შედარებით ჯანსაღი ნაწილი, ასე ვთქვათ, უვნებელი გამოვიდეს ამ პროცესიდან და ჩვენ მათ ისევ პოლიტიკურ ბრძოლაში დავამარცხებთო“. საინტერესოა, ვინ „ჩვენ“ იგულისხმა, ვისი დამმარცხებელი იყო და იქნება პარტია, რომელიც სხვებთან („ნაცმოძრაობა“, „თავისუფალი დემოკრატები“, ფორუმი“) ერთად, მართლაც რომ „ჩაუდეს“ არა მხოლოდ პარლამენტს, არამედ, ისედაც გაჭირვებულ საქართველოს?

რა „ახალი ხმების მიტანის“ იმედი აქვს ნეტავ, ნულთან მიახლოებული რეიტინგის მქონე პარტიის ამ წევრს, რა ეხუმრება? საქმეც იმაშია, რომ სრულ აბსაიდში დარჩნენ და აღარ იციან, ან ზეცას როგორ აასკდნენ, ან როგორ დაეშვან ისე, რომ დაბლა არ დაასკდნენ...

სხვათაშორის, არცთუ დიდი ხნის წინ, ერთხანს ხმაც ვრცელდებოდა, ჯერჯერობით დავით უსუფაშვილის ავტორიტეტი აკავებთ „რესპუბლიკელებს“, თორემ ცალკე კოალიციად გარდაუვლად ჩამოყალიბდებოდნენ „ნაციონალების“, „რესპუბლიკელების“ „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ (ესენი ვიღას დაჰკარგვია!) ერთობადო...

და ხალხს არ გაჰკვირვებია — რატომაც ვერა, განა მუდამ ერთად არ იყვნენ და ერთი ხის განაყარი არ არიანო? არასამთავრობო სექტორის სახეები ხომ, აბსოლუტურად ყველანი, ე.წ „ვარდების რევოლუციის“ თანამონაწილენი არიან (რა და რატომ ეკითხებოდათ მათ რევოლუციასთან?). რაც შეეხება კონკრეტულ პირებს, უნიკალური მაგალითია ლევან ბერძენიშვილი, რომელიც „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერიც იყო და ამავდროულად, მიხეილ სააკაშვილთან ერთად „ნაციონალური მოძრაობის“ თანადამფუძნებელიცო; „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“ მხოლოდ მაშინ გაიმიჯნენ (ესეც დროებით), როდესაც აჭარა ვარშალომიძეს ჩააბარა სააკაშვილმა და არა ბერძენიშვილებს, თორემ მანამდე ერთად იყვნენ და „ნაცმოძრაობის“ სიაშიც ბრძანდებოდნენ — ახლა როგორ გადანაწილდებიან, საინტერესოაო.

ყველა ვარიანტში კი, როცა ფაქტია, რომ ხელმოცარულმა თავდაცვის მინისტრმა ვერც ევროკავშირს შეაცოდა საქართველო და ვერც NATO-ს, ასეთი კითხვა დაიბადა: რა უფრო სახიფათოა საქართველოსთვის, რუსეთი თუ პირადი კეთილდღეობისთვის ყველასთან ყველაფერზე წამსვლელი მოღალატე ფარისეველთა დიდი არმია?

# ძლიერი რეგიონები



საჩხერე

## საჩხერე — ციხესიმაგრე მოდინახეზე საბაგირო გზა აღდგება

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის, მალხაზ ბაზაძის ინიციატივით ციხესიმაგრე მოდინახემდე მისასვლელი საბაგირო გზა აღდგება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პარტნიორ კომპანია შპს „გეოგრაფიკის“ წამომადგენლებთან ერთად ციხის ტერიტორია დაათვალიერა. ამჟამად სიმაღლის აღმნიშვნელი კოორდინატების მონიშვნა მიმდინარეობს.

აღნიშნული პროცესი წინ უძღვის გრანდიოზულ პროექტს — ციხესიმაგრე მოდინახეს რეაბილიტაციას, რომელიც საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული მემკვიდრეობის აღდგენისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

შეგახსენებთ, რომ პაპუნა წერეთლის მიერ XVIII ს-ში აგებული ციხე 1991 წლის მიწისძვრამ მთლიანად გაანადგურა. მოდინახეს სტრატეგიული დანიშნულების შვიდი კოშკი ამშვენებდა, სადაც ოსმალთა შემოსევის დროს თავს იცავდა მეფე სოლომონ I.

## სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქ დუშეთში

დუშეთის მუნიციპალიტეტში გრძელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროეტების განხორციელება. ქალაქ დუშეთში დასრულდა ჭავჭავაძის, ბექაურის, კოსტავას ქუჩებისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია; დაეგო ასფალტის საფარი და მოეწყო ბორდიურები.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებდა შპს „ბესკო“.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად ქალაქ დუშეთში მიმდინარეობს 18 ქუჩის რეაბილიტაცია.

## ინფრასტრუქტურული სამუშაოები დუშეთის მუნიციპალიტეტში

დუშეთის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ფხუნდავში მოხდა მთავარ საავტომობილო გზასთან დამკავშირებელი, სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. მომავალში იგეგმება სოფელში მისასვლელი გზის მოხრეშვა.



დუშეთი

ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ჭართალში მიმდინარეობს შიდა გზების სანიაღვრე არხების (დრენაჟების) მოწესრიგება. სოფელ ჩიტაურებსა და ზენუბანში დელიფნურის მთამდე იწმინდება გზა.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები შესაბამის სამსახურებთან ერთად დაათვალიერა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა და შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას.

## რიკოთის უღელტეხილზე ახალი ავტოსტრადა აშენდება

მე-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შემადგენელ რიკოთის უღელტეხილის მონაკვეთზე, სრულიად ახალი 53 კმ სიგრძის გზის მშენებლობა იგეგმება. პროექტის ფარგლებში აშენდება 90 ხიდი და 40-მდე გვირაბი.

სამშენებლო მონაკვეთი დაყოფილია ორ სექციად: ჩუმათელეთი-ხევის და ხევი-არგვეთას მონაკვეთებად.

ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის სიგრძე 11,2 კმ-ია. აღნიშნული მონაკვეთის პროექტირება 2016 წლის ოქტომბერში დაიწყება, ხოლო მშენებლობა, სავარაუდოდ, 2017 წლის ნოემბერში და 2019 წლის ნოემბრამდე გაგრძელდება. პროექტი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ფინანსდება და მისი სავარაუდო ღირებულება 120 მლნ აშშ დოლარია. ამ დროისთვის მიმდინარეობს დეტალური პროექტირების სატენდერო პროცედურები.

ხევი-არგვეთას მონაკვეთის სიგრძე 42 კმ-ია. მისი პროექტირება აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე წლის ბოლოს დაიწყება, ხოლო სამშენებლო სამუშაოები — 2018 წლის თებერვლიდან და 2020 წლის დეკემბრამდე გასტანს. პროექტის სავარაუდო ღირებულება 700 მლნ აშშ დოლარია. ამ დროისთვის დეტალური პროექტირების სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს.

მე-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის რიკოთის უღელტეხილის მონაკვეთის ალტერნატიულ მარშრუტად ხარაგაულის შემოვლითი გზა განიხილება. გზის აღნიშნული მონაკვეთის სიგრძე 50 კმ-ია. მისი პროექტირების სამუშაოები მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყება, ხოლო მშენებლობა, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით — 2017 წლის ნოემბერში. პროექტის ღირებულება 80 მლნ აშშ დოლარია და მისი დასრულება 2020 წლის თებერვალშია დაგეგმილი.

## წალენჯიხა — საბაბულაძო-ხვითერის გზა აღადგინეს

ნაკიფუ-საბაბულაძო-ხვითერის უბნის დამაკავშირებელი 4-კილომეტრიანი გზის მონაკვეთი 20 წლის განმავლობაში გაუვალი იყო და მოსახლეობის გულისწყრომას იწვევდა. საბაბულაძოს უბნის მოსახლეობას ხვითერის ტერიტორიაზე სახნავ-სათესი ფართობები ჰქონდათ და, ფაქტობრივად, გზის არარსებობის გამო იძულებული გახდნენ, მიეტოვებინათ.

ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით მოსახლეობისთვის წლობით არსებული პრობლემა მოგვარებულია — 4-კილომეტრიანი გზის მონაკვეთი აღდგენილია და მოსახლეობა საბაბულაძო-ხვითერით პირდაპირ უკავშირდება ობუჯის ცენტრალურ სამანქანე გზასაც.

## სენაკი — ეკში საავტომობილო გზაზე რკინაბეტონი დაიგო

სენაკის მუნიციპალიტეტის ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა ცენტრალურ გზაზე რკინაბეტონის საფარის დაგება. შესრულებული სამუშაოები დაათვალიერეს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, გამგებლის მოადგილემ ნატო ფულარიამ, საკრებულოს წევრებმა და გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა. 400 მეტრზე რკინაბეტონის საფარის დაგების სამუშაოს, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა, აწარმოებდა სს „არქეოპოლისი“ და მისი ღირებულება 105 396 ლარია.



მარნეული

## ქალაქი მარნეული ეკონომიურ გარეგანათებაზე გადადის

ქალაქ მარნეულში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით, თN-ჩ-შ სისტემის მასშტაბური გარეგანათების მოწყობითი სამუშაოები მიმდინარეობს, ენერგოდამზოგი განათების ტექნოლოგიის გარანტია მინიმუმ 10 წელია, ხოლო განათების ხარისხი — 3-ჯერ უფრო ეფექტიანი.

მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის 30 ქუჩის განათება. ამ ეტაპზე კი გარე განათების მოწყობითი სამუშაოები ვაჟა ფშაველას, ივანე ბერიტაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, სმპ-ს ქუჩებზე და ჯანდარის მასივში უკვე დასრულებულია.

ე. წ. **LED** ტიპის სანათები, რომლებიც მარნეულის ქუჩების გასანათებლად მონტაჟდება, ძველ სანათებთან შედარებით ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ახალი სანათები მსხვრევის შემთხვევაში არ აბინძურებს გარემოს — მისი შემადგენლობის, სოდიუმის და ნატრიუმის შემცველობის დახმარებით ჰაერში მიმოიფანტება და თვალით უხილავი ხდება.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტისთვის მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 224 239 ლარია გამოყოფილი.



დუშეთი

# ძლიერი საქართველოსთვის


ბოლნისი

## ბოლნისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტები მხარის გუბერნატორმა დაათვალიერა

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა პაატა ხიზანაშვილმა ქალაქ ბოლნისში მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ ვალენტინა ნავერიანთან ერთად დაათვალიერა ზაურ ხუჯაძის სახელობის სამუსიკო სკოლისა და კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერი, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები თვეზე მეტია მიმდინარეობს.

პროექტის შესაბამისად, სკვერში დაიგება ბაზალტის ფილები, დამონტაჟდება სკამები, მოეწყობა მწვანე ზონა და მინი ატრაქციონები. ამ ეტაპისთვის, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ამორტიზებული ქვაფენილის დემონტაჟი უკვე დაასრულა და ზედაპირის მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. სკვერის ფილებზე სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი აფორიზმები ამოიტვიფრება.

რეგიონის გუბერნატორი მერაბ კოსტავას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებსაც გაეცნო, სადაც ქვაფენილი იგება. ამ სამუშაოებს წინ მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგება უძღოდა. ქუჩის მოპირკეთება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

სკვერისა და კოსტავას ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოებზე, რომელთა დასრულება ოქტომბრის ბოლოსთვის იგეგმება, ადგილობრივები არიან დასაქმებულები.

## ვანი — სალომინაოში უგზოობის პრობლემა მალე მოგვარდება

ვანის მუნიციპალიტეტის სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ზეინდრისა და სალომინაოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 1780-მეტრიან მონაკვეთზე ასფალტის საფარი იგება.

სოფელ სალომინაოში უგზოობა ათწლეულების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის უმძიმეს პრობლემას წარმოადგენდა. დღეს კი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით სოფელ სალომინაოში ასფალტის საფარი იგება.

ზეინდარი-სალომინაოს დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე ასფალტის საფარის მოსაწყობად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 340 000 ლარი დაიხარჯება.


ვანი

მიმდინარე სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „გზამგები" ახორციელებს.

## ახალი კლინიკა დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროში 25 საწოლზე გათვლილი, უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი მრავალპროფილიანი კლინიკა გაიხსნა. ახლად აშენებული საავადმყოფო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჯანდაცვის მინისტრთან ერთად დაათვალიერა.

დავით სერგეენკოს განმარტებით, ახალი სამედიცინო დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. კლინიკაში იფუნქციონირებს ლაბორატორია, სადაც ყველა ტიპის ანალიზის გაკეთება იქნება შესაძლებელი. მისივე თქმით, დედოფლისწყაროს კლინიკაში ძირითადად დასაქმდნენ ექიმები, რომლებსაც ამ დრომდე ძველ, ამორტიზებულ შენობაში უწევდათ მუშაობა, ასევე მიმდინარეობს ახალი კადრების შერჩევა. სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები.


დედოფლისწყარო

პრემიერ-მინისტრმა კლინიკის თანამშრომლებს ახალ, თანამედროვე ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობის გაგრძელება მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ კლინიკა მაღალხარისხიან სამედიცინო მომსახურებას გაუწევს დედოფლისწყაროსა და ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებთ.

სამედიცინო დაწესებულება ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში და ამ პროგრამით მოსარგებლეები უზრუნველყოფილი იქნებიან როგორც გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, ისე სხვადასხვა პროფილის სტაციონარული მომსახურებით.

კლინიკა სახელმწიფო ხარჯებით აშენდა, მშენებლობაზე 3 525 000 ლარი დაიხარჯა.

გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ აგრეთვე ვიცე-პრემიერი კახი კალაძე, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი და რეგიონალური ჯანდაცვის ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელი პირები. სტუმრებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად უმასპინძლა.

## 2,5 მილიონი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტი მესტიაში

დაბა მესტიაში, ადგილობრივი მნიშვნელობის მესტიის ცენტრი-აეროპორტი-წრნიაში საავტომობილო გზის 3 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია" ახორციელებს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულებაა 2 422 575 (ორი მილიონ ოთხასოცდაორი ათას ხუთასსამოცდათხუთმეტი) ლარი. პროექტის დაფინანსების წყარო 2016-2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი.

სარეაბილიტაციო სამუშაოები 2017 წლის ზაფხულისთვის დასრულდება.

პროექტი ითვალისწინებს: ტრასის აღდგენა გამაგრებას; არსებული საკომუნიკაციო ჭის თავების მოყვანას სათანადო ნიშნულზე მონოლითური ბეტონით; რკინაბეტონის მილებისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობას; საყრდენი კედლების მშენებლობასა და ნაპირდამცავი კედლების მოწყობას გაბიონებით; ასფალტის საფარის დაგებას 3 კმ მონაკვეთზე; მიერთებებისა და ადგილობრივი შესასვლელების, ასევე ეზოში შესასვლელების შეკეთებას; ტროტუარის მოწყობას; საგზაო ნიშნების მოწყობას.

## იყალთოში „ქვევრის სკოლა-სახლი" გაიხსნა

იყალთოს „ქვევრის სკოლა-სახლის" დაფუძნების მიზანია ქვევრის ტრადიციების აღდგენა და სოფელ იყალთოს ტურისტული, რეკრეაციული, ასევე საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარება. გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი, თელავის მაჟორიტარი, პარლამენტის წევრი გელა სამხარაული, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი კახეთის მხარეში ირაკლი ქადაგიშვილი და სხვა ოფიციალური პირები.

„ქვევრის სკოლა-სახლში" ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება, უკეთ გაეცნოს ქართულ ტრადიციებს, შეისწავლოს ქვევრის დამზადების ხელობა და ეზიაროს ქვევრში ღვინის დაყენების კულტურას.

## წყლის სისტემის მშენებლობა ადიგენის სოფლებში

იაპონიის მთავრობის მხარდაჭერით ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში — ნაქურდევსა და ხევაშენში წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში გაიზრდება წყლის დებეტი და სოფლებში საუბნო და ინდივიდუალური დაქსელვა განხორციელდება. პროექტი სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრებ ასეულობით ადამიანს.

პროექტის ღირებულება 85 904 აშშ დოლარს შეადგენს.

სამუშაოები ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაქარია ენდელაძემ ადგილობრივებთან ერთად დაათვალიერა.

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

**(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი“ #15)**

აკრძალულში ცალ-ცალკეა გამოყოფილი ძველი და ახალი წელთაღრიცხვის თარიღები დასათაურებით: „ძველი წელთაღრიცხვით“ და „ახალი წელთაღრიცხვით“, ხოლო მოწონებულში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის თარიღები არანაირად არ არის გამოყოფილი;

აკრძალულში დამოწმებულია ძველი წელთაღრიცხვის 11 თარიღი, მოწონებულში — 3;

აკრძალულ სახელმძღვანელოში დამოწმებულია:

XIII ს. ძველი ხეთის სამეფოს ძლიერების პერიოდი;

XIII-XI სს. მიტანის სამეფოს ძლიერების პერიოდი;

XII-XIII სს. ახალი ხეთის სამეფოს ძლიერების პერიოდი;

1287 წ. ხეთის მეფის ხატუშილ III-ის ხელშეკრულება ფარაონთან. (ეს შესანიშნავი დოკუმენტი მოღწეულია ჩვენამდე და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელ ძეგლად ითვლება);

XII-XI სს. თრიალეთის მაღალი კულტურული ცენტრი;

XI-III სს. აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურის აყვავების პერიოდი;

XI-X სს. სუბარული ტომების ბრძოლა ასურეთთან;

IX-III სს. ურარტუს სამეფოს ძლიერების პერიოდი;

II ს. პირველი ცნობების გაჩენა ბერძნულ მწერლობაში იბერიასა და კოლხეთის სამეფოების შესახებ;

190 წ. ახლო ხანები. სომხური სამეფოების წარმოშობა;

65 წ. რომაული გავლენის დამყარება ამიერკავკასიაში;

მოწონებულშია:

ძვ. წ. II საუკ. ეგრისის (კოლხეთის) ადრემონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოშობა;

ძვ. წ. III საუკ. ქართლის (იბერიის) ადრემონათმფლობელური სახელმწიფოს ჩამოყალიბება;

ძვ. წ. 65 წ. რომაელების ლაშქრობა და მათი გავლენის დამყარება საქართველოში.

მხოლოდ ამ ორი შედარების ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის დასანახად, რომ 1200 წლის ისტორიაა მოპარული, თუმცა ნაქურდალი ბევრად მეტი და დიდია, რადგან, XIII საუკუნე ძველი ხეთის სამეფოს ძლიერების ხანაა, ხოლო თვით სამეფოს წარმოშობა და განვითარება 10 საუკუნით უკან მოხდა, III ათასწლეულში.

მოკლედ რომ ვთქვათ, იმ სახელმძღვანელოში, რომელშიც სულ მცირე, ისტორიის 2500 წელიწადია მოპარული, არ შეიძლება რაიმე, მეცნიერებისთვის ღირებული იყოს.

მაინც, რა იყო მასში ასე საგულდაგულოდ დასამალი და დასაწვავი?

ვთქვათ, ის, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორები ქართველების წარმომავლობას იწყებენ ძველი შუმერებიდან. ფართო საზოგადოებას არ უნდა გაეგო, რომ ველურმა ინდოევროპული წარმოშობის ბერძნებმა დაიპყრეს პელაზგების ქვეყანა, ანუ პრტოქართველები და მთლიანად მიითვისეს მათი კულტურა. სახელმძღვანელოს მოყვებოდა რუკებიც. სახელმძღვანელო გამოსული იყო ქართულად, რუსულად, ინგლისურად და თურქულად — მსოფლიოს გასაგონად! ფართო წრეებში, ვის უნდა დღესაც კი, რომ ქართველი დადასტურებულად აღმოჩნდეს წინარებერძნული, წინარერომაული და წინარეეგვიპტური კულტურის კი არა, ცივილიზაციის მქონე ხალხის შთამომავალი!

თავისთავად ხდება უკვე ქრისტიანობამდე მისვლა, ანუ ბიბლიამდე, სადაც ვხვდებით, ვთქვათ: მამა აბრამ — ქალდეველი, ქალაქი ური-დან. მისით დაწყებული, ყველა არის ან ქალდეველი, ან ხეთელი. („თალმუდში“ წერია, რომ ებრაელების ღმერთი, იაჰვე ეუბნება ებრაელობას, თუ გინდათ მე გავიგო, ქალდეურ ენაზე მომმართეთ და ილოცეთო) რა თქმა უნდა, დასამალი დეგ აყვავდა, რაც მან უმოწყალოდ გაანადგურა და შთანთქა მისი წინამორბედი პროტოქართული, იგივე პელაზგური ცივილიზაცია. იმაზე არავინ და ვერავინ კამათობს, რომ ინდოევროპული წარმომავლობის ბერძნულ ცივილიზაციამდე აღნიშნულ სივრცეში არსებობდა მართლაც უნიკალური პროტოქართული ანუ პელაზგური ცივილიზაცია.

ახლა კი მივყვეთ სიცრუის კასკადის ერთ ეპიზოდს.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, აღმოსავლეთ ქორთუ ხალხი დასავლეთ სპერულ-კოლხური ერთეული




ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და დროთა განმავლობაში ერთ ოჯახად გაერთიანდა ქართველის სახელწოდებით. სიტყვა „ქართი“ შექმნილია ორი სიტყვის შეერთებით „ქიანა ართი“ და ორივე სიტყვა კოლხურია (მეგრული), „ქიანა“ — ქვეყანა, მიწა-წყალი, სახელმწიფო და „ართი“ — ერთი, ერთიანი.

ჩვენს უძველეს დამწერლობას (ლურსმნულს) მისი შემქმნელები „ემეგრ“-ულს უწოდებენ წერილობით წყაროებში და ასეა განმარტებული ბრიტანეთის, კოლუმბიის და სხვა ენციკლოპედიებშიც, ლურსმნული დამწერლობის სახელმძღვანელოებში...

იშვიათი გამონაკლისების გარდა დღემდე საჯაროდ არავინ (ვერავინ) ამბობდა, რომ საქართველოს ისტორია გაყალბებულია და ახლიდან არის დასაწერი, არადა, დღემდე აღმოჩენილი და კვლევებით დადასტურებული შედეგებით, ყველაზე მცირე, ხოლო რეალურად რამდენი საუკუნე, რამდენი წელი აქვს „გადათეთრებული“ საქართველოს ისტორიას, ვინ გათვლის...

ისეთი ხილული ფაქტები დევს, უბრალოდ, დაკვირვებული ადამიანიც რომ კითხვას დასვამს, ამდენად, დღემდე კვლევის საგნად დარჩენილ „ოქროს საწმისზე“ ვთქვათ. აღვნიშნოთ, რომ ლევან სანიკიძეს „უქარქაშო ხმლებში“ კლავდიუს ელიანუსის წყაროებზე დაყრდნობით უწერია, რომ ეს იყო „შეკვეთილი ისტორია“ და მივყვეთ სიმართლეს.

აიეტი — კოლხეთის მეფეა!

პერსი — აიეტის ძმა, ტავრიელების მეფეა ყირიმში!

ალოიე — აიეტის კიდევ ერთი ძმა, მოიხსენიება როგორც „დაფქვილი პურის ღმერთი“!

აიეტის დები:

ქალიფსო (კალიფსო) — ანუ „ქალი ფსოუდან“, მოიხსენიება როგორც ქალღმერთთა ღმერთი, რომელიც ფლობდა კუნძულ ოგიგიას ხმელთაშუა ზღვის დასავლეთში!

ფაცია (ფასოფეა) — მინოსის მეუღლე და კრეტას დედოფალი, ლეგენდარული არიადნას დედაა!

ცირა (ცირცეა) — კუნძულ ეას (აიას) ოქროსფერთმიანი დედოფალი, რომელიც თითქმის ყველა ევროპელი ხალხის მითიურ დედად ითვლება! (ცირა ითვლება იტალიის პირველი მეფის ავსონის დედად; ასევე დედად იტალიისა, რომლის სახელითაც აპენინის ნახევარკუნძულს დღეს მთელი მსოფლიო „იტალიას“ უწოდებს და ა.შ)

და ვინ იყვნენ ამ დროს „არგონავტები“, უძველესი ბერძნული ცივილიზაციის წარმომადგენლები რაც დასტურდება უპირველეს ყოვლისა მარტივი ქრონოლოგიით?

მარტივად ავხსნათ — ზუსტად ვიცით, რომ ბერძნებმა ტროას უძველესი პროტოქართული ცივილიზაცია ჩვ. წ. აღ-მდე მე-13 საუკუნეში დაამხეს, „არგონავტები“ კი ამ მოვლენებამდე, სულ ცოტა, რამდენიმე ასეული წლით ადრე ეწვივნენ კოლხეთს. ანუ ეს ის პერიოდია, როდესაც ბერძნებს ჯერ არ ჰყავდათ არც „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტე, არც უდიდესი მოაზროვნე პლატონი და არც „ილიადას“ ავტორი ჰომეროსი.

ბერძნები ძალიან იყვნენ დაინტერესებული „ოქროს საწმისით“, რაც ბუნებრივია, უბრალოდ, ოქროსფრად მოელვარე ცხვრის ტყავი კი არა, ისეთი განსაკუთრებული რამ იყო, რის გარეშეც ბერძნებს აღარ შეეძლოთ არსებობა!

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად ვინ არიან არგონავტები:

უფლისწული იაზონი, ჰერაკლე (ზევსის შვილი), თეზევსი (ასევე ზევსის შვილი და ათენის დამაარსებელი), პროკრუსტე, სიზიფე, ლაერტი, პოლიდევკი, ავგეა (ცნობილი თავლების მეპატრონე), ავთოლიკე (ელინებს შორის უეშმაკესი და უფლიდესი ღმერთის, ჰერმესის შვილი), ასკლეპიოსი (მედიცინის ღმერთი), ანთეოსი, ორფეოსი (პოეტთა პოეტი), კენეუსი (რომელიც ქალად იყო გარდასახული) და ათობით ასეთი ღმერთი თუ ნახევრად ღმერთი — ზევსის, პოსეიდონის, აპოლონისა და დიონისეს შვილები.

მოკლედ, რომ ვთქვათ, „არგონავტები“ სხვა და სხვა ეპოქის მსოფლიო ნაკრები ყოფილა და როგორ მოხვდებოდნენ ერთ ხომალდზე? — ეს უკვე მითიც აღარ არის, ხელისგულზე გადაშლილი სიყალბეა... „არგონავტების“ მიერ კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცება იყო და არის როგორც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი აფერა და ამასთანავე, დადასტურებული დანაშაული!

მსოფლიო დაარწმუნეს ვითომ, რომ კოლხმა მედეამ მამას და სამშობლოს უღალატა, ბერძნებს ოქროს საწმისი გაატაცებინა და ასე შემდეგ, მაგრამ საქმე რომ პირიქითაა — არგონავტებმა მედეა მოიტაცეს, თვით „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტეს უძველეს და უნიკალურ ნაშრომებშია დაფიქსირებული.

აი, რას წერს ჰეროდოტე თავის ცნობილ „ისტორიაში“ (წიგნი, „კლიო“): — „ელინებმა უსამართლობა მეორედ ჩაიდინეს. გრძელი ხომალდით მისცურეს აია-კოლხიდაში, მდინარე ფაზისთან და იქ გააკეთეს ის, რისი გულისთვისაც მივიდნენ, მოიტაცეს მეფის ასული მედეა. კოლხთა მეფემ გააგზავნა ელადაში მოციქული, რომ მოეთხოვა სამართალი მოტაცებისთვის და უკან გამოეთხოვა ასული; ხოლო ელინებმა უპასუხეს, რომ არც მათ უგიათ პასუხი მათ წინაშე არგოსელი იოს მოტაცებისთვის და ამიტომ არც თვითონ აპირებენ, რომ მისცენ მათ რაიმე...“

ჰეროდოტე მედეას მოტაცების ამბავს ასე აგრძელებს: — „ამბობენ, რომ მეორე თაობაში ამის შემდეგ, ალექსანდრე პრიამოსის ძემ მოინდომა რომ თავისთვის ელადადან მოეტაცა ქალი. მან კარგად იცოდა, რომ არ მოუხდებოდა პასუხისგება, რადგან არც იმათ უგიათ თავის დროზე პასუხი. ასე მოიტაცა მან ჰელენე... ტროელებმა თავი იმით იმართლეს, რომ შეახსენეს ელინებს მედეას მოტაცება... ელინებმა კი ერთი ლაკედემონელი ქალის გულისთვის დიდი ლაშქარი შეკრიბეს, შემდეგ მივიდნენ აზიაში და პრიამოსის ძალაუფლება დაამხეს...“

ანუ ჰეროდოტე მოგვითხრობს პარის პრიამოსის ძის (ალექსანდრეს) მიერ ელენეს მოტაცებაზე და ამ ამბიდან გამომდინარე დაწყებულ ბერძენ-ტროელთა ომზე, რაც ტროას უძველესი კულტურის დამხობით დასრულდა... თუმცა, ტროელები იყვნენ პროტოქართული, პელაზგური წარმოშობის ხალხი! (ამის შესახებ ზვიად გამსახურდიას აქვს გამოქვეყნებული შესანიშნავი კვლევები)

ერთი რამ კი, ფაქტია, სწორედ „ოქროს საწმისის“ ელადაში ჩატანას უკავშირდება იმ ძველი ბერძნული ცივილიზაციის რენესანსი რომლითაც ასე აღტაცებულია მთელი კაცობრიობა, არადა, ძველი ბერძნული ცივილიზაცია სწორედ კოლხეთიდან გატაცებულ სიბრძნეზე აღმოცენდა...

**(გაგრძელება იქნება)**

# პოლიტიკის „უხილავი ხელი“ მსოფლიოს სპორტულ ასპარეზობებზე

მსოფლიო პოლიტიკაში და ეკონომიკაში „უხილავი ხელის“ არსებობაზე ბოლო წლებში, მართალია, ჯერ კიდევ მორიდებულად და ფრთხილად, საუბრობენ დასავლური, დამოუკიდებელი მედიასაშუალებები, მაგრამ ვიღაცის მიერ ტაბუირების მიუხედავად, მაინც ბედავენ დახურულ თემებზე ლაპარაკს. საუბედუროდ, უხილავი ხელი თუ ვიღაცის ამბიციური სურვილები სპორტსაც მისწვდა. გავიხსენოთ თუნდაც შარშანდელი სკანდალი, რომელიც მსოფლიოსა და ევროპის ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებში განვითარდა. ოფიციალურად ფინანსების არამიზნობრივი ხარჯვა გაცხადდა, მაგრამ კულუარებში პოლიტიკურ დაკვეთაზე საუბრობენ. ეჭვებს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ გამოძიების წარმოება აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ითავა. რატომ? — ამ კითხვაზე არავინ პასუხობს, რადგან ვერავინ ბედავს „კარტის“ ბოლომდე გახსნას.




დიახ, რიოს ოლიმპიადაზე რუსეთის 70-ზე მეტი სპორტსმენი დოპინგის მიღებისა და გამოყენების ეჭვის საბაბით არ დაუშვეს. მსოფლიოში სპორტის ყველა მოყვარული მხოლოდ სუფთა და ჯანსაღი კონკურენციის მომხრეა. დოპინგზე და სტიმულატორებზე საუბარიც ზედმეტია. ამასვე ქადაგებს ოლიმპიური ქარტია, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწერა. მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ფაქტები მსოფლიოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ ვერ და არ წარმოადგინა, მათი ეჭვიც საკმარისი აღმოჩნდა რუსეთის სპორტსმენების დისკვალიფიკაციისთვის. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა დასავლური პრესის განცხადება, რომ აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაცია (სპორტულ-სამედიცინო) პოლიტიზირებულია და ვიღაცის დაკვეთას ასრულებს.

შესაძლოა, მავანს ჩვენი მსჯელობა აბსურდულად მოეჩვენოს და შემოგვედავოს, რუსეთუმეობაც დაგვაბრალოს. მაგრამ ასეთი ხალხის გასაგონად ვამბობთ: ჩვენც სუფთა სპორტული ასპარეზობის და ჯანსაღი კონკურენციის მომხრეები ვართ. ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, უსამართლოდ რომელი ქვეყნის სპორტსმენი დაისჯება, სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს.

მსოფლიო ანტიდოპინგის სააგენტო, მართალია, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ექვემდებარება, მაგრამ ამ ორგანიზაციის საქმიანობა, რბილად რომ ვთქვათ, ბევრ კითხვას ბადებს. ეჭვებს, რომლებიც პლანეტის მთელ რიგ ქვეყნებში გაჩნდა, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები აძლიერებს.

ერთ-ერთი ქვეყნის ჰაკერებმა (იგივე კომპიუტერულმა მეკობრეებმა) მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მონაცემთა ბაზაში შეაღწიეს და, ჰოი, საოცრებავ! თურმე, ნუ იტყვით და, მოქმედი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების დიდი ნაწილი აკრძალულ პრეპარატებს რეგულარულად იღებს! მათ შორის პრედნიზოლონს, ამფეტამინს. ზოგიერთ წამალს, რომლებსაც სპორტსმენები იღებენ, მედიკოსები ნარკოტიკებთან აიგივებენ. ზოგიერთი პრეპარატი ენერგიის ჭარბ მოზღვავებას იწვევს. დროთა განმავლობაში ამ წამლებს, მომხმარებლის სამწუხაროდ, სავალალო შედეგი მოაქვს. თუმცა, როგორც ვხედავთ, სპორტსმენთა ნაწილი ჯანმრთელობაზე წინ რომელიმე სინჯის მედალს აყენებს! ეს მაშინ, როდესაც ბალახეულზე დამზადებული ციტრამონი აკრძალულ პრეპარატთა სიაშია და მსოფლიოს ნომერ პირველ ჩოგბურთელებად აღიარებულები (დები უილიამსები, რაფაელ ნადალი) პრედნიზოლონს, ამფეტამინს და სხვა ძლიერმოქმედ პრეპარატებს მოიხმარენ!



ინფორმაციის გავრცელების შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციას ფაქტები არ უარუყვია. პირიქით, მათი განცხადებით, სპორტსმენები მათთან შეთანხმებით იღებდნენ აკრძალულ პრეპარატებს მკურნალობის მიზნით(!).

საკითხავია, ადამიანი თუ ავადმყოფია და ძლიერმოქმედი წამლებით მკურნალობას საჭიროებს, როგორ აღწევს ასეთ მაღალ სპორტულ შედეგებს? თუ ჯანმრთელია და ისე ეძალება ასტეროიდებს, გამოდის, რომ კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე. მაშინ რა საჭიროა დოპინგკონტროლი და ასეთი დიდი საერთაშორისო ორგანიზაციის არსებობა? სავარაუდოდ, პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაცია მავანთა პოლიტიკურ იარაღად რომ იქცა, სწორედ ეს გარემოება იწვევს მსოფლიოს სპორტული (და არამარტო) საზოგადოების შეშფოთებას.

ძლიერმოქმედი წამლებით „მკურნალობას“, როგორც ირკვევა, ავსტრალიის, ნორვეგიის, გერმანიის და სხვა „რჩეული“ ქვეყნების „რჩეული“ ათეულობით სპორტსმენი გადის. ამ დროს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ობიექტურობით უნდა გამოირჩეოდეს, შეუძლია ნებისმიერი, მათი აზრით, ნაკლებად პრესტიჟული ქვეყნის სპორტსმენი არ დაუშვას რომელიმე ასპარეზობაზე, თუნდაც ციტრამონის გამოყენების მიზეზით! დიახ, ყბადაღებული მელდონი (ვიტამინების ერთგვარი სახეობა) ყველაზე „უწყინარი“ პრეპარატი ყოფილა იმასთან შედარებით, რასაც თურმე მსოფლიოს წამყვანი სპორტსმენები იღებენ.

ადვილი შესაძლებელია, ქართველი სპორტსმენებიც ოდესმე აღმოჩნდნენ დისკვალიფიცირებულები. მიზეზს, იცოცხლეთ, ადვილად იპოვიან. აი, ეს გარემოება გახლავთ საგანგაშო და ის ფაქტი, რომ სპორტი, მავანთა მცდელობით, პოლიტიკურ იარაღად იქცა. ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც თუნდაც რუსეთია, თავის ინტერესებს ყოველთვის დაიცავს და ჩვენი ადვოკატობა არ სჭირდება. საკითხავი ის გახლავთ, ჩვენ რას ვიზამთ მსგავს შემთხვევაში?!

დაბოლოს, მორალურად რამდენად გამართლებულია თუნდაც იგივე რუსი ინვალიდი სპორტსმენების პარაოლიმპიური თამაშებიდან დისკვალიფიკაცია იმ მიზეზით, რომ, სავარაუდოდ (და არა ფაქტებით), აკრძალულ პრეპარატებს მოიხმარენო, უბრალოდ, გაუგებარია. იგივე დები უილიამსები ბარე ბევრ ვაჟკაცს ჯაბნიან თავიანთი ფიზიკური მონაცემებით და თურმე მათ მკურნალობა სჭირდებათ! მართლაც ავადმყოფმა და ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანმა კი, გამოდის, არ უნდა იმკურნალოს. ეს არის ორმაგი სტანდარტები და სპორტის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება, რაც თავად სპორტული სამყაროს წარმომადგენლების თქმით, დაუშვებელია და სპორტულ ასპარეზობებს აზრსაც უკარგავს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

---

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქტორს ლაშა ნადარეიშვილს დედის**

**ნინო ოქროცვარიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**გამოსვენება: ხუთშაბათს, 14 საათზე იყალთოს ქ. №8 (ბუკიას ბაღთან. ყოფილი კაფე „ნიკალას“ უკანა კორპუსი).**

---

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი



მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

**— რა შემთხვევაში იხილავს სამოქალაქო საქმეებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა?**

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3911-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას( ნორმის განმარტებას);

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმე საკასაციო წესით განიხილება ამ კოდექსისა და «„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

* * *

**— შეიძლება თუ არა ჩემი 15 წლის ქალიშვილი მშობლების თანხმობით სამოქალაქო წესით დაქორწინდეს ვაჟზე, რომლისგანაც ბავშვს ელოდება?**

— არა. ასეთი გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ 16 წლის ასაკიდან, მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით / საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილი/.

* * *

**— როგორია სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი?**

სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს შრომის კოდექსის მე–4 მუხლის შინაარსს.

მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

5. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

* * *

**— ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. მათ ჰყავთ ერთი მცირეწლოვანი შვილი. განქორწინების დროს ჩემს ქალიშვილს არ მოუთხოვია ალიმენტის საკითხის განხილვა. შეგვიძლია თუ არა, ახლა მოვითხოვოთ ალიმენტის გადახდა ბავშვის სასარგებლოდ?**

— შეგიძლიათ.

ალიმენტის მოთხოვნა ყოველთვის შეიძლება ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

# ბუშების კლანი ბნელი წარსულით

**ამერიკის შეერთებული შთატების რიგით 43-ე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი „ტეხასელი ბუშების“ უმდიდრეს და უდიდესი გავლენის მქონე კლანს ეკუთვნის. 1920-იანი წლებიდან დაწყებული, ამ კლანის ყველა წარმომადგენელი ერთ სკანდალში მაინც იყო გარეული. მათ ბრალად ედებოდათ გერმანიის ნაციზმის დაფინანსება, იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ფულის გათეთრება და ნარკომოვაჭრეებთან თანამშრომლობაც კი...**



### კლანი ბნელი წარსულით

როდის აღმოჩნდნენ ბუშების წინაპრები „ახალ სამყაროში“, უცნობია. განსაკუთრებით ერთგული რესპუბლიკელები ამტკიცებენ, რომ ბუშების გვარის პირველი წარმომადგენელი ამერიკაში 1620 წელს ჩავიდა, ესე იგი, ბუშების ოჯახი ამერიკის უმაღლესი არისტოკრატიას მიეკუთვნება, მათი მოწინააღმდეგეები კი ამტკიცებენ, რომ ბუშების წინაპრები შეერთებულ შტატებში მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევარში ჩავიდნენ.

### პრესკოტ ბუში – ჰიტლერის ბანკირი

როგორც უნდა იყოს, ბუშების კლანში პირველი სკანდალური ფიგურა, არამარტო სრულიად ამერიკის, არამედ მსოფლიო მასშტაბით, იყო ჯორჯ ბუში-უმცროსის ბაბუა პრესკოტ შელდონ ბუში (1885-1972). სწორედ მისი წყალობით გახდა ბეშების გვარი ამერიკაში ერთ-ერთი გავლენიანი კლანი. პრესკოტი შევიდა ამერიკის ისტორიაში, როგორც ნათელი მაგალითი, როგორ შეიძლება ადამიანმა შექმნას საკუთარი თავი. 2003 წელს ჟურნალისტებმა ამოქექეს ზოგიერთი მასალა აშშ-ის კონგრესის ნაციონალური ბიბლიოთეკის არქივიდან, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ პრესკოტ ბუში გერმანიის ნაციზმის სპონსორი იყო.

1921 წელს პრესკოტ ბუშმა მსხვილი ფინანსისტის, ჯორჯ ჰერბერტ უოკერის ქალიშვილზე იქორწინა და საწორწინო საჩუქრად კომპანია Brown Brothers Harimann&Co ვიცე-პრეზიდენტობა მიიღო. მალე ეს კომპანია მსოფლიოში ყველაზე დიდი კერძო საინვესტიციო ბანკი გახდა. ბუში ერთ-ერთ დირექტორად დაინიშნა ნიუ-იორკის საინვესტიციო ბანკში Union Banking Corporation (UBC). UBC ჰოლანდიელი ტესენების ოჯახის ბანკს ეკუთვნოდა, რომლის ინტერესებსაც ჰარიმანის ბანკი ემსახურებოდა. UBC-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა როლანდ ჰარიმანი, ცნობილი ფინანსისტისა და დიპლომატის ავერელ ჰარიმანის ძმა, რომელიც მოგვიანებით, 1942-1946 წლებში სსრ კავშირში ამერიკის ელჩი იყო. დირექტორთა შორის იყო ჯორჯ-ბუში უმცროსის დიდი ბაბუა ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუში.

მრეწველი ფრიც ტისენი, რომელმაც, საკუთარი აღიარებით, გადაწყვეტილება ნაციზმის სასარგებლოდ მიიღო, რადგან კომუნისტურ საფრთხეს ხედავდა, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურ მუშათა პარტიას 1923 წლიდან აფინანსებდა. თუმცა, 1938 წელს ტისენს ნაციზმმა იმედი გაუცრუა. იგი აღშფოთებული იყო ებრაელების, კათოლიკეებისა და სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნით, მან გაწყვიტა კავშირი ჰიტლერის პარტიასთან და შვეიცარიაში გაიქცა.

1942 წლის ზაფხულში სკანდალი მოხდა. გაზეთში დაიბეჭდა სტატია სათაურით: „ჰიტლერის ანგელოზებს აშშ-ის ბანკში 3 მლნ დოლარი აქვთ“. ჟურნალისტები წერდნენ, რომ Union Banking Corporation-ი ნაცისტების ფულს ათეთრებდა აშშ-ში.



### ჯორჯ ბუში-უფროსი: ნავთობის შეიხების, გენერალ ნორიეგასა და სადამ ჰუსეინის მეგობარი

პრესკოტ ბუშის ვაჟმა, აშშ-ის 41-ე პრეზიდენტმა ჯორჯ ბუში-უფროსმა, თანამდებობის დაკავებამდე, 1989 წლის იანვარში, სახელი გაითქვა ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის დიქტატორებთან კავშირებით. ჯერ კიდევ 1964 წელს, როცა ბუში-უფროსი ტეხასის შტატის სენატში იყრიდა კენჭს, ოპონენტმა, დემოკრატმა რალფ იარბორომ იგი დაადანაშაულა ქუვეიტელ შეიხებთან კავშირში და არც თუ უსაფუძვლოდ. ბუშს ქუვეიტის სხვადასხვა ნავთობმომპოვებელ კომპანიებში წილები ჰქონდა. ბუშის ოპონენტებმაც კი ჩათვალეს, რომ ეს განცხადება ძალიან ემოციური იყო, რადგან კანონით აკრძალული არ არის ბიზნესის წარმოება უცხოურ კომპანიებთან.

1975 წელს ბუში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პირველი დირექტორი გახდა, რომელიც ნავთობმოპოვებითი და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობიდან მოვიდა. როგორც კევინ ფილიპსი ამტკიცებს თავის წიგნში „ამერიკული დინასტია“, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მაღალი და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა, ბუში კვლავ აგრძელებდა არაერთმნიშვნელოვან საქმეებს ბანკ BCCI-ში (Bank of Credit and Commerce International, შტაბ-ბინა აბუ-დაბიში). ამერიკული სპეცსამსახურები ეჭვობდნენ, რომ ეს ბანკი შეიარაღებული ექსტრემისტების დაჯგუფებებს აფინანსებდა (მოგვიანებით გაირკვა, რომ ბანკი პირდაპირ აფინანსებდა უსამა ბენ ლადენს, „ალ-ქაედას“ შემქმნელს). იგივე ავტორი ამტკიცებს, რომ ბუში, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოღვაწეობას ირანში, ავღანეთში, პაკისტანსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში, ყველა ღონეს იყენებდა, რათა ამერიკას ამ ქვეყნებში იარაღი შეეტანა კანონიერი გზით. ამ ისტორიამ, რომელიც 70-იან წლებში წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ, ახალი სიცოცხლე 1985 წელს შეიძინა, როცა ჟურნალისტებმა შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ რონალდ რეიგანის ადმინისტრაცია და ჯორჯ ბუში (რომელიც ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ) საიდუმლოდ ყიდდნენ ირანზე იარაღს, რადგან მასში ერაყის მოწინააღმდეგეს ხედავდნენ.

1986 წელს წინა წლის სკანდალი განახლდა და ახალი დეტალებით შეივსო: ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ რეიგანი-ბუშის ადმინისტრაციამ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა დიქტატორ სადამ ჰუსეინთან. ვიცე-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, ამერიკული სპეცსსამსახურები ბაღდადს ატყობინებდნენ ირანში მიმდინარე საქმეების შესახებ, რომელთანაც ერაყი ომს აწარმოებდა. უფრო მეტიც, პენტაგონი ერაყს შეიარაღებასაც აწვდიდა. როგორც არქივის მასალებიდან ირკვევა, აშშ ერაყს აწვდიდა მართვადი რაკეტსაწინააღმდეგო რეაქტიული ნაღმების დანადგარებს. ერაყისთვის იარაღის გადაცემა ხდებოდა „იარაღის ექსპორტზე კონტროლის შესახებ აქტის“ დარღვევით, რომლის მოთხოვნით, იარაღის მიწოდება უნდა მოხდეს პრეზიდენტის წერილობითი ნებართვით, რომელიც კონგრესმა უნდა დაადასტუროს.

### „ბუში-უმცროსი პრეზიდენტად მუშაობს, ბუში-უფროსი კი ფულს კერძო საქმიანობით შოულობს“

ბუში-უმცროსის პირადი ქონება 11-დან 20 მლნ დოლარამდე ფასდება. ამგვარი გაურკვევლობა გამოწვეულია იმით, რომ ამერიკული კანონმდებლობით, ქონების ზუსტი რაოდენობა მხოლოდ საგადასახადო სამართველოსთვის არის ცნობილი. საჯარო მოხელე ვალდებულია წარუდგინოს მოხსენება სახელმწიფო სამმართველოს, რომელიც სამსახურებრივი ეთიკის საკითხებზე მუშაობს. ზუსტი ინფორმაციის მოპოვებას ბუშის ოჯახის მტრებიც კი ვერ ახერხებენ, რომელთა რაოდენობა აშშ-სა და მის ფარგლებს გარეთ საკმაოდ დიდია. არსებობს ეჭვი, რომ აშშ-ის 41-ე პრეზიდენტი, ბუში-უფროსი, როგორც The Carlyle Group-ის მსხვილი აქციონერი, იყენებდა შვილის თანამდებობრივ მდგომარეობას, საკუთარ კავშირებს და ასეულ მილიონობით დოლარის სუფთა მოგებას ნახულობდა.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

(გაგრძელება იქნება)

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები,
მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24
საათის განმავლობაში

ISSN 2233-3983
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com